პალიტრა მედია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
5 მარტი შაბათი 2011
№ 052 (13349) ფასი 60 თეთრი

ინგლისი. პრემიერლიგა. ტურის წინ

**შოტლანდიური საქმის გარჩევა ინგლისში**

კვირას
ლივერპული-მანჩესტერი

5

იტალია. სერია A. ტურის წინ

**როგორი განწყობით შეხვდება ბებერი ქალბატონი 8 მარტს?**

იუვეს ბოლო შანსი თუ მილანის მორიგი ნაბიჯი...

6

ესპანეთი. ლა ლიგა. ტურის წინ

**რონალდოს საზარდული, პეპის ნელი**

9



# შალკე მოსაწყენია

## ლევანი წასვლაზე ალაპარაკდა

ინტერვიუ ლევან ყენიასთან

3

## რეგბიომები

ქუთაისის 13-ქულიანი გასროლა, ლონდარიძის 40-ქულიანი რეკორდი



12

## მოურინიოს თავს დაესხნენ



ესპანური მედია ახლალა იტყობინება, რომ თურმე... „დეპორტივოსთან" მატჩის წინ „რეალის" თავკაც ჟოზე მოურინიოს თავს დაესხნენ! უფრო ზუსტად, დაზარალდა მისი დაცვის ერთ-ერთი წევრი. პორტუგალიელი ავტოგრაფებს არიგებდა, როცა დაცვის წევრმა ტკივილი იგრძნო. როგორც მერე აღმოჩნდა, მას წვეტიანი საგნით 4 სანტიმეტრი სიღრმის ჭრილობა მიაყენეს. ამის შემდეგ „რეალის" პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა ბრძანა, რომ კლუბის წევრთა დაცვის საკითხი მოსაგვარებელია.



# ALL STARS

## იტალიური ჩატენვა ქართული

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მალე გაზაფხულიც მოვა

– კალენდრის მიხედვით „აშკარად" გაზაფხულია, მაგრამ ამინდის კაპრიზებს ბოლო არ უჩანს; ჰო, „ვიცით", რომ მარტია და , ერთი შეხედვით, ამ თვის ჭირვეულობასაც შეგუებული უნდა ვიყოთ, მაგრამ უამინდობა თუ ამდენ კორექტივს შეიტანდა საქართველოს ჩემპიონატის ყველა ტურნირში (უმაღლესი ლიგა, პირველი ლიგა, დუბლების პირველობა), ამას მართლაც ვერავინ წარმოიდგენდა. ჩვენი არ იყოს, გაოცებას ვერ მალავდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო განყოფილების უფროსი ნოდარ კაკულია, მოახლოებული ტურის თაობაზე გუშინ რომ შევეხმიანეთ: „ოც წელზე მეტია ამ საქმეს ვემსახურები და უამინდობის გამო მარტის თვეში თამაშების ჩატარებას საფრთხე შექმნოდეს, მსგავსი არასდროს მომხდარაო..."

... ადრეც აღვნიშნეთ, რომ მეორე ეტაპიდან ყველა ტური ერთსა და იმავე დღეს უნდა ჩატარებულიყო (გამონაკლისი მხოლოდ მეორე ეტაპის საწყისი ტური იყო), მაგრამ თებერვალში რამდენიმე მატჩის გადადებას ჩემპიონატის კალენდარში გარკვეული ცვლილებები მოჰყვა; ანუ, XXIII ტურის ხუთივე მატჩი კვირას კი უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ რამდენიმე გუნდი სხვებთან შედარებით აშკარად არათანაბარ პირობებში აღმოჩნდებოდა და ისევ „გაყოფილი", ანუ „ორდღიანი" ტური გველოდება. ამის მიზეზი კი ის არის, რომ „სპარტაკმა", „სამტრედიამ", „ზესტაფონმა" და „ტორპედომ" გამოტოვებული მატჩები 3 მარტს ჩაატარეს და ამ გუნდების მონაწილეობით გასამართი შეხვედრებიც, კვირის ნაცვლად, ორშაბათს ჩატარდება. ოღონდ, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ასპროცენტიან გარანტიას ვერავინ მოგცემთ XXIII ტურის სრულად ჩატარებაზე: ხვალ, შესაძლოა, დასავლეთში მოთოვოს, ზეგ პირიქით - აღმოსავლეთში გადაათეთროს ჩვენი სტადიონები და აი, ასე უნდა ვიყოთ „ნაღდი გაზაფხულის" მოლოდინში. ისე კი, ტური თუ სრულად ჩატარდა, სატურნირო ცხრილში სერიოზულ ცვლილება-გადაადგილებებს არც უნდა ველოდოთ; ყოველ შემთხვევაში, ერთის თქმა კი დანამდვილებით შეგვიძლია: როგორი შედეგებითაც არ უნდა დასრულდეს ამ ტურის მატჩები, ზედა სამეული უცვლელი დარჩება! ანუ, ნებისმიერ შემთხვევაში ამ ტურის შემდეგაც ლიდერი „ზესტაფონი" იქნება, მეორე ადგილზე „ოლიმპი" დარჩება, მესამეზე კი — „დინამო"; ამას გარდა, ცოტა არ იყოს, ძნელად სავარაუდოა, რომ ცხრილის ქვედა ნაწილშიც სერიოზული ცვლილებები მოხდეს, — ოღონდ, ამ შემთხვევაში სატურნირო მდგომარეობა კი არ გვაძლევს ამის თქმის საფუძველს, არამედ აუტსაიდერი გუნდების თითქმის უშანსოდ ყოფნა წყვილებში ფავორიტებად მიჩნეულ მეტოქეებთან. მოკლედ, ისეთი სიტუაციაა, რომ მოვლენების ასეთი განვითარებაც არავის უნდა გაუკვირდეს: ძალიან დიდი ალბათობით, სატურნირო ცხრილში, შესაძლოა, არც ერთი ცვლილება-გადაადგილება არ მოხდეს! თუმცა, მოვლენებსაც წინასწარ ნუ გავუსწრებთ და ნურც პროგნოზებში „გავთამამდებით"; ბოლოს და ბოლოს, ჯერ ხომ მხოლოდ მეორე ეტაპის დასაწყისია და არა — დასკვნითი ნაწილი, როცა ყველა და ყველაფერი... ლოგიკა-კანონზომიერებას „ემორჩილება". თანაც, „ყველამ ყველაფერი" წინასწარ რომ იცოდეს, მაშინ ხომ იმ შემორჩენილ გულშემატკივრებსაც ველარაფრით შევიტყუებთ ჩვენს სტადიონებზე...

## კოლხეთი–დინამო

Bwin: 3.90 3.10 1.88

06.03. ფოთი. ფაზისი

**15:00**

არბიტრი: **გ. ვადაჭკორია;** ასისტენტები: **ბ. ჭიჭინაძე, ლ. თოდრია;**
მეოთხე მსაჯი: **ჯ. ხორავა**
დისკვალიფიკაცია: **ო. გოგონაია (კოლხეთი); ედნილსინი (დინამო)**

ამ ბოლო დროს ორივე გუნდს არასახარბიელო დროება უდგას: ზედიზედ სამმა მარცხმა „კოლხეთი" მეტისმეტად სახიფათო „ზონაში" ჩააყენა: სეზონის დაწყებიდან პირველად მოხდა, ფოთელთა გუნდი ბოლოსწინა ადგილზე რომ იმყოფება. თანაც, **ბესიკ შეროზიას** გუნდმა ბოლო სამი მატჩი ისე წააგო, მეტოქის კარში ვერც ერთი გოლი ვერ გაიტანა; მაგრამ „კოლხეთის" ქომაგებს, ალბათ, ის ფაქტი უფრო გაალიზიანებდათ, რომ ფოთელთა სამივე მეტოქეთაგან არც ერთი მიეკუთვნებოდა ჩემპიონატის ფავორიტებს. სამაგიეროდ, ხვალიდან მოყოლებული თერთმეტი დღის განმავლობაში „კოლხეთს" სამი ურთულესი მატჩი ელოდება: ჯერ „დინამოს" უნდა უმასპინძლოს, მერე — „ზესტაფონს" ეწვევა და შემდეგ საკუთარ მოედანზე ქვეყნის ჩემპიონს „ოლიმპს" შეხვდება! ჰოდა, ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი განწყობა იქნება მასპინძელთა გუნდში, — მოგეხსენებათ, თუ როგორ უარყოფითად მოქმედებს წარუმატებელი სერია ფეხბურთელებზე. არადა, სეზონი „კოლხეთმა" მართლაც ჩინებულად დაიწყო და აგვისტოს შემდეგ სულაც ერთადერთი გუნდი იყო, არც ერთი მატჩი რომ არ ჰქონდა წაგებული და საკუთარ კარშიც არც ერთი გოლი არ ჰქონდა მიღებული. ჩემპიონატში პირველი მარცხი კი „კოლხეთმა"... ხვალინდელ მეტოქესთან იწვნია: ხუთწლიანი პაუზის შემდეგ ფოთს თბილისის „დინამო" ესტუმრა და დამაჯერებლადაც გაიმარჯვა (3:1). ბევრად უფრო შთამბეჭდავი იყო „დინამოს" მოგება მეორე წრის შეხვედრაში: 27 ოქტომბერს **კახა კაჭარავას** გუნდმა „კოლხეთის" კარში ხუთი უპასუხო გოლი გაიტანა! თუმცა, იმ დროისათვის ფოთელთა გუნდს სერიოზული ფინანსური პრობლემები ჰქონდა და ძირითად შემადგენლობაშიც, ფაქტობრივად, დუბლების ფეხბურთელები ასპარეზობდნენ.

თუმცა, გარკვეული პერიოდის მერე „დინამოსაც" სერიოზული პრობლემები შეექმნა, ოღონდ, ფინანსები აქ არაფერ შუაშია: ზუსტ „რეცეპტს" ვერავინ გეტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ მეორე ეტაპის სტარტზე ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი კლუბის ასპარეზობა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ნაყოფიერი ქართულ-უცხოური შეკრება, ათეულობით უცხოელი თუ ქართველი ახალწვეული, ახალი მეპატრონე, კლუბსა თუ გუნდის ხელმძღვანელობაში მომხდარი სერიოზული საკადრო ცვლილებები, — მოკლედ, ყველა წინაპირობა არსებობდა იმისათვის, „დინამო" მეორე ეტაპის დასაწყისიდანვე რომ ჩართულიყო „საჩემპიონო რბოლაში"; მაგრამ, მართლაც მოულოდნელზე-მოულოდნელი რამ



მოხდა: ჩემპიონობის ერთ-ერთმა ფავორიტმა გუნდმა სამ შეხვედრაში მხოლოდ და მხოლოდ 2(!) ქულის მოგროვება მოახერხა! ამასობაში კი, კონკურენტები წინ გაიჭრნენ და ამიერიდან „დინამოს" მართლაც ურთულესი ამოცანის გადაჭრა მოუწევს: სეზონის ბოლომდე სადმე ქულების დაკარგვის უფლებაც აღარა აქვს და პლუს, იმის იმედზეც უნდა იყოს, „ზესტაფონსა" და „ოლიმპს" გარკვეული ჩავარდნა დაეწყოს. მოკლედ, ხვალინდელ მატჩს სატურნიროს გარდა, არანაკლები ფსიქოლოგიური დატვირთვაც გააჩნია: სტუმრები ყველა ღონეს იხმარენ; მეორე ეტაპზე პირველი გამარჯვება რომ მოიპოვონ, მასპინძლები კი სახელოვან მეტოქესთან მაქსიმალური მოტივაციით რომ გამოვლენ, ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდება. ამ წყვილში ფავორიტად უცხოური საბუქმეიქერო კანტორები „დინამოს" მიიჩნევენ და, ალბათ, მართლებიც არიან — სტუმართა გუნდის ფეხბურთელებს ერთმანეთთან შეთამაშება კი აკლიათ, მაგრამ სათამაშო კლასით მასპინძლებს აღემატებიან. ხვალინდელ მატჩში ორივე გუნდი თითო-თითო დისკვალიფიცირებულ ფეხბურთელს მოისაკლისებს: მასპინძლებს **ომარ გოგონაია** (წინა ტურში „ტორპედოსთან" წაგებულ მატჩში ერთ-ერთი გამორჩეული რომ იყო „კოლხეთის" შემადგენლობაში) არ ეყოლებათ, „დინამოს" კი პორტუგალიელი ლეგიონერი **ედნილსონი** დააკლდება. ისე, რახან ლეგიონერი ვახსენეთ, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ალბათ, უკვე დროა, „დინამოს" უამრავმა უცხოელმა ახალწვეულმა მათზე გაცემული ავანსები გაამართლოს. და არა მხოლოდ უცხოელებმა - „დინამოსთვის" ფასეული შენაძენიაო, ჯერჯერობით ხომ ვერც ერთ ახალწვეულზე ვერ ვიტყვით.

## სიონი–ვიტ ჯორჯია

Bwin: 2.15 3.10 3.10

06.03. ბოლნისი. თ. სტეფანია

**15:00**

არბიტრი: **ხ. გაგნიძე;** ასისტენტები: **ი. კაკაბაძე, ს. სპიცინი;**
მეოთხე მსაჯი: **დ. ხარიტონაშვილი**
დისკვალიფიკაცია: **გ. ჯანელიძე (ვიტ ჯორჯია)**

წინა წყვილისგან განსხვავებით, „სიონი"-„ვიტ ჯორჯიას" დაპირისპირებაში მართლაც ძნელია რომელიმე გუნდს ფავორიტის სტატუსი მივანიჭოთ; ერთი შეხედვით, გარკვეული უპირატესობა „სიონს" უნდა ჰქონდეს — ბოლნისელებმა ჩემპიონატში მოგროვილი ქულების, ფაქტობრივად, 90 პროცენტი ხომ საკუთარ მოედანზე მოიპოვეს; თანაც, სეზონის სტარტიდან მოყოლებული, „სიონმა" უკვე არაერთი ფავორიტის გამწარებაც მოასწრო. მაგრამ **გიორგი ყიფშიძის** გუნდის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა არასტაბილურობაა: ერთი-ორ წარმატებულ შეხვედრას მერე აუცილებლად წაგებათა სერია უნდა მოჰყოლოდა, შემდეგ მეტ-ნაკლები „გამონათებებიც" იყო და ასე გრძელდება დღემდე. რაღა შორს მივდივართ: იგივე სურათია მეორე ეტაპის სტარტზეც და ასეთ არასტაბილურობას, ცოტა არ იყოს, შემაშფოთებელი სატურნირო მდგომარეობაც მოჰყვა. დღესდღეობით „სიონი" გასავარდნ ზონაში არ იმყოფება, მაგრამ მომდევნო ოთხი მატჩი ისეთ გუნდებთან („ტორპედო", „დინამო", „ზესტაფონი", „ოლიმპი") ელოდება, ვეჭვობთ, ქულათა მარაგი სერიოზულად რომ შეავსოს.

ეგაც რომ არ იყოს, „ვიტ ჯორჯია" ხომ მუდამ იყო ბოლნისელთათვის ერთ-ერთი ყველაზე უხერხული მეტოქე და განსაკუთრებით კი ეს ბოლო სეზონებზე ითქმის. თავად განსაჯეთ: ქვემოქართლელებს უკვე ათი მატჩია, „ვეტერინარები" რაც არ დაუმარცხებიათ! არადა, ურთიერთშეხვედრების სტატისტიკას თავი რომც დავანებოთ, სხვა ფაქტორიც არანაკლებ აღსანიშნავ-გასათვალისწინებელია: მეტოქისაგან განსხვავებით, „ვიტ ჯორჯია" მართლაც აღმავლობის გზაზეა და მეორე ეტაპის სტარტზე თუ რომელიმე გუნდზე ითქმის, წარმატებული თამაშით დაგვამახსოვრდაო, სწორედ „ვეტერინარები" არიან. შეგახსენებთ, რომ პირველი ეტაპის შემდეგ **მერაბ კოჭლაშვილის** გუნდს მხოლოდ 3 ქულა აშორებდა გასავარდნ ზონას; ახლა კი, ზედიზედ ორი გამარჯვების შემდეგ „ვეტერინარებმა" სატურნირო მდგომარეობაც მკვეთრად გაიუმჯობესეს და გვჯერა, მიღწეულითაც არ დაკმაყოფილდებიან. სხვათა შორის, ხვალინდელ მატჩში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან უმაღლესი ლიგის ყველაზე ასაკოვანი და ყველაზე ახალგაზრდული გუნდები: მასპინძელთა შემადგენლობაში ერთი-მეორეზე გამოცდილი ათზე მეტი ფეხბურთელია, მაშინ როცა „ვიტ ჯორჯიას" საშუალო ასაკი 22 წელს არ აღემატება. აქვე, იმასაც აღვნიშნავთ, რომ სტუმრებისგან განსხვავებით, „სიონი" ხვალ ოპტიმალური შემადგენლობით იასპარეზებს; აი, „ვიტ ჯორჯიას" კი, უდავოდ, სერიოზული დანაკლისი აქვს: დისკვალიფიკაციის გამო ხვალინდელ მატჩს ტოვებს გუნდის ერთ-ერთი ლიდერი **გიორგი ჯანელიძე**. არადა, ამ ახალგაზრდა ნახევარმცველმა, ისე როგორც „ვიტ ჯორჯიას" ახალმა კაპიტანმა **გიგა ბეჭვაიამ**, თებერვლის თვეში ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა.

გვერდი მოამზადა
**გია ტუხაშვილმა**

**7 მარტი**

**ზესტაფონი-ბაია**
**ოლიმპი-სპარტაკი**
**სამტრედია-ტორპედო**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
| 1 | ზესტაფონი | 22 | 15 | 2 | 5 | 44 | 13 | 47 | 10 | 9 | 0 | 1 | 26 | 2 | 27 | 12 | 6 | 2 | 4 | 18 | 11 | 20 |
| 2 | ოლიმპი | 22 | 13 | 5 | 4 | 33 | 19 | 44 | 12 | 10 | 2 | 0 | 20 | 4 | 32 | 10 | 3 | 3 | 4 | 13 | 15 | 12 |
| 3 | დინამო | 21 | 10 | 7 | 4 | 24 | 11 | 37 | 11 | 7 | 4 | 0 | 18 | 5 | 25 | 10 | 3 | 3 | 4 | 6 | 6 | 12 |
| 4 | ბაია | 21 | 8 | 5 | 8 | 21 | 23 | 29 | 12 | 7 | 3 | 2 | 15 | 10 | 24 | 9 | 1 | 2 | 6 | 6 | 13 | 5 |
| 5 | ვიტ ჯორჯია | 22 | 9 | 2 | 11 | 23 | 27 | 29 | 11 | 6 | 1 | 4 | 16 | 13 | 19 | 11 | 3 | 1 | 7 | 7 | 14 | 10 |
| 6 | ტორპედო | 22 | 6 | 8 | 8 | 11 | 13 | 26 | 10 | 4 | 5 | 1 | 6 | 3 | 17 | 12 | 2 | 3 | 7 | 5 | 10 | 9 |
| 7 | სიონი | 22 | 6 | 7 | 9 | 15 | 27 | 25 | 10 | 5 | 3 | 2 | 10 | 7 | 18 | 12 | 1 | 4 | 7 | 5 | 20 | 7 |
| 8 | სპარტაკი | 22 | 6 | 5 | 11 | 24 | 26 | 23 | 12 | 5 | 3 | 4 | 21 | 12 | 18 | 10 | 1 | 2 | 7 | 3 | 14 | 5 |
| 9 | კოლხეთი | 22 | 6 | 4 | 12 | 16 | 34 | 22 | 11 | 6 | 1 | 4 | 13 | 10 | 19 | 11 | 0 | 3 | 8 | 3 | 24 | 3 |
| 10 | სამტრედია | 22 | 5 | 5 | 12 | 19 | 37 | 20 | 10 | 5 | 3 | 2 | 11 | 8 | 18 | 12 | 0 | 2 | 10 | 8 | 29 | 2 |

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**
დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ჩემპიონატი და ტელევიზია

# ფედერაცია ნაკრების მატჩებს საზოგადოებრივ არხს აღარ უთმობს?

ტელევიზიისა და საფეხბურთო სამყაროს ურთიერთობები ევროპულ ქვეყნებში დიდი ხანიაააწყვეს და მომგებიან ბიზნესადაც იქცა. ინგლისის პრემიერლიგის მატჩების რეპორტაჟებიდან პრემიერლიგის კლუბები მინიმუმ 50 მილიონ გირვანქას იღებენ, გრანდები გაცილებით მეტსაც. ბუნდესლიგის მატჩების ექვსწლიანი ჩვენების ექსკლუზიური უფლების მოპოვება საკაბელო არხების ქსელ "პრემიერს" 4,7 მილიარდი დოლარი დაუჯდა.

კვიპროსშიც კი, სადაც 400 ათას ადამიანზე მეტი არ ცხოვრობს, ეს ბიზნესი მაინც მომგებიანი გახდა. ყველაფერი თხუთმეტიოდე წლის წინ დაიწყო, როდესაც ტელევიზიას, რომელიც მანამდე ტელერეპორტაჟების საფასურს არ იხდიდა, კვიპროსის საფეხბურთო კავშირმა სიმბოლურად ასი დოლარის გადახდა მოსთხოვა და ასე აეწყო ორივე მხარისთვის საქმიანი და სასარგებლო ურთიერთობები.

რუსეთში მსოფლიოს 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადებას იწყებენ. სახელმწიფო და რუსეთის საფეხბურთო კავშირი ერთიანი პროგრამით ცდილობენ ფეხბურთის წამოწევას და ეს მრავალმხრივი მიმართულებით მიმდინარეობს: გროზნოს "ტერეკში" რუუდ გულიტის, მახაჩყალის "ანჟიში" კი რობერტო კარლოსის ჩაყვანა პიარის კლასიკური მაგალითია. ცხადია, ამ მიმართულებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკუთარი ჩემპიონატის რეკლამირებას. ტელეკომპანია "ნტვ-პლუსის" დირექტორმა **დმიტრი ჩუკოვსკიმ** განაცხადა, რომ რუსეთის პრემიერლიგის მატჩების ჩვენებაში ტელეკომპანია 21 მილიონი დოლარის გადახდას დათანხმდა.

სამწუხაროდ, საქართველოში არც ეკონომიკა არის კარგად განვითარებული და, შესაბამისად, არც ფეხბურთი და ეროვნული ჩემპიონატი, რომ სპონსორების იმდენად, ტელევიზიებმა ეროვნული ჩემპიონატის მატჩების ტრანსლირების უფლება შეისყიდონ. "პირველი არხის" გენერალურმა დირექტორმა **გიორგი ჭანტურიამ** ნოემბერში "ლელოსთან" ინტერვიუში თქვა, რომ სწორედ ასეთ კომერციულ ურთიერთობებს ემხრობა, თუმცა საკითხი ჯერ მკვდარი წერტილიდან არ დაძრულა.

ეროვნული ჩემპიონატის პირდაპირ რეპორტაჟებს მეორე ეტაპზე ტელეეთერით კვლავ არ აჩვენებენ. პროფესიული ლიგისთვის უფლებების ჩამორთმევის შემდეგ, ამ საკითხებს ფეხბურთის ფედერაციის პრესატაშე **ლაშა დვალიშვილი** განაგებს და ვითარებაში გასარკვევად მას დავუკავშირდით.

**- ეროვნული ჩემპიონატის მატჩების პირდაპირ რეპორტაჟებს მაყურებელი როდის იხილავს?**

- მე ყველაფერზე ღიად ვისაუბრებ. ეროვნული ჩემპიონატის ჩვენების უფლება ფეხბურთის ფედერაციას ეკუთვნის, ჩვენმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ ჩემპიონატის ჩვენების უფლება დაინტერესებულ კომპანიას სრულიად უსასყიდლოდ გადასცეს. ამ მხრივ, კერძო კომპანიებს არანაირი ვალდებულება არ გააჩნიათ, მაგრამ ეს თემა პირდაპირ კავშირშია "საზოგადოებრივ მაუწყებელთან", რომელიც ვალდებულია გააშუქოს ყველაფერი, რაც საქართველოსთვის ეროვნული მოვლენაა, ჩვენი ჩემპიონატის ტელერეპორტაჟი კი სწორედ ასეთია. საამისოდ საჭიროა "საზოგადოებრივმა მაუწყებელმა" გამოყოს დრო და სახსრები, მით უფრო, რომ, ვიმეორებ, მატჩების ჩვენების უფლებას უსასყიდლოდ გადავცემთ.

**- "საზოგადოებრივ მაუწყებელს" ეროვნული ჩემპიონატის ტელერეპორტაჟების გადაცემა აღარ სურს?**

- არ ვიცი, მის ხელმძღვანელებს რა სურთ, მაგრამ ფაქტია, რომ არ აჩვენებენ. არადა ეროვნული ჩემპიონატის გაშუქება მათი პირდაპირი მოვალეობაა.

და კიდევ ერთი საკითხი: საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრების საშინაო შეხვედრების ჩვენების უფლებასაც ფეხბურთის ფედერაცია გასცემს. წელს კი თბილისში ჩვენი ნაკრები შეხვდება ხორვატიას, ლატვიასა და საბერძნეთს. ამას გარდა, დაგეგმილია ახალგაზრდული ნაკრების თამაშებიც. აქამდე ნაკრების მატჩების რეპორტაჟის უფლება "საზოგადოებრივ მაუწყებელს" ჰქონდა. თუმცა, რადგან ეროვნული ჩემპიონატის ტრანსლაციები არ აინტერესებთ, დავფიქრდებით, ნაკრების მატჩების ჩვენების უფლება რომელ კომპანიას გადავცეთ.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

ინტერვიუ ლევან ყენიასთან

# ეროვნული მნიშვნელობის ფეხბურთელი

## ყენია კვლავ დაისვენებს: ხუთ თვეს არაფერი დააკლდება!

**ლევან ყენია**, საუკეთესო შემთხვევაში, თამაშს 2011 წლის ივლისში განაახლებს. „შალკეს" ქართველმა ლეგიონერმა მორიგი ოპერაცია ფრანკფურტში გაიკეთა, სადაც გამოჯანმრთელების გარანტია მისცეს. შეგახსენებთ, რომ ყენიას კოჭის ტრავმის გამო, ფაქტობრივად, მეორე სეზონი უცდება.

ეს დათარსული პერიოდი ლევანს 2008 წლის ოქტომბრის შემდეგ დაეწყო. ტრავმა 2009 წლის წლის 25 ოქტომბერს, „ჰამბურგის" წინაალმდეგ მატჩში გაუმიზეზდა, როდესაც მოწინაალმდეგემ სწორედ მტკივან ადგილას ჩასცხო ფეხი. მას მერე ორი ოპერაცია დასჭირდა, რადგან ქირურგიული ჩარევა უშედეგო აღმოჩნდა...

გასული წლის დასაწყისში გელზენკირხენული კლუბის "შალკეს" შემტევმა ნახევარმცველმა ვარჯიში დაიწყო და ჩვენი ნაკრების გულშემატკივარს იმედი გაუჩნდა, რომ ნიჭიერი ფეხბურთელი ჯვაროსნებს დაეხმარებოდა. თემურ ქეცბაია ყოველთვის აღნიშნავდა, რომ გუნდს შემოქმედებითი ფეხბურთელები აკლდა და ლევან ყენიას დაბრუნებას განსაკუთრებით ელოდა.

მინდორზე ლევანის დაბრუნება 2010 წლის მარტის ბოლოს ლამის გადაწყვეტილიც იყო, შემდეგ ეს მაისისთვის გადაიდო, მაგრამ ისევ დაშავდა და სრული დატვირთვით ვარჯიში სექტემბრის დასაწყისიდან განაახლა.

და ისევ ტრავმა. ამის მიუხედავად, გასული წლის აპრილში ყენიას გადაბირება თურქეთის მიმდინარე ჩემპიონატის ლიდერ "ტრაბზონს" სურდა, რომლის მთავარი მწვრთნელი **შენოლ გიუნეში** გახლავთ, **შოთა და არჩილ არველაძეების** ყოფილი მწვრთნელი, ვისი ხელმძღვანელობითაც თურქეთის ნაკრები 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე ადგილზე გავიდა. იყო ლაპარაკი ყენიას ტრანსფერზე შოთას "ქაისერში" და პეტერბურგის "ზენიტში".

ეს ყველაფერი, ერთი შეხედვით, პარადოქსია, რადგან ტრავმირებულ ფეხბურთელს გადასვლას არ სთავაზობენ, მაგრამ ყენიას ნიჭმა ობიექტურად არსებული ბარიერიც წაშალა. ყველამ იცის, როდესაც ჯანმრთელად იყო, „ხუმარების" მთავარი მწვრთნელი **ფელიქს მაგათი** თითქმის ყოველთვის ათამაშებდა, ის კი უნიჭოს ახლოს არ იკარებს.

მორიგი იმედი წლეულს იანვარში დაგვიბრუნდა, ყენიამ ტრავმა მოიშუშა და "ხუმარებს" თურქეთის შეკრებაზე გაჰყვა. სამწუხაროდ, ვარჯიშზე ისევ დაშავდა და ინდივიდუალური პროგრამით ემზადებოდა, რადგან საშიში არაფერი უნდა ყოფილიყო. სამწუხაროდ, ტრავმა სერიოზული გამოდგა და შემდეგ გახდა ცნობილი ის ამბავი, რაც დასაწყისშიც გიამბეთ – ქართველ ფეხბურთელს ოპერაცია დასჭირდა.

20 წლის მოთამაშისთვის ეს ძალიან რთული გადასატანი უნდა იყოს. მცირე ასაკის მიუხედავად, ყენია კარიერაში მსგავს პრობლემას უკვე მეექვსედ შეეჯახა, მაგრამ "შალკეს" ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, რომ ყენია გასაოცარი მონდომებითა და თავდადებით ყველას აოცებს. როდესაც შრომით გერმანელს გააოცებ, ეს უკვე ბევრს ნიშნავს.

ცხადია, საინტერესოა, რა გახდა ლევანის ასეთი ქრონიკული ტრავმიანობის მიზეზი. ორი ვარიანტია, ან ორგანიზმი აქვს სუსტი, ან ცუდად მკურნალობენ, ან ფელიქს მაგათი ტვირთავს მეტისმეტად. უფრო ეს ბოლო ვარიანტი უნდა იყოს პასუხი, რადგან აქა-იქ ჩნდება ინფორმაციები მაგათის დესპოტურ და დაუნდობელ ვარჯიშებზე, რის გამოც ფეხბურთელები მასთან ვერ ჩერდებიან. ყენიას ტრავმაც, როგორც ვიცით, მისი დაყინების შედეგია - მოედანს მწვრთნელის მოთხოვნით ნაადრევად უბრუნდებოდა. ბუნდესლიგაში 2009 წელს მხოლოდ გამაყუჩებლებით თამაშობდა, რასაც ყველა ვერ გარისკავდა. მერე ნატკენ ადგილას ჩაარტყეს და კვლავ დასვენება მოუხდა. ლევანი ამაზე ღიად არ საუბრობს, მაგრამ მისი პასუხები ბევრ რამეზე მეტყველებს.

>> მე-4 გვერდზე





# BET GURU - თამაში მოგებისა და პოპულარიზაციისთვის

**ბეტ გურუ უკვე მეექვსე თვეა, რაც ინტერნეტსივრცეში გამოჩნდა, ფეხბურთის გულშემატკივართა ყურადღებაც მიიქცია და უმოკლეს დროში მომხმარებლების რიცხვმა 6000-ს გადააჭარბა. საიტი სრულიად უსასყიდლოდ, გულშემატკივარს აძლევს საშუალებას გააკეთოს პროგნოზი მატჩებზე და გახდეს ფულადი პრიზის მფლობელი. ყველაზე დიდი სიურპრიზი, რასაც bet.goli.ge მომხმარებელს სთავაზობს, სეზონის ბოლოს „ელ კლასიკოს" ორი ბილეთია.**

**თუ რას ემსახურება ეს პროექტი და რა პროცედურებია საჭირო იმისთვის, რომ bet.guru-ზე ითამაშო, ამაზე პროექტის ბიზნეს განვითარების მენეჯერი ლევან კეჭაყმაძე გესაუბრებათ.**

- საიტის ერთ-ერთი მიზანია goli.ge-ს პოპულარიზაცია, რომელიც აქტიურად აშუქებს ქართულ ფეხბურთს და შესაბამისად, საქართველოს ჩემპიონატის უფრო ახლოს გაცნობა და დაინტერესება იმ ადამიანების, რომლებიც აქამდე პასიურები იყვნენ. საიტზე რეგისტრაცია უმარტივესია, მომხმარებელმა უნდა შეიყვანოს სახელი, პაროლი და ელექტრონული ფოსტის მისამართი, რათა შემდგომ მასზე მიიღოს საჭირო ინფორმაცია და სიახლეები საიტის შესახებ.

არავისთვის უცხო არ არის, რომ ადამიანებს ერთმანეთთან შეჯიბრი უყვართ, მიზანიც სწორედ ეს არის - შეჯიბრი, რომელმაც მიიღო უკვე საყოველთაო ხასიათი და გადაიქცა მსჯელობის საგნად. ეს ყველაფერი, როგორც გითხარით, მასობრიობას გამოიწვევს, ჩვენს გათამაშებაში შედის ეროვნული ჩემპიონატიც, რაც თავისთავად გამოიწვევს ქართული გუნდებით დაინტერესებას.

რეგისტრაციის შემდეგ სისტემას გამოაქვს კონკრეტულ დღეს გასამართი მატჩების ნუსხა. ასევე, შესაძლებელია, წინა დღეებში გამართული და მომავალში გასამართი მატჩების ჩამონათვალის ხილვა. პროგნოზის გაკეთება ხდება მარტივად, მატჩების გასწვრივ მოცემულ ფსონებზე დაწკაპუნებით, გაკეთებული პროგნოზის შეცვლა შეუძლებელია.

პროგნოზის გაკეთება თამაშის დაწყებამდე ერთი საათით ადრეა შესაძლებელი.

საიტის საშუალებით მოთამაშე აკეთებს პროგნოზს კონკრეტულ მატჩზე სრულიად უსასყიდლოდ, ანუ მას პროგნოზის გასაკეთებლად თანხის დადება არ უწევს!

**- რომელი ქვეყნის ჩემპიონატებზე ხდება გათამაშება?**

- საიტზე ჯერჯერობით თერთმეტი ქვეყნის (საქართველო, ესპანეთი, იტალია, ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი, ჰოლანდია, ბელგია, შოტლანდია, პორტუგალი, თურქეთი) ჩემპიონატი, ჩემპიონთა ლიგისა და ევროპის ლიგის, ევრო 2012-ის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩები შედის.

**- ფსონის გაკეთებამდე მომხმარებელს საიტიდან თამაშის შესახებ რაიმე სახის ინფორმაციის მიღების საშუალება აქვს?**

- ეს ჩვენი საიტის კიდევ ერთი დადებითი მხარეა. დამატებითი კომფორტია მომხმარებლისთვის, თითოეული მატჩის გასწვრივ ე.წ. ლინკზე დაჭერით, ქართულ ენაზე თამაშის პრევიუ და დეტალური ინფორმაცია იხილოს.

**- ქულები რა პრინციპით ითვლება და რეიტინგი როგორ დგება?**

- საიტი გჩუქნით ვირტუალურ ლარს თითოეულ თამაშზე და თუ თქვენ ვირტუალური ლარი დადეთ გუნდზე, რომლის მოგებაზე ფსონი არის 3.15, შედეგის გამოცნობის შემთხვევაში, თქვენ დაგერიცხებათ 3.15-1=2.15 ქულა, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენ მოგაკლდებათ 1 ქულა. თამაშის გადადების შემთხვევაში თქვენი ფსონი გაუქმდება და თქვენს ქულებზე ეს ზეგავლენას არ იქონიებს. მოთამაშეების რეიტინგი ლაგდება დაგროვებული ქულებისა და პროცენტულობის მიხედვით. მოთამაშეს ასევე შეუძლია რეიტინგი რამდენიმე პრინციპით გაფილტროს: სეზონის, თვის, ცალკეულ ჩემპიონატებისა და ამ ჩემპიონატებში შემავალი თითოეული გუნდის მიხედვით.

**- რა ტიპის გათამაშებებს სთავაზობს ბეტ გურუ მომხმარებელს და რა პრიზებია დაწესებული გამარჯვებულებისთვის?**

- საიტს რამდენიმე სახის გათამაშება აქვს:

თითოეულ შეყვანილ ჩემპიონატზე თვის გამარჯვებული რეიტინგის მიხედვით ფულად ჯილდოს იღებს - 100 ლარს.

მაისის ბოლოს, ანუ სეზონის ბოლოს, გამარჯვებული სამეული გამოვლინდება. პირველადგილოსანი მიიღებს მომავალ სეზონში გასამართ „ელ კლასიკოს" ორ ბილეთს ან 3 000 ლარს (სურვილისამებრ), მეორე ადგილი - 1000 ლარს, მესამე ადგილი - 500 ლარს.

ასევე გვაქვს გათამაშება TOP 5, რომელსაც აქვს ბილეთის სახე და თამაშდება ყოველკვირეულად. ჩვენს მიერ ირჩევა ხუთი გუნდი, რომლის შედეგების გამოცნობაზეც დაწესებულია სპეციალური ფულადი პრიზი. გათამაშების საპრიზო ფონდი 250 ლარია და თანაბრად ნაწილდება ყველა გამარჯვებულზე. იმ შემთხვევაში, თუკი TOP 5 არ გათამაშდება, საპრიზო ფონდი შემდეგ კვირას იზრდება. გათამაშებაში შესულ მატჩებზე ჩნდება TOP 5-ის აღმნიშვნელი სიმბოლო, აუცილებელი პირობაა, რომ ხუთივე თამაშზე პროგნოზი გაკეთდეს ამ გათამაშებაში შესული პირველი თამაშის დაწყებამდე ორი საათით ადრე. უფრო დეტალური ინფორმაცია საიტზე არსებულ წესების განყოფილებაში შეგიძლიათ იხილოთ.

**- როგორია თქვენი საიტის სამომავლო გეგმები?**

- უახლოეს გეგმებს რაც შეეხება, მარტიდან უკვე დავამატეთ კიდევ ორი ქვეყნის ჩემპიონატი (უკრაინა, ირლანდია) და მომავალში ასევე ვაპირებთ ახალი ჩემპიონატების დამატებას. გათამაშების სისტემა იგივე დარჩება, ანუ კონკრეტულ ჩემპიონატში პირველ ადგილოსანი თვის რეიტინგის მიხედვით მიიღებს 100 ლარს.

ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ ჩვენსავე მომხმარებლებთან, რომელთა იდეები და შენიშვნები ჩვენთვის მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია. ყველას შეუძლია მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე მოგვწერონ თავიანთი აზრი.

მომავალშიც ბევრ საინტერესო სიახლეს გპირდებით.

გისურვებთ წარმატებას!

**ელ-ფოსტა:info@goli.ge**

R

BG **Bet Guru**

**http://bet.goli.ge**

სრულიად უფასოდ!!!

ხარ აზარტული და გიყვარს ფეხბურთი ?

გამოიცანი თამაშების შედეგები და მოიგე !

- თითოეულ ჩემპიონატზე თვეში 100 ლარი
- Top 5 - ყოველკვირეული გათამაშება - საპრიზო ფონდი 250 ლარი!
- სეზონის ბოლოს 3000 ლარი, ან 'ელ კლასიკოზე' დასასწრები 2 ბილეთი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

# ეროვნული მნიშვნელობის ფეხბურთელი

« მე-3 გვერდიდან

*ლევანს გუშინ გერმანიაში დავუკავშირდით.*

**- როგორ ჩაიარა ოპერაციამ?**

- ნორმალურად, საავადმყოფოდან გამომწერეს, ახლა სახლში ვწევარ.

**- რამდენი ხანი მოგიწევს მკურნალობა და ვარჯიშს როდის დაიწყებ?**

- ექიმის თქმით, რეაბილიტაციისთვის 5 თვე დამჭირდება და სრული დატვირთვით მხოლოდ ამის შემდეგ ვივარჯიშებ. ასე რომ, კიდევ დიდხანს ვერ ვითამაშებ.

**- ხუთი თვე მკურნალობისთვის საჭირო მაქსიმალური დროა თუ მინიმალური?**

- ნაკლებ დროში ვარჯიშის დაწყება გამორიცხულია. ფეხი 10 კვირა თაბაშირში უნდა მქონდეს, შემდეგ კი 8 კვირა სპეციალური ფეხსაცმელით მომიწევს სიარული, მოკლედ, სრული რეაბილიტაციისთვის დიდი დრო მჭირდება.

**- საწყენია, ამდენი ხანი რომ გიცდება და ნაკრებს ვერ ეხმარები.**

- თამაში მეც ძალიან მომენატრა, მაგრამ ახლა აღარ ვიჩქარებ.

**- ადრე ვინ გაჩქარებდა, მაგათი?**

- ვინც არ უნდა დამაჩქაროს, თუნდაც მაგათი იყოს, ჩემთვის მთავარია, ერთხელ და საბოლოოდ გამოვჯანმრთელდე და მოედანს ასე დავუბრუნდე, და არა ნახევრად ჯანმრთელი. არ შეიძლება მუდმივად რაღაცას ითვალისწინებდე და შენი ჯანმრთელობა სასწორზე დადო.

**- შანსი არის, რომ მკურნალობის დასრულების შემდეგ "შალკე" დატოვო?**

- მაგათი არ გამიშვებს. თავის დროზე ხომ მინდოდა წასვლა, მაგრამ არ გამყიდა. არადა, აქედან წასვლა მინდა.

**- კონტრაქტი როდის გიმთავრდება?**

- 2012 წლის ზაფხულში, კიდევ წელიწად-ნახევარი დამრჩა.

**- ბოლოს რაულზე აუცილებლად უნდა გკითხო, რომელიც "შალკეში" ზაფხულში ჩაირიცხა. როგორი ადამიანია?**

- ამ სეზონში "შალკეში" ერთად სამი კვირა მაინც ვივარჯიშეთ და მასთან ვარჯიშიც მომწონდა და ურთიერთობაც. ძალიან კარგი ადამიანი და ფეხბურთელია.

ჩვენის მხრივ კი დავძენთ: სწორედ ლევან ყენიას, ჯანო ანანიძისა და ლევან მჭედლიძის მხრებზე უნდა დადგეს საქართველოს მომავლის ნაკრები. ამ პატარა ბიჭებს დიდი პოტენციალი გააჩნიათ და არ მოგვერიდება იმის თქმა, რომ ისინი ეროვნული მნიშვნელობის ფეხბურთელები არიან. რუსები ფიქრობენ, ვის დაეყრდნობიან 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე. წლების წინ ანალოგიურ გეგმებზე გერმანელებიც ლაპარაკობდნენ. არა მგონია, მსგავს საკითხებზე ფიქრი ქართველებს არ გვჭირდებოდეს.

სწორედ აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ქართული საფეხბურთო სამყარო უფრო აქტიურად უნდა ეხმარებოდეს ლევან ყენიას პრობლემების მოგვარებაში. თორემ სხვადასხვა პრობლემის გამო რამდენიმე ნიჭიერი ფეხბურთელი დავკარგეთ, რაც დღემდე ვერ მოგვინელებია – მომავალ თაობას კი მეტი მზრუნველობა სჭირდება.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონი



# კალაძის სწორი არჩევანი

პოპულარულმა საფეხბურთო ვებგვერდმა goal.com-მა **კახა კალაძის** კომენტარი გამოაქვეყნა, სადაც საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანი "მილანიდან" "ჯენოაში" გადასვლის მიზეზებსა და ახალ გუნდში მიღებულ შთაბეჭდილებებზე საუბრობს.

*"მილანში" გატარებული ბოლო პერიოდი ძალიან ცუდად მახსენდება, რადგან თამაში აღარ მიწევდა და თავდაჯერება დავკარგე. სათამაშო პრაქტიკის დაკარგვა კი ტრავმას მოჰყვა, გამოჯანმრთელების შემდეგ მოედანზე გასვლის შანსი იშვიათად მეძლეოდა.*

*"ჯენოაში" კი თავი ძალიან კომფორტულად ვიგრძენი. სანამ გადაწყვეტილებას მივიღებდი, ამ კლუბის პრეზიდენტი და მწვრთნელი გამესაუბრნენ და დამარწმუნეს, რომ სწორ ნაბიჯს ვდგამდი. "ჯენოაში" გადასვლა უდავოდ მართებული ნაბიჯი იყო, აქ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის შანსი მომეცა და ამის გამო ძველებურად ავთამაშდი", - ამბობს კალაძე.*

მან ისიც თქვა, რომ "იუვენტუსში" გადასვლის ვარიანტიც ჰქონდა, მაგრამ ეს ტრანსფერი მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ განხორციელდა.

# იაშვილს შარინგერი დაუნიშნეს

**უვე რაპოლდერის** დათხოვნის შემდეგ "კარლსრუე" სულ რამდენიმე დღით იყო მთავარი მწვრთნელის გარეშე დარჩენილი და კლუბის ხელმძღვანელობამ ახალი სპეციალისტი ოპერატიულად იპოვა – **ალექსანდრე იაშვილის** გუნდს ამიერიდან 43 წლის **რაინერ შარინგერი** გაწვრთნის.

იგი ფართო საზოგადოებისთვის უცნობია და მხოლოდ მეორებუნდესლიგური კლუბები გაუწვრთნია. შარინგერს მიმდინარე სეზონში მკაფიო ამოცანა დაუსახეს – "კარლსრუეს" მეორე ბუნდესლიგაში დატოვება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერი

# დვალიშვილი უკვე გუნდთან ვარჯიშობს




**ლადო დვალიშვილი** მოედანს დაუბრუნდა და ჰაიფას "მაქაბიში" ვარჯიშობს. ეს ამბავი გუშინ თავად ფეხბურთელისგან შევიტყვეთ. როგორც ცნობილია, 24 წლის ქართველი თავდამსხმელი საქართველოსა და სომხეთის ნაკრებების 9 თებერვლის შეხვედრამდე ოთხი დღით ადრე დაშავდა: 5 თებერვალს ისრაელის ჩემპიონატის შეხვედრაში „ბნეი სახნინთან" კუნთი დაეჭიმა და მოედანი ნაადრევად დატოვა. დვალიშვილს კუნთი ჰქონდა გაწყვეტილი, მაგრამ ერთთვიანმა მკურნალობამ შედეგი გამოიღო.

*"ტრავმის შემდეგ მცირე ხანი ვისვენებდი, მერე ინდივიდუალურად ვვარჯიშობდი, ორშაბათიდან კი გუნდთან ერთად - სრული დატვირთვით. ასე რომ, უკვე ჯანმრთელად ვარ და იმედია, ხორვატიასთან მატჩს მზადყოფნაში დავხვდები. მთავარია, მანამდე ფორმა ალვიდგინო"*, - გვითხრა დვალიშვილმა.

დვალიშვილმა 2011 წელი კარგად დაიწყო, გასული წლის დეკემბრიდან შვიდ მატჩში ექვსი გოლი გაიტანა, სულ კი ისრაელის მიმდინარე ჩემპიონატში - ათი გოლი.

**მერაბ მამულაშვილი**

ვიტ ჯორჯია

# მარტის ბოლომდე მოვიცადოთ...

უკვე დიდი ხანია, რაც "ვიტ ჯორჯია" და საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ერთობლივად შეუდგნენ მცხეთის სტადიონის რეკონსტრუქციას და სამუშაოების ძირითადი ნაწილიც შესრულდა, მაგრამ გუნდი იქ საშინაო მატჩების ჩატარებას დღემდე ვერ ახერხებს. წლის დასაწყისში კლუბის ხელმძღვანელობა იმედოვნებდა, რომ მცხეთაში თამაში სეზონის განახლებამდე იქნებოდა შესაძლებელი, მაგრამ როგორც იცით, საქართველოს ჩემპიონატში "ვიტ ჯორჯია" მეტოქეებს ამჟამად თემქაზე მდებარე "შატილის" სპორტკომპლექსში მასპინძლობს.

ბოლო თაობის ხელოვნურსაფარიანი მოედანი ყოფილ "არმაზზე" უკვე დიდი ხნის დაგებულია, მაგრამ თამაში მოედანზე კაუჩუკისა და ეგრეთ წოდებული "ეგვიპტური ქვიშის" შეტანამდე არ შეიძლებოდა. კაუჩუკი მცხეთაში დიდი ხნის მიტანილია, ქვიშა კი გარკვეული პერიოდი ფოთში საბაჟო კონტროლს ელოდებოდა.

ინფორმაციისთვის "ვიტ ჯორჯიას" გენერალურ დირექტორ **მალხაზ კაკაურიძეს** მივმართეთ, რომელმაც გვითხრა, რომ ქვიშა უკვე მცხეთაშია ჩატანილი და მოედანი სათამაშო მზადყოფნაში მალე მოვა.

*"კაუჩუკისა და ქვიშის მოედანზე შესატანად უკვე მზად ვართ, მაგრამ გამოდარებასა და საფარის გაშრობას ველოდებით. თუ ამინდებმა ხელი შეგვიწყო, მოედნის მომზადებას უახლოეს დღეებში შევუდგებით და ამ პროცესს დიდი დრო არ დასჭირდება. კიდევ რამდენიმე დღე საფარის "დაჯდომას" დასჭირდება და დაახლოებით მარტის ბოლოსთვის "ვიტ ჯორჯია" მცხეთაში დაბრუნდება"*, - გვითხრა კაკაურიძემ.

მცხეთის სტადიონზე ითამაშებენ "ვიტ ჯორჯიას" მთავარი გუნდი და დუბლშემადგენლობა, იქვე წარიმართება საწვრთნელი პროცესიც.

სტადიონის რეკონსტრუქციის თემაზე "ლელომ" ამას წინათ რეპორტაჟი შემოგთავაზათ და იცით, რომ მცხეთის არენაზე ბევრი რამ შეიცვალა – შეკეთდა ტრიბუნა, დაიგო 2 ათას მაყურებელზე გათვლილი ინდივიდუალური სკამები, გარემონტდა გასახდელები, მსაჯთა, დელეგატთა, საპრესკონფერენციო და სხვა ოთახები, შენობაში მთლიანად შეიცვალა კომუნიკაციები, დამონტაჟდა ახალი საკანალიზაციო სისტემა, სტადიონი ხელახლა შემოიღობა... მოკლედ, მხოლოდ მოედნის კეთილმოწყობაღა დარჩა და მწირი ინფრასტრუქტურის მქონე ქართულ ფეხბურთს ჩვენს კვალობაზე მაღალი დონის სტადიონი შეემატება.

კაკაურიძემ ისიც გვითხრა, რომ კლუბი აუცილებლად მიჰყვება დასახულ გეგმას და სტადიონის რეკონსტრუქციას გააგრძელებს. უახლოეს მომავალში "ვიტ ჯორჯია" მცხეთის სტადიონზე მეორე ტრიბუნას ააშენებს, შემდგომში კი ღამის განათებას დაამონტაჟებს. სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე შეძენილ მიწის ფართობზე კი დამატებითი მოედნების მოწყობაა დაგეგმილი.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ქალთა ფეხბურთი

# ქალები ერთიანდებიან მშვიდობისათვის

**დღეს**, 14 საათსა და 30 წუთზე "ირაოს" საფეხბურთო სკოლის მოედანზე მინი-ფეხბურთში მოყვარულ ქალთა ტურნირი დაიწყება, რომლის ორგანიზატორებიც საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR) არიან. ტურნირი ქალთა საერთაშორისო დღეს ეძღვნება და ფინალური მატჩი სწორედ 8 მარტს გაიმართება. ტურნირის დევიზია "ქალები ერთიანდებიან მშვიდობისათვის".

გუშინ კი მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის საკონფერენციო დარბაზში შეჯიბრების წილისყრა გაიმართა, რის შემდეგაც ტურნირის ორგანიზატორებმა პრესკონფერენცია ჩაატარეს.

თავდაპირველად, ჯგუფების შემადგენლობას გაგაცნობთ.

**A ჯგუფი:** I არხი, "სულიკო", "გოგოები", "თანხმობა".

**B ჯგუფი:** "მეგათეო", goli.ge, "შავშვები", "ფეოლა".

მონაწილეთაგან ორი გუნდი ჟურნალისტებითაა დაკომპლექტებული, "თანხმობისა" და "შავშვების" შემადგენლობაში კი დევნილი გოგონები ითამაშებენ. ჯგუფური ეტაპის მატჩები დღეს და ხვალ გაიმართება, ნახევარფინალები 7 მარტს, ფინალი – 8 მარტს.

პრესკონფერენციაზე მასმედიის წინაშე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მასობრივი ფეხბურთის განყოფილების უფროსი **დიმიტრი ბოკერია**, გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის მენეჯერი **თამარ თავართქილაძე** და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენელი **სოფი იუსერი** წარსდგნენ.

**დიმიტრი ბოკერია:** *"ფეხბურთის ფედერაცია ქალთა ტურნირებს ყოველწლიურად ატარებს, ახლა კი შეჯიბრებამ სოციალური დატვირთვა შეიძინა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მსგავს წამოწყებებს ყოველთვის მიესალმება, დარწმუნებულები ვართ, რომ ტურნირი საინტერესო გამოვა და თავის ფუნქციას სრულად შეასრულებს".*

თამარ თავართქილაძე: *"გაეროს ქალთა ორგანიზაცია ქალთა უფლებების დასაცავად სხვადასხვა პროექტს ახორციელებს და ამ ტურნირის ორგანიზებაშიც დიდი სიამოვნებით ვმონაწილეობთ. უკვე ორი წელია, რაც დევნილების პრობლემებზე აქტიურად ვმუშაობთ და მათი ამ ღონისძიებაში ჩართვა ძალიან გვახარებს".*

**ლევან ჯანეზაშვილი**

ინგლისი. პრემიერლიგა. XXIX ტურის წინ

# შოტლანდიელთა ინგლისური დაპირისპირება

**დღეს, 19:00**
**არსენალი – სანდერლენდი** VS
**ტრავმა:** ფაბრეგასი, უოლკოტი, ვან პერსი, ფაბიანსკი, ვერმაელენი, ფლიმპონგი - უილბეკი, მეილერი, კატერმოული, ტერნერი, ფ. კემპბელი

**დღეს, 16:45**
**ბირმინგემი – ვესტ ბრომვიჩი** VS
**დისკვალიფიკაცია:** დელფუენსო (ბირმ)
**ტრავმა:** ჰლები, დანი - იბანიესი

**დღეს, 19:00**
**ბოლტონი – ასტონ ვილა** VS
**დისკვალიფიკაცია:** მაკუნი (ასტონ ვილა)
**ტრავმა:** რიკეტსი, ნაითი, სემუელი - კუელარი, ლ. იანგი, უაიმენი

**დღეს, 19:00**
**ნიუკასლი – ევერტონი** VS
**დისკვალიფიკაცია:** რ. ტეილორი (ნიუკ)
**ტრავმა:** გოსლინგი, გათრი, ამეობი, აირლენდი, სმიტი, ბენ არფა - ფელაინი, ტ. კეჰილი, ბეკფორდი, ბარკლი

**დღეს, 19:00**
**ფულჰემი – ბლექბერნი** VS
**ტრავმა:** სენდეროსი - ნილსენი, ჰოილეტი, ჯონსი

**ხვალ, 17:30**
**ლივერპული – მანჩესტერ იუნ.** VS
**დისკვალიფიკაცია:** ვიდიჩი (მანჩ)
**ტრავმა:** კელი, აგერი, აურელიო, შილვი - ოუენი, ანდერსონი, პარკ ჯი-სუნგი, ჰარგრივზი, ევანსი, ვალენსია

**ზეგ, 00:00**
**ბლექპული – ჩელსი** VS
**დისკვალიფიკაცია:** კემპბელი, ადამი (ბლექ)
**ტრავმა:** ტეილორ-ფლეტჩერი, გრენდინი, რაჩუბკა, გილკსი, კრეინი, ბეშამი, კლარკი - ალექსი, ბენაიუნი

**დღეს, 19:00**
**ვესტ ჰემი – სტოკი** VS
**ტრავმა:** აპსონი, კინი, კურუჟი - ეზერინგტონი, ფეიე, სიდიბე

**დღეს, 21:30**
**მანჩესტერ სიტი – უიგანი** VS
**დისკვალიფიკაცია:** რაზაკი (მანჩ)
**ტრავმა:** გივენი, რიჩარდსი, კომპანი, დე იონგი, ა. ჯონსონი - ბოისი

**ხვალ, 20:00**
**ვულვერჰემპტ. – ტოტენჰემი** VS
ვულვერჰემპტონი-ტოტენჰემი 20:00
**ტრავმა:** ჰანტი, ნაითი - ვუდგეიტი, ჩორლუკა, კაბული, კინგი, ჰადლსტოუნი

სამშაბათს „მანჩესტერ იუნაიტედის“ დამარცხებით „ჩელსიმ“ საჯაროდ გამოაცხადა, რომ ბედს არ შერიგებია და ამ სეზონში კიდევ აპირებს ჩემპიონის ტიტულისთვის გაბრძოლებას. და აი, ლონდონელების შემდეგ მანჩესტერელთათვის თავისი ძალის ჩვენებას „ლივერპული“ შეეცდება. შეხვედრა, რომელიც კვირას „ენფილდ როუდზე“ გაიმართება, რასაკვირველია, საყოველთაო ყურადღების ცენტრშია. ჩვენც, ნება გვიბოძეთ მასზე შევჩერდეთ.

მოგეხსენებათ, მანჩესტერელთა მწვრთნელი სერ **ალექს ფერგიუსონი** ცბიერი კაცია და ყოველი დიდი თამაშის წინ პრესაში ისეთ რამეს ამბობს, მეტოქე, რომ დააბნიოს ან გააბრაზოს და მოთმინება დააკარგინოს. ეს მისი ჩვეული ხერხია, მაგრამ „ლივერპულის“ თავკაცი **კენი დალგლიში** ამბობს, რომ მასთან ფერგის ეს ნამდვილად არ გაუვა:

*„ჩვენ, ორივენი, მოკლე შარვლებს კარგა ხანია აღარ ვიცვამთ. ჩემთვის გონების არევა ძალიან ძნელი საქმეა. ვიცი, ალექსს დიდი მატჩების წინ მოწინააღმდეგის დაბნევა უყვარს, მაგრამ ჩემს შემთხვევაში არ ვურჩევ, რადგან პასუხად იმავეს მიიღებს“.*

ზეზი: „მანჩესტერ იუნაიტედი“ მე-19 ტიტულს უმიზნებს, ეს კი „ლივერპულის“ რეკორდის დამხობას ნიშნავს. სხვა სიტყვებით, კითხვაზე, ვინ არის ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ტიტულიანი გუნდი პასუხი „ლივერპული“ აღარ იქნება.

ქიშპობა ჯერ კიდევ 1986 წლიდან იღებს სათავეს. ეს ის წელიწადია, როდესაც ფერგიუსონი „იუნაიტედის“ მწვრთნელად დანიშნეს და მან გამოაცხადა, რომ მიზნად „ლივერპულის“ ტახტიდან ჩამოგდებას ისახავს. აი, გავიდა მას მერე 25 წელიწადი — საქმე საქმეზეა მიმდგარი.

თავში მოგახსენეთ, რომ მერსისაიდელებს სამშაბათს „ჩელსიმ“ გული გაუკეთა. ახლა, თავად მათზეა. რასაკვირველია, ფანების დაჟინებული მზერა „არსენალისკენაც“ არის მიმართული. ლონდონელები, მართალია, „იუნაიტედს“ 4 ქულით ჩამორჩებიან, მაგრამ თამაშით ნაკლები აქვთ. დღეს ისინი „სანდერლენდს“ მასპინძლობენ და, ალბათ, ტრადიციულად სწორი განწყობის პოვნის პრობლემა აქვთ. მოგეხსენებათ, რამდენიმე დღეში მათ ჩემპიონთა ლიგაში, „კამპ ნოუზე“, „ბარსელონას-

მაგრამ, მოდი, „ლივერპულისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ შეხვედრას დავუბრუნდეთ. ამ სეზონში ხვალინდელმა მეტოქეებმა უკვე ორჯერ ითამაშეს და ორივეჯერ „ოლდ ტრეფორდზე“. პრემიერლიგის შეხვედრა „იუნაიტედმა“ 3:2 მოიგო, ფეხბურთის ასოციაციის თასისა კი 1:0. თუმცა, არსებობს სხვა სტატისტიკაც: „ენფილდ როუდზე“ „იუნაიტედმა“ ბოლო ორი ვიზიტი წააგო.

მანჩესტერელებს დაცვის ცენტრში არ ეყოლებათ **ნემანია ვიდიჩი**, რომელმაც „ჩელსისთან“ შეხვედრაში წითელი ბარათი მიიღო, თუმცა **კრის სმოლინგს** შესაძლოა გამოჯანმრთელებული **რიო ფერდინანდი** შეუწყვილდეს. თუ ფერდინანდის მდგომარეობა ფერგიუსონს მაინც საეჭვოდ ეჩვენა, მაშინ მოედანზე **ვეს ბრაუნს** უნდა ველოდეთ.

*„სამშაბათის დამარცხებამ, რასაკვირველია, უკან დაგვწია, მაგრამ კვირამდე გონს უნდა მოვეგოთ* — თქვა სერ ალექსმა, ნახევარმცველმა **მაიკლ ქერიკმა** კი დასძინა, რომ მის გუნდს სწორედ ეს არ ესწავლება — წაგების შემდეგ საქმეში გაორმაგებული ძალიათ დაბრუნება მათთვის ჩვეული საქმეა:




და თქვენ გგონიათ დალგლიში ფერგიუსონს მხოლოდ დაემუქრა? მან თავად იეშმაკა — **ენდი ქეროლის** ამბით იქით გაუჩინა „იუნაიტედის“ თავკაცს თავსატეხი. ბოლო წამამდე გაუგებარია გამოჯანმრთელდა თუ არა ქეროლი, ითამაშებს „მანჩესტერ იუნაიტედის“ წინააღმდეგ თუ ვერა... მოგეხსენებათ, „ნიუკასლისგან“ 35 მილიონ ფუნტად ნაყიდი თავდამსხმელი უკვე შეუდგა სრულყოფილ ვარჯიშებს და კიდევ ერთ ახალწვეულ **ლუის სუარესთან** ერთად კომბინაციებსაც კი ამუშავებდა.

დალგლიში: *„დარწმუნებული ვარ ფერგის ერთი სული აქვს გაიგოს ითამაშებს მის წინააღმდეგ ქეროლი თუ ვერა. რა გითხრათ? ჩვენ თავად არ ვიცით. თუ ითამაშებს კარგი ბიჭი იქნება“.*

აი, ასე აგიჟებს ორი შოტლანდიელი ერთმანეთს. როგორც ჩანს მათ ეროვნული თვისებასთან გვაქვს საქმე. ხოლო იმას, რომ „ლივერპულისთვის“ „მანჩესტერ იუნაიტედის“ შეჩერება ძალიან მნიშვნელოვანია, მკითხველისთვის შეხსენება არც უნდა. მერსისაიდელებს „იუნაიტედის“ გარდა ნებისმიერი სხვა გუნდის ჩემპიონობა აძლევთ ხელს. მი-

თან“ ელით დიდი მატჩი და შესაძლოა გონება მთლიანად იმ შეხვედრით აქვთ დაკავებული. არადა, პრემიერლიგაში ქულის დაკარგვა **არსენ ვენგერის** გუნდისთვის სერიოზული დარტყმა იქნება. თუმცა, არაფერი გაგიკვირდეთ, ეს ხომ „არსენალია“, ტიტულებზე დამშეული გუნდი, რომელიც „ქარლინგის“ თასის ფინალში გავიდა და იქ „ბირმინგემთან“ წააგო. ის კი არა, ფახბურთის ასოციაციის თასზე „ლეიტონ ორიენტთანაც“ კი გადათამაშება დასჭირდა. და ეს ყველაფერი „ბარსელონას“ ძლევასთან ერთად.

თან, „მეთოფეებს“ დაშავებულთა სიაც საკმაოდ გრძელი აქვთ... და თავის მხრივ, არც „სანდერლენდია“ ჯაბანი — **სტივ ბრუსის** გუნდმა ამ სეზონში დაამარცხა „ჩელსი“ და „მანჩესტერ სიტი“, ხოლო „მანჩესტერ იუნაიტედთან“, „ლივერპულთან“ და თავად „არსენლათან“ ფრედ ითამაშა.

დღესვე თამაშობს მესამე ადგილზე მყოფი „მანჩესტერ სიტი“, „უიგანს“ მასპინძლობს. მეხუთე, „ტოტენჰემი“ ხვალ „ვულვერჰემპტონს“ ეთამაშება, ხოლო „ჩელსი“ ორშაბათს „ბლექპულს“ ხვდება.

*„სამშაბათის თამაშის შემდეგ იმედგაცრუებულები ვიყავით, მაგრამ კვირისთვის კვლავ საბრძოლო განწყობაზე ვიქნებით. „ჩელსისთან“ წაგება უნდა დავივიწყოთ, ვითომც არ ყოფილა. კვირას „ენფილდზე“ დიდი მატჩი გველის და მას მზად უნდა შევხვდეთ“*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 28 | 17 | 9 | 2 | 62:27 | 60 |
| 2. არსენალი | 27 | 17 | 5 | 5 | 57:27 | 56 |
| 3. სიტი | 28 | 14 | 8 | 6 | 44:25 | 50 |
| 4. ჩელსი | 27 | 14 | 6 | 7 | 48:23 | 48 |
| 5. ტოტენჰემი | 27 | 13 | 8 | 6 | 38:31 | 47 |
| 6. ლივერპული | 28 | 11 | 6 | 11 | 36:35 | 39 |
| 7. ბოლტონი | 28 | 9 | 10 | 9 | 39:38 | 37 |
| 8. სანდერლენ. | 28 | 9 | 10 | 9 | 33:35 | 37 |
| 9. ნიუკასლი | 28 | 9 | 9 | 10 | 43:39 | 36 |
| 10. სტოკი | 28 | 10 | 4 | 14 | 32:33 | 34 |
| 11. ევერტონი | 27 | 7 | 12 | 8 | 35:36 | 33 |
| 12. ასტონ ვილა | 28 | 8 | 9 | 11 | 35:47 | 33 |
| 13. ფულჰემი | 28 | 6 | 14 | 8 | 29:29 | 32 |
| 14. ბლექბერნი | 28 | 9 | 5 | 14 | 35:46 | 32 |
| 15. ბლექპული | 28 | 9 | 5 | 14 | 42:55 | 32 |
| 16. ბირმინგემი | 26 | 6 | 12 | 8 | 25:35 | 30 |
| 17. ვესტ ბრომ. | 28 | 7 | 8 | 13 | 36:53 | 29 |
| 18. ვულვზი | 28 | 8 | 4 | 16 | 31:46 | 28 |
| 19. ვესტ ჰემი | 28 | 6 | 10 | 12 | 33:49 | 28 |
| 20. უიგანი | 28 | 5 | 12 | 11 | 27:49 | 27 |

● სკანდალი



## ტურე სულელია, ნარკომანი თუ გაუგებრობის მსხვერპლი?

„მანჩესტერ სიტის“ მცველი **კოლო ტურე** შეიძლება ორწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯონ. მიზეზი: კოტ'დივუარელი მცველის ორგანიზმში დოპინგი აღმოაჩინეს. სწორედ ამიტომ არ ათამაშა **რობერტო მანჩინიმ** 29 წლის ვარსკვლავი ოთხშაბათს ფეხბურთის ასოციაციის თასზე „ასტონ ვილას“ წინააღმდეგ. შეგახსენებთ, რომ ეს შეხვედრა ისტლენდელებმა 3:0 მოიგეს.

ხუთშაბათს, ანტისადოპინგო ლაბორატორიის თანამშრომელთათვის ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი რა ნივთიერება აღმოაჩინეს ტურეს ორგანიზმში. ეს შეიძლებოდა ყოფილიყო ძალთა აღმდგენი წამლის „ნაწილი“, თუმცა თავისუფლად შეიძლებოდა პირწმინდა დოპინგის კვალიც აღმოჩენილიყო. მკაფიო პასუხი მეორე ტესტმა უნდა გასცეს, მანამდე კი „სიტის“ ყოფილ კაპიტანს თამაშის უფლება არ აქვს. ინგლისური ტაბლოიდები „გაძვრენ-გამოძვრენ“ და მავანი წყაროებისგან გაიგეს, რომ დიდი შანსია ტურე თავისი „ფარმაცევტული საქმიანობის“ შესახებ კლუბს უმალავდა. თუმცა, ასეც რომ იყოს, ფეხბურთის ასოციაციას გული არ მოულბება.

ბრიტანეთში ასეა: ყველა სპორტსმენს ეძლევა აკრძალულ ნივთიერებათა ჩამონათვალი და, შესაბამისად, ისინი ვალდებულნი ხდებიან თავიანთ ექიმებს შეუთანხმონ რა ვიტამინებს თუ წამლებს სვამენ. ახლა, როგორც მოგახსენეთ, ტურეს ამბის ბოლომდე გასარკვევად კიდევ ერთი ტესტია საჭირო, თუმცა, რომც გაირკვეს, რომ ის ძალთა აღმდგენ საშუალებას ეტანებოდა, „კრიმინალური შემოწმება“ მაინც გასავლელი იქნება — ვაითუ, ნარკოტიკის კვალია?

მეორე მხრივ, ინგლისელი ჟურნალისტები წერენ, რომ კრიმინალური კვალის აღმოჩენა საეჭვოა, რადგან ტურე მორწმუნე მუსლიმია და სასმელსაც კი არ ეკარება, თუმცა ნივთიერებას, რომელიც ფეხბურთელის ორგანიზმში აღმოჩნდა შესაძლოა კოკაინი და მარიხუანა შეიცავს.

შეგახსენებთ, რომ კოლო ტურე „მანჩესტერ სიტიში“ ორი წლის წინ **მარკ ჰიუზმა** გადაიყვანა. რასაკვირველია, დღეს, „უიგანთან“ შეხვედრაში ის მოედანზე არ იქნება. იმ შემთხვევაში თუ დამტკიცდება, რომ ფეხბურთელი დოპინგს იღებდა, მას დასჯიან. ყველაზე მარტივ შემთხვევებში შემთხვევებში ოთხიდან ცხრა თვემდე დისკვალიფიკაციას უსჯიან ხლმე. ამასთან დაკავშირებით „მანჩესტერ სიტიმ“ გაავრცელა ოფიციალური განხადება:

*„ჩვენ ვადასტურებთ, რომ კოლო ტურეს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციისგან მოუვიდა წერილი, სადაც მასატყობინებენ, რომ ორგანიზმში აკრძალული ნივთიერება აღმოუჩინეს. შესაბამისად, სანამ ყველაფერი იურიდიულად არ გაირკვევა და დამტკიცდება, ის „მანჩესტერ სიტის“ შეხვედრებში მონაწილეობას ვერ მიიღებს“.*

ტაბლოიდებს ტურეს ერთ-ერთმა ახლობელმა და საქმეში ჩახედულმა ადამიანმა უთხრა: *„შესაძლოა დამტკიცდეს, რომ კოლო უბრალოდ სულელია და კარიერა გაიფუჭა“.*

აღსანიშნავია, რომ კოლო ტურე ნაცნობ-მეგობართა შორის ცნობილია, როგორც პატიოსანი ადამიანი და ნამდვილი პროფესიონალი. ამბობენ, რომ როდესაც დოპინგის ამბავი შეიტყო, მას წარბიც არ შეუხრია.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერია A XXVIII ტურის წინ

SERIE A

# დიდი ბრძოლა სხვადასხვა მიზნისთვის

## იუვეს ბოლო შანსი თუ მილანის მორიგი ნაბიჯი?

**გუშინ**

**ლეჩე 1**
**რომა 2**

**ლეჩე (4-3-2-1):** როზატი – რისპოლი (78. ჩევანტონი), გუსტავო, ფაბიანო, ბრივიო – ჯაკომაცი, ვივესი, ოლივერა – მუნარი, გროსმიულერი (43. კორვია) - ჯედა.

**რომა (4-3-1-2):** დონი – კასეტი (30. ჟუანი), მექსე, ნ. ბურდისო, რიისე – პიზარო, დე როსი, პეროტა – ტადეი (68. ბრიგი) – ვუჩინიჩი (80. მენეზი), ბორიელო.

**გოლები:** 0:1 ვუჩინიჩი (32), 1:1 ჯაკომაცი (75), 1:2 პიზარო (90-პენ.).

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 5-2; **ჯარიმა:** 15-11; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 9(4)-12(4); **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

**მაყურებელი:** 15 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 27 | 17 | 7 | 3 | 49-20 | 58 |
| 2. ინტერი | 27 | 16 | 5 | 6 | 49-29 | 53 |
| 3. ნაპოლი | 27 | 16 | 4 | 7 | 41-25 | 52 |
| 4. ლაციო | 27 | 14 | 6 | 7 | 33-23 | 48 |
| 5. უდინეზე | 27 | 14 | 5 | 8 | 49-30 | 47 |
| 6. რომა | 28 | 13 | 7 | 8 | 43-39 | 46 |
| 7. იუვენტუსი | 27 | 11 | 8 | 8 | 41-34 | 41 |
| 8. პალერმო | 27 | 12 | 4 | 11 | 44-43 | 40 |
| 9. კალიარი | 27 | 11 | 5 | 11 | 33-28 | 38 |
| 10. ჯენოა | 27 | 9 | 8 | 10 | 25-27 | 35 |
| 11. ბოლონია | 27 | 10 | 8 | 9 | 29-34 | 35 |
| 12. ფიორენტინა | 27 | 8 | 10 | 9 | 29-29 | 34 |
| 13. კიევო | 27 | 7 | 10 | 10 | 28-30 | 31 |
| 14. სამპდორია | 27 | 7 | 10 | 10 | 23-29 | 31 |
| 15. კატანია | 27 | 7 | 8 | 12 | 24-35 | 29 |
| 16. პარმა | 27 | 6 | 10 | 11 | 27-38 | 28 |
| 17. ლეჩე | 28 | 7 | 7 | 14 | 31-50 | 28 |
| 18. ჩეზენა | 27 | 6 | 7 | 14 | 20-36 | 25 |
| 19. ბრეშა | 27 | 6 | 6 | 15 | 22-35 | 24 |
| 20. ბარი | 27 | 4 | 7 | 16 | 15-41 | 16 |

*ბოლონიას დაკლებული აქვს სამი ქულა*

**ბომბარდირები:** 21 – დი ნატალე (უდინეზე); 20 – კავანი (ნაპოლი); 16 – დი ვაიო (ბოლონია), ეტოო (ინტერი); 14 - მატრი (იუვენტუსი), იბრაჰიმოვიჩი (მილანი).

**დღეს, 23:45**

**იუვენტუსი VS მილანი**

**დისკვალიფიკაცია:** პეოე (იუვენტუსი).
**ტრავმა:** გროსო, სალიჰამიჯიჩი, რინაუდო, დე ჩელიე, სისოკო, კვალიარელა, აკვილანი - პირლო, ინძაგი, ბონერა, ამბროზინი, ანტონინი.

**ხვალ, 15:30**

**სამპდორია VS ჩეზენა**

**დისკვალიფიკაცია:** ბოგდანი, ჩეკარელი (ჩეზენა).
**ტრავმა:** სემიოლი, პოცი, ტისონე - ფატიჩი, გორობსოვი.

**ხვალ, 18:00**

**ბოლონია VS კალიარი**

**დისკვალიფიკაცია:** კანინი (კალიარი).
**ტრავმა:** ეკდალი, გარსია, ესპოზიტო (ბოლონია).

**ხვალ, 18:00**

**კიევო VS პარმა**

**დისკვალიფიკაცია:** ფერნანდესი - პაჩი.
**ტრავმა:** ლუჩანო - კალვო.

**ხვალ, 18:00**

**ფიორენტინა VS კატანია**

**დისკვალიფიკაცია:** აუგუსტინი (კატანია).
**ტრავმა:** კროლდრუპი, იოვეტიჩი, ფრეი, დაგოსტინო - კაპუანო, ბიაჯანტი, ბელუში, შაკა, მარტინიო.

**ხვალ, 18:00**

**ინტერი VS ჯენოა**

**დისკვალიფიკაცია:** კრიშიტო, ველოზო, ფლორო ფლორესი (ჯენოა).
**ტრავმა:** სამუელი, მილიტო, კამბიასო, კორდობა - დესტრო, კიკო, მილანეტო.

**ხვალ, 18:00**

**ნაპოლი VS ბრეშა**

**დისკვალიფიკაცია:** ლავეცი (ნაპოლი).
**ტრავმა:** გრავა - დალამანო, კორდოვა.

**ხვალ, 18:00**

**უდინეზე VS ბარი**

**ტრავმა:** ბასტა, ფერონეტი, ანჯელა - ბარეტო, ს. მაზიელო, კუტუზოვი, რუდოლფი, რაჯი, ბენტივოლიო.

**ხვალ, 23:45**

**ლაციო VS პარმა**

**დისკვალიფიკაცია:** კამოციერი, დარმიანი, ბასინოვიჩი (პალერმო).
**ტრავმა:** როკი, მუსლერა, ბროკი, დიასი, დიაკიტე - მიკოლი, გოიანი.

როდესაც ერთმანეთს ორი გრანდი, პრინციპული და ისტორიული მეტოქე ხვდება, ხშირად ამბობენ, რომ სატურნორო მდგომარეობას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. სერია A-ს XXVIII ტურში „იუვენტუსი“ “მილანს“ მიიღებს, ანუ, ერთმანეთის პირისპირ იტალიის ორი ყველაზე ტიტულოვანი გუნდი წარსდგება, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში სწორედაც რომ სატურნირო ცხრილს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. თუ ტურინელებს ჯერ კიდევ უნდათ ჩემპიონთა ლიგის ზონაში მოხვედრა, „მილანი“ ყოველმიზეზგარეშე უნდა დაამარცხონ და ფრეც კი მათთვის დამღუპველი იქნება. მოტივაცია არც „როსონერის“ აკლია, გუნდი სათავეში უდგას ცხრილს და თითოეული გამარჯვება უმნიშვნელოვანესია სკუდეტოსკენ მიმავალ გზაზე.

ორივე გუნდის ბანაკში დიდი სამზადისია და ჯერ „მილანით“ დავიწყოთ. ორიოდე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** მცირე ტრავმა მიიღო და ტურინული პაექრობის გამოტოვება მოუწევდა. გუშინ ეს ამბავი პრაქტიკულად გადაწყვეტილად მიიჩნიეს, მაგრამ თავად ფეხბურთელმა განაცხადა, რომ სრულ მზადყოფნაშია: *„ვარჯიშისას კოჭი დავიზიანე, მაგრამ ყველაფერი მოგვარდა და ტურინში აუცილებლად ვითამაშებ. „იუვეს“ მძიმე დროება უდგას, მაგრამ ეს ის გუნდია, რომელსაც ერთი კონკრეტული თამაშის ჩატარება უმაღლეს დონეზე შეუძლია. გავიხსენოთ „იუვენტუსი“-“ინტერის“ პაექრობა და ამაში აუცილებლად დავრწმუნდებით. ამიტომ, მაქსიმალური მობილიზება გვმართებს და ბოლომდე ბრძოლაა საჭირო. ჩემპიონთა ლიგის პაექრობაზე ჯერ ნამდვილად არ ვფიქრობთ, წინ ტურინული მატჩია“.*

იბრაჰიმოვიჩთან ერთად ძირითად შემადგენლობაში **რობინიო** და **ალეშანდრე პატო** მოიაზრებიან. ანუ, კვლავ სათადარიგოთა სკამზე რჩება **ანტონიო კასანო**. არადა, იტალიის ნაკრების ფორვარდი ჩემპიონთა ლიგაში ვერ ეხმარება გუნდს და თითქოს, სერია A-ში მასზე უნდა გაკეთებულიყო აქცენტი. როგორც ჩანს, **მასიმილიანო ალეგრი** ანტონიოს საჭიროებას ვერ ხედავს სასტარტოში და მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩართავს თამაშში, თუ სტუმრებს გაუჭირდებათ. პრაქტიკულად გადაწყვეტილი ამბავია, რომ ნახევარდაცვის სამეულს შემდეგი ფეხბურთელები დააკომპლექტებენ: **ჯენარო გატუზო, მარკ ვან ბომელი, კევინ პრინც ბოატენგი.**

ტურინელების ლაზარეთი, როგორც ყოველთვის, სავსეა ფეხბურთელებით - გულშემატკივრები უკვე მიეჩვიენ იმას, რომ **ფაბიო კვალიარელას, პაოლო დე ჩელიეს** და **ფაბიო გროსოს** იმედი არ უნდა ჰქონდეთ. დაშავდა **ალბერტო აკვილანიც** და **ლუიჯი დელ ნერის** მის გარეშე მოუწევს ფონს გასვლა. აღარაფერს ვამბობთ **მოჰამედ სისოკოზე**, რომელმაც მძიმე ტრავმა მიიღო და სეზონის ბოლომდე უქმად მოუწევს ყოფნა. აკვილანის და სისოკოს არყოფნა ტურინელებისთვის დიდი პრობლემაა, რადგან ორივე ცენტრალური ნახევარმცველია. დელ ნერი ტაქტიკის შემცვლელი არ არის და სავარაუდოდ, **ფელიპე მელოს კლაუდიო მარკიზიო** შეუწყვილდება. გამოთავისუფლებულ მარცხენა ფრთაზე **ხორხე მარტინესს** ვიხილავთ, მარჯვენა ფლანგზე კი ტრადიციულად **მილოშ კრასიჩს**. თუ „გაძეტა დელო სპორტს“ დავუჯერებთ, შეტევის წინა ხაზზე **ალესანდრო მატრი** და **ლუკა ტონი** იმოქმედებენ. მატრი გასაგებია და აი, ტონის სასტარტოში ასპარეზობა ბევრს უკვირს, უკვე დიდი ხანია, რაც საუკეთესო ფორმაში არაა და მოედანზე მეტად ინერტულად გამოიყურება. ლუიჯი დელ ნერის თქმით, მხოლოდ „მილანთან“ მატჩზეა



კონცენტრირებული და მის შესაძლო გათავისუფლებასთან დაკავშირებით საერთოდ არ ფიქრობს:

*„კლუბის მესვეურები სრულ ნდობას მიცხადებენ და ნამდვილად არ ვფიქრობ იმაზე, რომ შეიძლება პოსტის დატოვებამ მომიწიოს. მხოლოდ „მილანთან“ თამაშზე ვარ კონცენტრირებული, რომელიც აუცილებლად უნდა მოვიგოთ და შევწყვიტოთ ეს დაწყევლილი სერია. ჩვენთვის თითოეულ თამაშს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, იქნება ეს „მილანთან“ თუ ნებისმიერ სხვა გუნდთან, რადგან უკან დასახევი გზა მოჭრილია. აუცილებლად შევუტევთ მეტოქეს, ვეცდებით ჩვენი თამაში მოვახვიოთ თავს და იმედია, იღბალიც მოწყალე თვალით გადმოგვხედავს“.*

„ინტერის“ ბანაკში ჩასაფრებულები არიან და იმედოვნებენ, რომ „მილანი“ ტურინში როგორც მინიმუმ ორ ქულას დაკარგავს. ეს კი აუცილებლად „ჯენოას“ ძლევის ფონზე უნდა მოხდეს, რომელიც მილანში ჩადის და სწორედ „ნერაძურის“ შეეტოქება. **კახა კალაძე** ძირითად შემადგენლობაში მოიაზრება და ეს ძალიან კარგია, მაგრამ გენუელებს სერიოზული დანაკლისი აქვთ. წინა ტურში ზედმეტი აგრესიულობით გამოირჩნენ და ერთბაშად სამმა ფეხბურთელმა მიიღო დისკვალიფიკაცია - შესაბამისად, მილანში ვერ გაემგზავრნენ: **დომენიკო კრიშიტო, მიგელ ველოზო** და **ანტონიო ფლორო ფლორესი.** პრობლემები მილანელებსაც აქვთ, თუმცა ეს უკვე არ გვიკვირს, რადგან სეზონის სტარტიდან მოყოლებული „ინტერს“ მუდმივად აკლია ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი. **ლეონარდო** ყველა რგოლში მოისაკლისებს მოთამაშეებს: დაცვაში **ვალტერ სამუელს** და **ივან კორდობას**, ნახევარდაცვაში **ესტებან კამბიასოს**, თადასხმაში კი **დიეგო მილიტოს**. შესაბამისად, შეტევის წინა ხაზზე **სამუელ ეტოოსა** და **ჯამპაოლო პაცინის** ტანდემს ვიხილავთ, მათ უკან კი სავარაუდოდ შემდეგი ოთხეული გაირჯება: **დეიან სტანკოვიჩი, ხავიერ ძანეტი, ტიაგო მოტა, ვესლი სნეიდერი.**

საშინაო მატჩი ელის „ნაპოლის“, თანაც ჩემპიონატის ერთ-ერთ აუტსაიდერთან და წესით, სამი ქულა უნდა ჩაიწეროს აქტივში. თუმცა, მას შემდეგ, რაც „ბრეშას“ **ჯუზეპე იაკინი** ჩაუდგა სათავეში, გუნდი იოლად არაფერს თმობს. **ესეკილ ლავეცი** კვლავაც დისკვალიფიცირებულია, მის ნაცვლად კი ძირითად შემადგენლობაში კიდევ ერთ არგენტინელ **რობერტო სოსას** ვიხილავთ. აქამდე **ვალტერ მაძარი ჯუზეპე მასკარას** ენდობოდა, მაგრამ როგორც ჩანს, სიცილიელმა ამოწურა ნდობის მანდატი. ვნახოთ, როგორ შეუტევენ რობერტო სოსა, **მარეკ ჰამშიკი** და რაღა თქმა უნდა, **ედინსონ კავანი.** ინტერესს მოკლებული არც „ლაციო“-“პალერმოს“ დაპირისპირებაა, რადგან ორივე გუნდი მაღალი ადგილებისთვის იბრძვის. თანაც, სიცილიელებს ახალი მთავარი მწვრთნელი, **სერსე კოსმი** ჰყავთ. ჩემპიონთა ლიგის საგზურის კიდევ ერთი მაძიებელი „უდინეზე“ „სტადიო ფრიულიზე“ „ბარის“ მიიღებს და წესით, უნდა გაანადგუროს მეტოქე. ჯერ ერთი, უდინელებს საუკეთესო თავდასხმა ჰყავთ იტალიაში და მეორე, „ბარია“ წყალწაღებული - მეორე მხრივ, სერია A-ში პროგნოზების კეთება უმადური საქმეა.

**ლაშა წიკლაური**

სადისციპლინო



# ფერგიმ ბრჭყალები გამოაჩინა

**ალექს ფერგიუსონმა** გადაწყვიტა იბრძოლოს. არადა, „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელს შეეძლო ფეხბურთის ასოციაციის მიერ წაყენებულ ბრალდებას არ შეწინააღმდეგებოდა და მორჩილად მოეხადა ის დისკვალიფიკაცია, რასაც მიუსჯიდნენ. გაუგებარია? გაინტერესებთ, ბრძოლაში ცუდი რა არის? ის, რომ თუ თავისი სიმართლე ვერ დაამტკიცა, გაცილებით სერიოზულად დაისჯება.

თანმიმდევრულად მოვყვეთ: ფერგიუსონმა „ჩელსისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ თამაშის შემდეგ („ჩელსიმ“ მოიგო 2:1) „იუნაიტედის“ საკლუბო ტელევიზიით არბიტრი **რონ ატკინსონი** სასტიკად გააკრიტიკა. მან ისეთი რამ თქვა, რასაც ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია, ძალიანაც რომ სდომოდა, ყურადღების გარეშე ვერ დატოვებდა. კერძოდ, როდესაც მწვრთნელი ამბობს, რომ ისეთ პრინციპულ შეხვედრებში, როგორიც „სტემფორდ ბრიჯზე“ სამშაბათს გაიმართა, სამართლიანი მსაჯის დანიშვნაა საჭირო, განგაშის ზარს უნდა შემოჰკრა — გამოდის, რომ ასოციაციას შეხვედრაზე უსამართლო არბიტრი ჰყავდა მივლინებული. კიდევ, იმავე ინტერვიუში ფერგიუსონმა თქვა, რომ თამაშამდე, როდესაც მსაჯის ვინაობა შეიტყო, მიხვდა რომ კარგი არაფერი მოხდებოდა. სიტყვასიტყვით ასე ბრძანა სერ ალექსმა — უარესს ველოდიო. მანვე გაიხსენა ერთი წლის წინანდელი, როდესაც „ჩელსისა“ და „იუნაიტედის“ შეხვედრაში ატკინსონმა „იუნაიტედის“ კარში პენალტი დანიშნა — მაშინ გოლი **ჯონ ტერიმ** გაიტანა. მანჩესტერელთა მწვრთნელი, რასაკვირველია, ამტკიცებდა, რომ ატკინსონი მაშინაც მიკერძოებულად მსაჯობდა.

შეგახსენებთ, რომ შარშან, მსაჯ **ალან უაილის** კრიტიკისთვის (ფიზიკური მომზადება აკლია და მოედანზე ვერ დარბისო) ფერგიუსონმა ოთხთამაშიანი დისკვალიფიკაცია მიიღო, თუმცა ამ ოთხი თამაშიდან ორი პირობითად დაუტოვეს. ახლა, თუ სერ ალექსს ისევ გაამტყუნებენ, ის ორი თამაში „პირობითის“ სტატუსს დაკარგავს და ნაღდ დისკვალიფიკაციად იქცევა. გარდა ამისა, გაირჩევა ატკინსონის ლანძღვის ამბავიც და სასჯელს სასჯელი დაემატება.

კვირას, „ლივერპულისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ შეხვედრას ფერგიუსონი ჩვეულებრივ დაესწრება, მაგრამ შემდეგ, როგორც ჩანს, მაღლა, ტრიბუნაზე მოუწევს გადანაცვლება.

საინტერესოა, რომ ალექს ფერგიუსონს გადაწყვეტილება დამოუკიდებლად არ მიუღია. გუშინ დილით ის თავის მრჩეველებს ელაპარაკა და მათთან ერთად გადაწყვიტა, რომ ასოციაციას თავს არ წაუხრიდა.

**ილია ბაბუნაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XXV ტურის წინ

BUNDES LIGA

# ჩემპიონთა ლიგის საგზური სასწორზე

## ბაიერნს ჰანოვერიც რაღაცას უპირებს...

### გუშინ

| | |
|---|---|
| ბორუსია (დ) | 1 |
| კიოლნი | 0 |

## 6:0 კი არა, 1:0

### დორტმუნდი მეტოქეებს ზედაც აღარ უყურებს...

**ბორუსია (დ)–კიოლნი 1:0**

**ბორუსია დ. (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - პიშჩეკი, სუბოტიჩი, ფელიპე სანტანა, შმელცერი - ს. ბენდერი, ნ. შაჰინი (90. კელი) - გიოტცე (92. და სილვა), ლევანდოვსკი, გროსკროიტცი (73. ბლაშჩიკოვსკი) - ბარიოსი.

**კიოლნი (4-2-3-1):** რენზინგი - ბრეჩკო, მოჰამადი, პეცონი, აიხნერი - ლანიგი, პეტიტი (76. იონიცა) - ჟაჟალო, პოდოლსკი (54. ერე), კლემენსი (81. ფრაისი) - ნოვაკოვიჩი.

**გოლი:** 1:0 ლევანდოვსკი (44)

**გაფრთხილება:** პეტიტი, ერე, ლანიგი

**მაყურებელი:** 80 720

ვინც თამაშს არ ან ვერ უყურა და მხოლოდ ანგარიშს შეხედავს, ალბათ გაიფიქრებს, რომ „კიოლნმა" დორტმუნდის „ბორუსიას" პრობლემები შეუქმნა, მაგრამ იქვე დასძენს, მთავარი ხომ შედეგია, სამი ქულა კი ბუნდესლიგის ლიდერს დარჩაო. არადა, სინამდვილეში „დორტმუნდს" „კიოლნისთვის" მინიმუმ 6 გოლი მაინც უნდა გაეტანა...

მაგრამ თუკი **იურგენ კლოპის** შეგირდებს მომენტების გამოყენების მაჩვენებელი „ბაიერნთან" იდეალური ჰქონდათ, „კიოლნთან" იმდენი შანსი გაუშვეს ხელიდან, რომ სათვალავი სადღაც 70-ე წუთიდან აგვერია. რამდენჯერმე „თხების" მეკარე **მიხაელ რენზინგმა** ითამაშა ბრწყინვალედ, „კიოლნი" ორჯერ ძელმა იხსნა, სხვა შემთხვევებში კი დორტმუნდელები ან კარგად ვერ უმიზნებდნენ, ანაც საგოლე მომენტებს ძალიან დაუდევრად ეპყრობოდნენ. სათვალავი რომ აგვერია (70-ე წუთიდან), „ვესტფალენშტადიონის" მწვანეზე მიმდინარე პროცესები უკვე ძალიან სასაცილო გახდა, რადგან კლოპის გუნდი მომენტს მომენტზე ქმნიდა, მაგრამ ვერ იყენებდა. ბოლოს ვიფიქრეთ, რომ „ბორუსიას" იგივე დაემართებოდა, რაც ამას წინათ „შტუტგარტთან" მოუვიდა, როცა დაუწერელი საფეხბურთო კანონი (ვერ გაიტან, გაგიტანენ) ამოქმედდა და კლოპის ბიჭებმა მატჩის მიწურულს გოლი გაუშვეს (საბოლოოდ 1:1 და სხვათა შორის, ისიც პარასკევის მატჩი იყო), მაგრამ ამჯერად არც „კიოლნს" გაუმართლა და ასე მოიპოვა ბუნდესლიგის ერთპიროვნულმა ლიდერმა მორიგი სამი ქულა. ის ერთადერთი გოლი კი „ბორუსიას" პოლონელი შემტევის, **რობერტ ლევანდოვსკის** ანგარიშზეა.

ეს გახლდათ კლოპის რიგით 50-ე გამარჯვება მას მერე, რაც ეს სპეციალისტი „ბორუსიას" ავარჯიშებს, ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ დორტმუნდელებმა ამ სეზონში მინიმალური ანგარიშით პირველად მოიგეს. დიახ, დიახ, BVB-სთვის ეს პირველი 1:0 გახლდათ...

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (დ) | 25 | 19 | 4 | 2 | 53-14 | 61 |
| 2. ლევერკუზ. | 24 | 13 | 7 | 4 | 50-34 | 46 |
| 3. ჰანოვერი | 24 | 14 | 2 | 8 | 34-31 | 44 |
| 4. ბაიერნი | 24 | 12 | 6 | 6 | 50-30 | 42 |
| 5. მაინცი | 24 | 13 | 1 | 10 | 37-30 | 40 |
| 6. ჰამბურგი | 24 | 11 | 4 | 9 | 35-32 | 37 |
| 7. ფრაიბურგი | 24 | 11 | 4 | 9 | 31-31 | 37 |
| 8. ნიურნბერგი | 24 | 10 | 6 | 8 | 34-32 | 36 |
| 9. ჰოფენჰაიმი | 24 | 8 | 9 | 7 | 41-35 | 33 |
| 10. შალკე | 24 | 8 | 6 | 10 | 29-29 | 30 |
| 11. კიოლნი | 25 | 8 | 5 | 12 | 31-43 | 29 |
| 12. ზტ პაული | 24 | 8 | 4 | 12 | 27-38 | 28 |
| 13. აინტრახტი | 24 | 8 | 3 | 13 | 24-34 | 27 |
| 14. ვოლფსბურ. | 24 | 6 | 8 | 10 | 29-34 | 26 |
| 15. ვერდერი | 24 | 6 | 7 | 11 | 30-50 | 25 |
| 16. კაიზერსლ. | 24 | 6 | 6 | 12 | 33-42 | 24 |
| 17. შტუტგარტი | 24 | 6 | 4 | 14 | 42-47 | 22 |
| 18. ბორუსია (მ) | 24 | 5 | 4 | 15 | 35-59 | 19 |

**ბომბარდირები:** 18 – გომესი (ბაიერნი); 16 – სისე (ფრაიბურგი); 14 – გეკასი (აინტრახტი); 11 – ბარიოსი (ბორუსია დ), ლაკიჩი (კაიზერსლაუტერნი), რაული (შალკე), ია კონანი (ჰანოვერი); 10 – პოდოლსკი (კიოლნი), შიურლე (მაინცი).

**დღეს, 18:30**

შტუტგარტი VS შალკე

**დისკვალიფიკაცია:** დელპიერი (შტუტ)
**ტრავმა:** ციგლერი, ბოკა, ფ. დეგენი, აუდელი, ფუნკი – ჰუგლანდი, პანდერი, ყენია, მორიტცი, ჰუნტელაარი

**დღეს, 18:30**

აინტრახტი VS კაიზერსლაუტ.

**ტრავმა:** ნიკოლოვი, კრისი, ბაირამოვიჩი, კაიო, კლერკი – შიმუნეკი, ბილეკი, ილიჩევიჩი

**დღეს, 18:30**

ბორუსია (მ) VS ჰოფენჰაიმი

**ტრავმა:** შტეგენი, ჟორე – გულდე, შიმუნიჩი, ვაისი, ობასი

**დღეს, 21:30**

ლევერკუზენი VS ვოლფსბურგი

**დისკვალიფიკაცია:** ვიდალი (ლევერკუზენი)
**ტრავმა:** გიფერი, ბალიტში, ბარნეტა – ჩიგერჩი, ჟოსუე

**დღეს, 19:00**

ჰანოვერი VS ბაიერნი

**დისკვალიფიკაცია:** შვაინშტაიგერი (ბაიერ)
**ტრავმა:** ავევორი, ანდრეასენი, ია კონანი - ოლიჩი

**დღეს, 18:30**

ნიურნბერგი VS ზანკტ პაული

**ტრავმა:** იუდტი, ბუნიაკუ, შიბერი – მორენა, ოჩიპკა, როთენბახი, ასამოა

**ხვალ, 18:30**

ფრაიბურგი VS ვერდერი

**დისკვალიფიკაცია:** მუიჯა - ფრიტცი
**ტრავმა:** პუპლინი, შუსტერი, ვილიამსი, ბეხმანი – ფანდერი, ბიონიში, ნალდო, დ. იენსენი, აიქი

**ხვალ, 20:30**

ჰამბურგი VS მაინცი

**ტრავმა:** დიკმაიერი, კასტელენი – გოპკო, კარჰანი, ალაგუი, შალაი

**დორტმუნდის „ბორუსიამ"** გუშინ ითამაშა, შესაბამისად, დღევანდელ და ხვალინდელ მატჩებში ყურადღების ცენტრში მიუნხენის „ბაიერნია" - რეკორდმაისტერი ჰანოვერში ჩადის და უმძიმეს წნეხის ქვეშაა. „შტუტგარტს" გასავარდნი ზონიდან ამოსვლა უნდა, ამისათვის კი „შალკეს" დამარცხება სჭირდება. იგივე უნდა ითქვას ბრემენის „ვერდერზეც", რომელიც ხვალ ფრაიბურგში ჩადის. ტურს „ჰამბურგისა" და „მაინცის" დაპირისპირება დახურავს.

### ჰანოვერი ბაიერნს ჩემპიონთა ლიგას ედავება

პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: „ბაიერნს" ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის მთავარი დუელი „ჰანოვერთან" უწევს. რაკი მიუნხენურმა გრანდმა ჩემპიონობის შანსი ფაქტობრივად დაკარგა და ოთხშაბათს გერმანიის თასიდანაც გავარდა, **ლუის ვან გაალის** გუნდი **მირკო სლომკას** სამწყსოს წინააღმდეგ გასამართი შეხვედრის წინ უმძიმესი ზეწოლის ქვეშაა მოქცეული. „ბაიერნს" მეორე ადგილზე გასვლისა და შესაბამისად, პირდაპირ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრის შანსის დაკარგვის საფრთხე ემუქრება და საკმარისია, ბავარიელები ჰანოვერში დამარცხდნენ, რომ მეორე ადგილს ვინ ჩივის, მესამეც საოცნებო გაუხდებათ. ეს ყველაფერი კი იმას ნიშნავს, რომ „ბაიერნი" ძალიან რთულ მდგომარეობაშია. ვითარების სიმძიმეს კი ყველაზე მეტად ვან გაალი გრძნობს, რომელიც დღეს, ესოდენ მნიშვნელოვან შეხვედრაში **ბასტიან შვაინშტაიგერს** ვერ გამოიყენებს. შვაინიმ წინა ტურში (დორტმუნდთან 1:3) მეხუთე გაფრთხილება მიიღო და დისკვალიფიცირებულია.

სამაგიეროდ, ჰანოვერელები ძალიან მსუბუქად არიან. სლომკას გუნდი ახლა მესამე ადგილზეა და ეს პოზიცია რომც ვერ შეინარჩუნოს, მირკოს არავინ დაძრახავს, რადგან „ჰანოვერისთვის" საუკეთესო ხუთეულში მოხვედრაც კი დიდი წარმატება იქნება, რასაც სეზონის წინ ვერავინ იწინასწარმეტყველებდა. „ჰანოვერი" არსებობის ისტორიაში საუკეთესო სეზონს ატარებს და ამით ტკბება. სლომკას მთავარი თავდამსხმელის, **დიდიე ია კონანის** გარეშე მოუწევს ფონს გასვლა და თუ მოახერხა და „ბაიერნი" დაამარცხა, „წითლები" ჩემპიონთა ლიგის ჰიმნის ცოცხლად მოსმენაზე უკვე აბსოლუტურად თამამად იოცნებებენ.

### შტუტგარტს ფსკერიდან ამოსვლა უნდა

„შალკე" ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში მოგზაურობას განაგრძობს. გერმანიის თასის ნახევარფინალში „ბაიერნის" დამარცხების, შესაბამისად ფინალის საგზურის განაღდების შემდეგ და ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში „ვალენსიასთან" საპასუხო მატჩის წინ (პირველი შეხვედრა „მესტალიაზე" 1:1 დამთავრდა, რაც გელზენკირხენულ კლუბს მეოთხედფინალში გასვლის ჩინებულ შანსს აძლევს), „შალკე" ბუნდესლიგას და მისთვის მოსაწყენ ყოველდღიურობას შტუტგარტში უბრუნდება. ფაქტია, რომ **ფელიქს მაგათის** გუნდი წელს ბუნდესლიგაში ველარც ვერაფერს მიაღწევს და თუ სასწაული არ მოხდა, არც მეორე ბუნდესლიგაში გავარდება, ევროპის ლიგის საგზურის მოპოვებას კი გელზენკირხენელები გერმანიის თასის ფინალის (დუისბურგთან) მოგებით შეეცდებიან. ასე რომ, „შალკე" გერმანიის ჩემპიონატში მხოლოდ პრესტიჟის ქულებისთვის თუ იბრძოლებს. ისევე, როგორც „ბაიერნთან", მაგათი ტრავმირებულ **კლაას-იან ჰუნტელაარს** ვერც დღეს გამოიყენებს.

აი, შტუტგარტელები კი გადარჩენისთვის ბრძოლაში არიან ჩართულები და წინა ტურში „აინტრახტის" დამარცხებამ (2:0) **ბრუნო ლაბადიას** გუნდს აშკარად ფრთები შეასხა. ბრუნო და მისი შეგირდები ახლა „შალკეს" დამარცხებაზეც ფიქრობენ, ოღონდ ამისათვის ბრძოლა კაპიტან **მატიო დელპიერის** გარეშე მოუწევთ, რომელიც წინა ტურში გააძევეს და შესაბამისად დისკვალიფიცირებულია.

### რომელი დაძლევს კრიზისს, აინტრახტი თუ კაიზერი?

„აინტრახტმა" პირველი წრე საკმაოდ კომფორტულ მდგომარეობაში დაასრულა და **მიხაელ სკიბეს** გუნდს მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე წესით არ უნდა დამუქრებოდა, მაგრამ მას მერე, რაც მეორე წრე დაიწყო, ფრანკფურტელებს, თამაშის მოგებას ვინ ჩივის, გოლიც კი არ გაუტანიათ და გასავარდნ ზონასაც მიუახლოვდნენ. დღეს „აინტრახტი" კიდევ ერთ კრიზისში მყოფ გუნდს, „კაიზერსლაუტერნს" მასპინძლობს, რომელსაც მეორე წრეში ასევე არ გაუმარჯვია. ფრანკფურტული კლუბის ხელმძღვანელებმა სკიბეს ფსიქოლოგის მიწვევა ურჩიეს, მაგრამ მწვრთნელმა უარი თქვა, ფსიქოლოგი არ გვჭირდებაო. მას მიაჩნია, რომ „აინტრახტს" მეორე წრეში უბრალოდ არ უმართლებს. „ლაუტერნშიც" არეულდარეული სიტუაციაა: „წითელი ეშმაკების" გულშემატკივრები ძალიან ბრაზობენ თავდამსხმელ **სრდიან ლაკიჩზე**, რომელიც, მას მერე, რაც გადაწყდა, რომ ზაფხულში „ვოლფსბურგში" გადავა, ძალიან ცუდად თამაშობს.

აუტსაიდერი მიონხენგლადბახის „ბორუსია" მეორე საშინაო მატჩს ატარებს მას მერე, რაც გუნდს სათავეში **ლუსიენ ფავრი** ჩაუდგა. შეგახსენებთ, რომ „გლადბახმა" ამ მწვრთნელის ხელში პირველი საშინაო თამაშის მოგება შეძლო, ახლა კი, „ჰოფენჰაიმთან" მორიგი გამარჯვება სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში „გლადბახის" ბოსებს შეუძლიათ, მეორე ბუნდესლიგაზე სერიოზულად იფიქრონ. იმის გათვალისწინებით, რომ „ბორუსიამ" წინა ტურში „ვოლფსბურგში" ისევ ცუდად ითამაშა, ფავრი ძირითად შემადგენლობაში გარკვეულ ცვლილებებს განახორციელებს. „ჰოფენჰაიმი" კი ცხრილის შუაშია და ამ სეზონში ფაქტობრივად აღარაფერი აღარდებს.

„ნიურნბერგი", რომელმაც სეზონის წინ დასახულ მიზანს უკვე მიაღწია და მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე აღარ ემუქრება (თანაც, ექვსმატჩიანი წაუგებელი სერიით იწონებს თავს), შედარებით ანერვიულებულ „ზანკტ პაულის" მასპინძლობს. თუ ფრანკები ამ თამაშსაც მოიგებენ, მერე შეუძლიათ, ევროპის ლიგის საგზურზეც კი იოცნებონ. „ნიურნბერგს" დღეს შესაძლოა **ილქაი გიუნდოგანი** დაუბრუნდეს, რომელმაც ტრავმა მოიშუშა.

### ჰელმესი ყოფილი თანაგუნდელების წინააღმდეგ

საღამოს მატჩში „ლევერკუზენი" „ვოლფსბურგს" მასპინძლობს. **იუპ ჰაინკესის** გუნდმა წინა ტურში ბრემენში ორი ქულა ბოლო წუთებზე დაკარგა და ლევერკუზენელები დანაკარგის ანაზღაურებას „მგლებთან" საშინაო მატჩში აპირებენ. ჰაინკესმა თქვა, კონტრაქტს სავარაუდოდ მხოლოდ იმ შემთხვევაში გავაგრძელებ, თუ ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოვიპოვებთო. ასე რომ, თუკი „ფარმაცევტებს" ჰაინკესის შენარჩუნება სურთ, „ვოლფსბურგთან" სამი ქულა უნდა ჩაიჯიბონ. „ვოლფსბურგმა" წინა ტურში, როგორც იქნა, მოიგო და **პიერ ლიტბარსკის** შეგირდები მძიმე წნეხისგან ცოტათი გათავისუფლდნენ. საინტერესოა, გაამწესებს თუ არა ლიტბარსკი ძირითად შემადგენლობაში **პატრიკ ჰელმესს**, რომელიც „ვოლფსბურგმა" იანვარში სწორედ „ლევერკუზენიდან" იყიდა. ჰელმესის კონკურენტი **დიუმერსი მბოკანი** გახლავთ.

### გაცოცხლდება ვერდერი?

ხვალ ნაშუადღევს „ფრაიბურგი" „ვერდერს" მასპინძლობს და საოცარია ის, რომ „ფრაი" ევროპის ლიგის საგზურისთვის იბრძვის, ბრემენული კლუბი კი გადარჩენისთვის. ლოგიკურად კი, პირიქით უნდა ყოფილიყო. „მუსიკოსებმა" ერთი კვირის წინ, „ლევერკუზენთან" ქულა რომ გადაარჩინეს, მწვრთნელმა **თომას შააფმა** თქვა, მორჩა, გავთავისუფლდით და ამიერიდან ყველაფერი კარგად იქნებაო. „მუსიკოსებს" **ტორსტენ ფრინგსი** უბრუნდებათ, რომელმაც დისკვალიფიკაცია მოიხადა, სამაგიეროდ, ახლა **კლემენს ფრიტცია** დისკვალიფიცირებული. საინტერესოა, დააბრუნებს თუ არა შააფი ძირითად შემადგენლობაში **მარინის, ჰანტისა** და **არნაუტოვიჩის** შემტევ ტრიოს. ჰანტის თამაში მცირე ტრავმის გამო ისედაც საეჭვოა. აღსანიშნავია, რომ ბოლო ორი გასვლითი მატჩი „ვერდერმა" ფრაიბურგში დიდი ანგარიშებით, 6:0 მოიგო, ბოლო 5 გასვლითი შეხვედრიდან კი, „მუსიკოსებს" ბრაისგაუში ხუთივე მოგებული აქვთ (ბურთების შეფარდებით 22:2).

ტურის ბოლო მატჩი კი „ჰამბურგისა" და „მაინცის" დაპირისპირებაა. ეს გახლავთ დუელი საუკეთესო ხუთეულში მოსახვედრად და აქვე იმასაც გაგახსენებთ, რომ პირველ წრეში „მაინცის" სენსაციური სვლა (7 მოგება 7 ტურის შემდეგ) სწორედ „ჰამბურგმა" შეწყვიტა, როცა **არმინ ფეეს** ბიჭებმა „შტადიონ ამ ბრუხვეგზე" 1:0 გაიმარჯვეს.



ჰანოვერის მცველი კრისტიან შულცი დღეს ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ მარიო გომესმა გოლი ვერ გაიტანოს

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ლიგა 1. XXVI ტურის წინ

# ლიგა ახალი ლიდერის მოლოდინში

**დღეს**

| | |
|---|---|
| 22:00 | მონპელიე-რენი |
| 22:00 | კაენი-სტ. ეტიენი |
| 22:00 | ლორიანი-ნანსი |
| 22:00 | ნიცა-ლანსი |
| 22:00 | ტულუზი-სოშო |
| 22:00 | ვალანსიენი-მონაკო |
| 24:00 | ოსერი-პსჟ |

**ხვალ**

| | |
|---|---|
| 20:00 | ბრესტი-ბორდო |
| 20:00 | ლიონი-არლი |
| 24:00 | მარსელი-ლილი |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლილი | 25 | 12 | 10 | 3 | 43-24 | 46 |
| 2. რენი | 25 | 13 | 7 | 5 | 30-18 | 46 |
| 3. მარსელი | 25 | 12 | 9 | 4 | 36-21 | 45 |
| 4. პსჟ | 25 | 12 | 8 | 5 | 39-25 | 44 |
| 5. ლიონი | 25 | 11 | 9 | 5 | 39-25 | 42 |
| 6. მონპელიე | 25 | 10 | 8 | 7 | 21-23 | 38 |
| 7. სენტ ეტიენი | 25 | 9 | 8 | 8 | 33-32 | 35 |
| 8. ლორიენი | 25 | 10 | 5 | 10 | 32-31 | 35 |
| 9. ბრესტი | 25 | 9 | 8 | 8 | 26-25 | 35 |
| 10. ბორდო | 25 | 8 | 10 | 7 | 32-30 | 34 |
| 11. ტულუზი | 25 | 10 | 3 | 12 | 27-28 | 33 |
| 12. სოშო | 25 | 9 | 5 | 11 | 39-31 | 32 |
| 13. ვალანსიენი | 25 | 7 | 10 | 8 | 30-27 | 31 |
| 14. კაენი | 25 | 7 | 8 | 10 | 28-36 | 29 |
| 15. ნიცა | 25 | 7 | 8 | 10 | 17-27 | 29 |
| 16. ნანსი | 25 | 8 | 4 | 13 | 27-41 | 28 |
| 17. ოსერი | 25 | 4 | 14 | 7 | 29-33 | 26 |
| 18. მონაკო | 25 | 4 | 13 | 8 | 25-28 | 25 |
| 19. ლანსი | 25 | 5 | 9 | 11 | 24-40 | 24 |
| 20. არლი | 25 | 1 | 8 | 16 | 13-45 | 11 |

**ბომბარდირები:** 17 – სოვი (ლილი), 15 – გამეირო (ლორიანი), 13 – ნენე (პსჟ), 12 – ელ არაბი (კაენი), 11 – ჟერვინიო (ლილი).

"რენს" ამჟამად მოგებათა ოთხმატჩიანი სერია აქვს და დღეს რთული შეხვედრა ელის ცხრილის ზედა საფეხურებზე გამაგრებულ "მონპელიესთან". მიუხედავად იმისა, რომ **ფრედერიკ ანტონეტის** შეგირდები ბრწყინვალე ფორმაში იმყოფებიან, კვლავ უარს აცხადებენ, ხმამაღლა ილაპარაკონ საჩემპიონო პრეტენზიებზე. ეს კლუბის პოლიტიკაა. თავად მწვრთნელი აცხადებს, რომ თუკი ისინი ამაზე ყველას გასაგონად განაცხადებენ, ამით საკუთარ თავს დათვურ სამსახურს გაუწევენ, რადგან თამასა ძალზე მაღლა აიწევს და მის შეგირდებს გაუჭირდებათ ზეწოლასთან გამკლავება. აშკარაა, რომ მის ამ პოზიციას კლუბში ყველა იზიარებს, მათ შორის ფეხბურთელები. და ეს ხდება მაშინ, როცა დღევანდელი შეხვედრის მოგების შემთხვევაში "რენს" შეუძლია, ცხრილს სათავეში მოექცეს, მით უფრო, რომ "ლილი" "მარსელში" "ველოდრომს" სტუმრობს და იქ კიდევ, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. *"ჩემპიონის ტიტული? ამ თემაზე საჯაროდ კი არა ერთმანეთშიც კი არ ვლაპარაკობთ,* - განაცხადა გუნდის საუკეთესო ბომბარდირმა, კოლუმბიელმა **ვიქტორ მონტანომ**. – *დღეს იქ ვართ, სადაც დავიმსახურეთ და ეს ძალიან კარგია. მაგრამ უფრო მეტისთვის მეტი ზეწოლის გაძლებაა საჭირო. ჩვენ გვაქვს საიმისო პოტენციალი, რომ მესამე ადგილზე მაინც გადავკვეთოთ ფინიშის ხაზი, მაგრამ გქონდეს პოტენციალი და გამოიყენო ის, ორი სხვადასხვა რამაა",* - დასძინა სამხრეთამერიკელმა. მონტანო მონპელიეში სტუმრობისთვის განსაკუთრებულად ემზადება, რადგან ეს იქნება მისი პირველი ვიზიტი ამ ქალაქში მას შემდეგ, რაც მან "რენის" შემადგენლობაში გადაწყვიტა კარიერის გაგრძელება. *"მოხარული ვარ მონპელიეში დაბრუნებით. სწორედ ამ კლუბმა მაქცია იმად, რასაც ახლა წარმოვადგენ და ამისთვის ცხოვრების ბოლომდე მადლობელი ვიქნები,"* – განაცხადა მან. მონპელიელებს თავის მხრივაც აქვთ საამაყო, რადგან "რენს" სამხრეთის სანაპიროებთან ბოლო ცხრა დაპირისპირებიდან ერთადერთი აქვს მოგებული. გუნდებს თავის შემადგენლობებში მნიშვნელოვანი ცვლილებები აქვთ. სტუმრებს **კადერ მანგანის, იასირ ბრაჰიმისა** და **ჟირეს კემბო-ეკოკოს** იმედი შეუძლიათ ჰქონდეთ, მასპინძლებს კი პირველად შეეძლებათ შემადგენლობაში **ჯონ უტაკას** დაყენება.

"ოსერი" მძიმე მდგომარეობაშია, მას ერთი ქულაღა აშორებს გასავარდნ ზონასთან და წაფორხილების უფლება უბრალოდ ალარ აქვს. *"დიახ, მე ეს მაშფოთებს, მაგრამ ამიერიდან სულ სხვა რამეს ველი ჩემი გუნდისგან,* - განაცხადა **ჟან ფერნანდესმა** "ბორდოსთან" წაგებული (3:0) შეხვედრის შემდეგ და იქვე დასძინა – *როცა გასვლით შეხვედრებს აგებ და საშინაოს ვერ იგებ, ბუნებრივია, პრობლემის გადაწყვეტის შანსი საკუთარ თავში უნდა ეძიო."* "ოსერს" შინ სულ 2 შეხვედრა აქვს წაგებული, მაგრამ ყურადღებას იქცევს ის, რომ ბოლო 5 საშინაო დაპირისპირებიდან გუნდმა ვერც ერთის მოგება ვერ მოახერხა და ამ მატჩებიდან ოთხჯერ 1:1 ითამაშა. აი, რას აცხადებს კაპიტანი **ბენუა პედრეტი**: *"გუნდი რეალურად დგას კატასტროფის ზღვართან. ბევრს თითქმის განწირულებიც ვგონივართ, მაგრამ ერთადერთი რაც ახლა გვიშველის, ეს ძალების მოკრებაა. მთავარი პრობლემა იცით რა არის? ვერ ვიგებთ ორთაბრძოლებს მეტოქე ფეხბურთელებთან და შესაბამისად, მატჩების მოგების იმედიც უკვე ილუზიაა".*

დღევანდელი მეტოქისგან განსხვავებით, ზამთრის შესვენების შემდეგ პსჟ-მ სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესა. დედაქალაქელებს, თუკი ყველა ტურნირს ავილებთ, ბოლო ექვსი დაპირისპირება არ წაუგია. უკანასკნელი შეხვედრა კი გუნდმა მეორელიგელ "ლე მანთან" მოიგო და თასის 1/2-ფინალში ასპარეზობა დაიბევა - **ბაებეკმა** და **კებანომ** ჩვენებური **გიორგი მაკარიძის** კარის ალება მხოლოდ დამატებით დროში მოახერხეს. *"ამ გამარჯვების გამოჭედვა ძალიან გაგვიჭირდა. გვქონდა პრობლემა ბურთის კონტროლის დროს, შეიძლება ითქვას, საკუთარ თავს არ ვგავდით, მაგრამ... ბოლოს ყველაფერი იდეალურად დამთავრდა და ახლა ჩვენ შესანიშნავ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში ვართ. ახლა ისლა დაგვრჩენია, ბევრი ვიშრომოთ, რათა ჩემპიონატის გადამწყვეტ ეტაპს საბრძოლო განწყობით შევხვდეთ. სეზონის ფინიშს განსაკუთრებული განწყობით ველოდები,"* - განაცხადა "ლე მანთან" შეხვედრის დასასრულს პსჟ-ს თავკაცმა **ანტუან კამბუარემ**.

"ლიონს" სეზონის მეორე ნაწილში საჩემპიონო ამბიცია ისევ მოეძალა და ბუნებრივია, უიმედო აუტსაიდერ "არლთან" დაპირისპირებისას **კლოდ პიუელის** შეგირდებმა გამარჯვება წამითაც არ უნდა დააყენონ ეჭვქვეშ. *"ისინი "სტად დე ჟერლანს" ყოველგვარი წნეხის გარეშე ეწვევიან, რადგან მათგან ამ შეხვედრაში არავინ არაფერს ითხოვს. ჩვენ რაც შეგვეხება, ყველაფერი უნდა გავიღოთ მოგებისთვის. სწორედ ასეთი "წვრილმანი" შეხვედრები წყვეტენ საბოლოოდ ჩემპიონის ბედს,"* – განაცხადა **ჯიმი ბრიანმა**. გახსოვთ, რომ წინა ტურში "ლიონმა" "ლილთან" ურთულეს შეხვედრაში გათამაშების ლიდერს გასვლაზე ქულა აართვა, რამაც საჩემპიონო რბოლა არნახულად დაძაბა. მიმდინარე სეზონში საფრანგეთის მრავალგზის ჩემპიონები საშინაო შეხვედრებში დიდებულად გამოიყურებიან. უკანასკნელი შეხვედრა, რომელიც დათმეს (საფრანგეთის ლიგის თასზე, პსჟ-სთან), შარშანდელი 27 ოქტომბრით თარილდება. "ლიონს" ორი ლიდერი დააკლდება, ლაპარაკია ცენტრალურ მცველ **კრისსა** და ცენტრფორვარდ **ლისანდრო ლოპესზე**.

**ლევან ბიბილაშვილი**



ვიქტორ უგო მონტანო და ფრედერიკ ანტონეტი

ლა ლიგა. XXVI ტურის მიმოხილვა




# ორი უცხოპლანეტელი

## რონალდოს +3 და რეალის -3

წინა ტურის შემდეგ ახლებურად წარმოგიდგინეთ ტურის შეჯამება. არ გეგონოთ, ეს მხოლოდ ერთჯერადი შემთხვევა იყო, მომავალშიც, თუ რა მეთი არ გავამდიდრებთ, პრიმერას ტურის მიმოხილვა კვლავ ამ, ახლებური ფორმატით გვექნება წარმოდგენილი. გამონაკლისი კი მხოლოდ ახლანდელი ტურია, დროისა და ადგილის უკმარისობის გამო (ესპანეთში ლამის გადაება ტური ტურს) დღეს მხოლოდ სიმბოლური ნაკრებითა და სტატისტიკით შემოვიფარგლებით.

სათაურში ორი უცხოპლანეტელი ვახსენეთ - რა თქმა უნდა, **ლეო მესისა** და **კრიშტიანო რონალდოზე** ვწერთ. აბა, ჩვეულებრივ მოკვდავს პლანეტის ერთ-ერთ საუკეთესო საკლუბო პირველობაში 26 ტურში 27-27 გოლის გატანა როგორ უნდა შეეძლოს, მესიმ და რონალდომ კი ეს მოახერხეს. თანაც, არც ერთი და არც მეორე არ არის „სუფთა" ფორვარდი, ორივეს მოედნის სილრმიდან უყვარს შეტევა და შეუძლია კიდეც. მოკლედ, „რეალმა" კრიშტიანო რონალდოს +3 გოლის წყალობით, „ბარსასთან" ჩამორჩენა -3 ქულა გახადა, ანუ შვიდი.

მაშ ასე, თქვენ წინაშეა 26-ე ტურის სიმბოლური ნაკრები, რომელშიც ლეო მესი მე-15-ედ მოხვდა ამ სეზონში, კრიშტიანო რონალდო კი - მე-12-ედ.

**მეკარე**

**დანიელ არანსუბია** (დეპორტივო): ზედიზედ მესამედ მოხვდა სიმბოლურში. რაც ალმერიაში ისტორიული გოლი გაიტანა, მეკარე დაფრინავს. ასე იყო „რეალთან" და ახლა „ოსასუნასთან" მატჩში.

**მცველები**

**სერხიო ბუსკეტსი** (ბარსელონა): ითამაშა მისთვის უჩვეულო პოზიციაზე, რაც **კარლეს პუიოლის** ტრავმითაა გამოწვეული. პედროს შემოსვლის შემდეგ კი ისევ ნახევარმცველობა ითავა. ორივე პოზიციაზე იყო დიდებული.

**ადრიანო** (ბარსელონა): დაცვაშიც იყოჩალა და შეტევაშიც საკუთარ მარცხენა ფლანგზე, საგოლე პასის ავტორია.

**ასიერ დელ ორნო** (ლევანტე): ვალენსიელთა ბასკმა მცველმა გადამწყვეტი გოლი გაიტანა ამ ტურში.

**ნახევარმცველები**

**მანუ დელ მორალი** (ხეტაფე): გაიტანა გოლი, რომელმაც „ხეტაფეს" მცირე მადრიდულ დერბიში საბოლოოდ ქულა მოუტანა.

**ელიასი** (ატლეტიკო): შეცვლაზე შევიდა და გაიტანა „ხეტაფეს" კარში ძალიან ლამაზი გოლი გაიტანა, სხვა მხრივაც მოედანზე საუკეთესო იყო.

**ანხელ დი მარია** (რეალი): „მალაგასთან" შეხვედრაში ანხელმა უბრალოდ კარგად კი არა (როგორც ჩვეულად თამაშობს) არამედ, ძალიან კარგად ითამაშა.

**ბრუნო** (ვილიარეალი): დღეისათვის, ბრუნო ერთ-ერთი საუკეთესო შუახაზელია ესპანეთში, რაც მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა.

**თავდამსხმელები**

**ლიონელ მესი** (ბარსელონა): სეზონში 27-ე გოლი გაიტანა, თანაც „მესტალიაზე" და თან გადამწყვეტი, გამარჯვებისა.

**კრიშტიანო რონალდო** (რეალი): სამი გოლი გაიტანა „მალაგას" კარში. ეს მისი მე-4 ჰეთთრიკია სეზონში.

**ლუიზ ფაბიანო** (სევილია): ბრაზილიელი ბრწყინვალე ფორმაში ჩადგა და, სამწუხაროა, თუკი ის სეზონის ბოლოს პრიმერადივიზიონს დატოვებს.

**ტოპ-10 „დონ ბალონის" შეფასებით**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. მესი | ბარსელონა | 23 | 177 | 7,70 |
| 2. რონალდო | რეალი | 26 | 188 | 7,23 |
| 3. როსი | ვილიარეალი | 24 | 173 | 7,21 |
| 4. ინიესტა | ბარსელონა | 26 | 187 | 7,19 |
| 5. ბ. ვალერო | ვილიარეალი | 24 | 171 | 7,13 |
| 6. კასორლა | ვილიარეალი | 25 | 177 | 7,08 |
| 7. დ. ალვეში | ალმერია | 26 | 183 | 7,04 |
| 8. ვილია | ბარსელონა | 25 | 168 | 6,72 |
| 9. არანსუბია | დეპორტივო | 20 | 134 | 6,70 |
| 10. ჩ. ალონსო | რეალი | 24 | 160 | 6,67 |

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ტრავმა

# ძვირი ჰეთთრიკი



როგორც კი „მალაგას“ კარში ჰეთთრიკი შეასრულა, **კრიშტიანო რონალდომ** მაშინვე შეცვლა ითხოვა. ბევრმა იფიქრა, რახან **ლიონელ მესის** ბომბარდირთა დავაში წამოეწია, პორტუგალიელმა თავისი მისია ამ მატჩში ამოწურულად ჩათვალაო. სამწუხაროდ, ასე არ ყოფილა - „რეალის“ ლიდერმა საზარდული დაიზიანა და მაშინვე მიხვდა, რომ თამაშის გაგრძელებას ვერ შეძლებდა. იმ დროისთვის შეცვლების ლიმიტი ამოწურული იყო და რონალდოს ნაცვლად ვერც ვერავინ შემოვიდა, თუმცა „რეალი“ 7:0-ს იგებდა და ამას მნიშვნელობა ნაკლებად ჰქონდა.

აი, რონალდოს ტრავმას კი ნამდვილად აქვს დიდი მნიშვნელობა „რეალისთვის“. *„როცა მესამე გოლი გამქონდა, ფეხი ისე დავიშავე, სხვისი ბრალი ნამდვილად არ არის. რადგან წინ მნიშვნელოვანი თამაშებია, გარისკვად არ ღირდა, ამიტომაც დავტოვე მოედანი, სხვა ანგარიში რომ ყოფილიყო, გუნდის ინტერესებს არაფერს ვანაცვალებდი, საკუთარ ჯანმრთელობასაც კი. ჩვენ თამაშს ძალიან დიდი სხვაობით ვიგებდით და გარისკვა აღარ იყო საჭირო. არა მგონია, კვირას „რასინგთან“ თამაში შევძლო“*, - განუცხადა „მარკას“ ლა ლიგის თანაბომბარდირმა.

„რასინგთან“ თამაშს ვინ ჩივის, საეჭვოა, რომ რონალდომ ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მერვედფინალში „ლიონის“ წინააღმდეგ თამაში შეძლოს. გუშინ მაგნიტურ-რეზონანსულმა ტესტირებამ აჩვენა, რომ დაზიანებულია მარცხენა ბიცეპსის კუნთი. ასეთი სახის ტრავმის მკურნალობას კი 10-15 დღე ესაჭიროება.

ამით რონალდოს 39-მატჩიანი სერია შეწყდა: ლა ლიგაში, თასსა და ჩემპიონთა ლიგაში რონალდომ ზედიზედ 39 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 37 გოლი გაიტანა. „რასინგთან“ თამაშში ის ვერაფრით გამოვა მინდორზე, ასე რომ, მე-40 მატჩი ზედიზედ სასტარტოში არ გამოვა. აქამდე რონალდო ერთადერთი ფეხბურთელი იყო ლა ლიგაში, რომელსაც ჩემპიონატის ყოველი წუთი ჰქონდა ნათამაშები. წინა ტურში მან გადაუსწრო **ანდონი ირაოლას**, მას შემდეგ, რაც ბასკმა მცველმა მატჩი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა. ხუთშაბათის 77 წუთის ჩათვლით, რონალდოს ზედიზედ 2 440 წუთი დაუგროვდა.

ამ სტატისტიკას თუ გადახედავთ, მიხვდებით, რომ რონალდოს არგაყვანა, მაშინ, როცა „რეალი“ „მალაგას“ სოლიდური ანგარიშით უგებდა, მხოლოდ მესის დაწევის სურვილით ვერ ავხსნით. სხვათა შორის, ორიოდე კვირის წინათ **ჟოზე მოურინიომ** კითხვაზე, რატომ არ ასვენებთ კრიშტიანოსო, მიუგო - ბიჭი ხარივით ჯანმრთელია და დაღლილობას არ გრძნობსო.

პორტუგალიელს ჰქონდა შანსი **ხოსე ანტონიო კამაჩოს** მიღწევა გაემეორებინა, რომელმაც „რეალის“ მაისურით ჩემპიონატის ყოველი წუთი ითამაშა სეზონში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

***P.S.*** *ბოლო ცნობით, კრიშტიანოს „ლიონთან“ თამაშის 90%-იანი შანსი აქვს. აი, „რასინგთან“ და „ერკულესთან“ მატჩებს კი 100%-ით გამოტოვებს.*

● ფიფა

# ფიფამ მასპინძლები გაარკვია

3 მარტს ციურიხში ფიფას აღმასრულებელი კომიტეტი შეიკრიბა და მათივე ეგიდით გასამართი სხვადასხვა რანგის ტურნირის მასპინძელი ქვეყნები დაასახელა. ეს შეჯიბრებები 2012—2015 წლებში უნდა გაიმართოს.
20-წლამდელ ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატს 2012 წელს უზბეკეთი გაუწევს ორგანიზებას, ამავე ასაკის ვაჟების ჩემპიონატს 2013-ში თურქეთი უმასპინძლებს, 17-წლამდელთა მსოფლიოს თასს ისევ 2013 წელს - არაბეთის გაერთიანებული საამიროები. კოსტა რიკაში გაიმართება 2014 წელს 17-წლამდელთა ჩემპიონატი ქალებს შორის. 2015 წელს კი ორი დიდი ტურნირი მოეწყობა: 17-წლამდელთა ჩემპიონატი ჭაბუკებს შორის, რომელიც ჩილეში ჩატარდება და 20-წლამდელთა ჩემპიონატი – ამ შემთხვევაში მასპინძელი მეტად საინტერესოა, მსოფლიო რაგბის მექა ახალი ზელანდია. 2014 წელს გასამართი 20-წლამდელ ქალთა ჩემპიონატი და 2015-ში ქალთა მსოფლიო პირველობა კანადაში შედგება.

მასპინძლობის სტატუსით აღჭურვილი ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები, ბუნებრივია, სხდომას ესწრებოდნენ და გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ კომენტარიც გააკეთეს. აი, რა თქვა კანადის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა **დომინიკ მაესტრაკიმ:** *“ჩვენთვის დიდი პატივია, რომ არჩევანი ჩვენზე შეაჩერეს. განსაკუთრებით ეს 2015 წელს ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ითქმის. დღეს ჩვენ ნამდვილად ამაყები ვართ. ქალთა ფეხბურთში ამაზე დიდი შეჯიბრება არ არსებობს. ჩვენი ქვეყნის მრავალეთნიკური შემადგენლობა იმის გარანტიას იძლევა, რომ ჩემპიონატის მონაწილე 24-ვე ქვეყანას ჩვენთან ის თბილი გარემო დახვდება, რომელსაც ისინი იმსახურებენ. კანადას დიდი ტურნირების ორგანიზების ბრწყინვალე ტრადიცია აქვს. გასათვალისწინებელია, რომ ჩვენს ფედერაციას ფედერალური მთავრობაც მხარში უდგას და შესაბამისად, ყველაფრის ორგანიზებას უმაღლეს დონეზე შევძლებთ. იმასაც კი ვეცდებით, რომ ჩემპიონატების ისტორიაში საუკეთესო ტურნირი გამოგვივიდეს”.*

**ლუტფი არიბოგანი** (თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი): *“20-წლამდელ ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონატი ყველაზე დიდი საფეხბურთო ფორუმია, რისთვისაც კი ოდესმე თურქეთს უმასპინძლია. ჩვენ მთელი ქვეყანა მხარში დაგვიდგება - დაწყებული მინისტრებიდან, დამთავრებული მასპინძლობის კანდიდატი ქალაქების ადმინისტრაციებითა და უბრალო მოქალაქეებით. ყველას ვუჩვენებთ, რომ მზის ქვეშ ყველას ადგილი მოგვეპოვება მიუხედავად სქესის, კანის ფერისა თუ ასაკისა. თურქეთის სტუმრები ჩვენი ქვეყნის კულტურას გაეცნობიან და დარწმუნდებიან, რომ ჩემს ქვეყანას მდიდარი ისტორია აქვს”.*

**ლევან ბიბილაშვილი**

ესპანეთი. ლა ლიგა. XXVII ტურის წინ

# მესის შანსი

**დღეს, 21:00**
**მალიორკა — ვალენსია** VS
**დისკვალიფიკაცია:** მარტი, თოფალი - ბრუნო
**ტრავმა:** დე გუზმანი, ნადალი, ვიქტორი - მოია, მიგელი, ადურისი, ალბელდა

**დღეს, 23:00**
**ბარსელონა — სარაგოსა** VS
**დისკვალიფიკაცია:** დიგო (სარ)
**ტრავმა:** ჟეფრენი, პუიოლი (?) - ლაგუარდია, ლაფიტა, ბრაულიო, ფრანკო

**დღეს, 01:00**
**ატლეტიკო — ვილიარეალი** VS
**ტრავმა:** უიფალუში, პერესი, პულიდო, სუარესი (?), ელიასი (?) - ა. ლოპესი, სენა

**ხვალ, 20:00**
**სპორტინგი — ხეტაფე** VS
**დისკვალიფიკაცია:** ბოტია (სპორ)
**ტრავმა:** ტორე - უსტარი, ბორხა, მარიო, ალბინი, პინტოსი, კაში

**ხვალ, 20:00**
**ერკულესი — ალმერია** VS
**დისკვალიფიკაცია:** პულჰაკი - ბერნარდელო, როდრიგესი, ულოა
**ტრავმა:** ფარინოსი, პენია, რუფეტე, ვალდესი, დრენტე - ნიეტო, ხუანმა ორტისი

**ხვალ, 20:00**
**ლევანტე — ესპანიოლი** VS
**ტრავმა:** სერხიო, გონსალესი, ლარეა, პერესი, კოლმერი, ექტორი, კაისედო - ოსვალდო, პენია, ალონსო, ბაენა, მარკესი, მატიონი, ფორლინი

**ხვალ, 20:00**
**მალაგა — ოსასუნა** VS
**დისკვალიფიკაცია:** გამესი (მალ)
**ტრავმა:** როსარიო, რუბენი, მალაგუენო, ასენხო, ბაპტიშტა, დუდა - არანდა, ფლანიო, რობერტო, ვადოცი, რუპერი, პანდიანი, ოიერი

**ხვალ, 22:00**
**ბილბაო — სევილია** VS
**ტრავმა:** რომალიო, იტურასპე, გომესი, კასტილიო, აურტენეჩე, გურპეგი (?), ამორებიეტა - ჩიგარინი, კასერესი, კონე, აკოსტა, პალოპი (?), დრაგუტინოვიჩი, გუარენტე

**ხვალ, 00:00**
**რასინგი — რეალი** VS
**ტრავმა:** სერანო, ციოლისი - პეპე, იგუაინი, ხედირა, რონალდო, გარაი

**ზეგ, 00:00**
**დეპორტივო — სოსიედადი** VS
**ტრავმა:** საული, პაბლო, ვალერონი, ურეტა, სისკო - იფრანი, პრიეტო (?), ლორენტე, გრიზმანი (?), ელუსტონდო



ვიქტორ ვალდესი ბრუნდება

ესპანეთში „ნონ-სტოპ“ რეჟიმში ათამაშდნენ - ჯერ კიდევ „მალაგას“ კარში გოლთა წვიმას არჩევენ პირინეებზე, არადა, დღეს უკვე მორიგი, 27-ე ტურია, რომელსაც „ბარსელონა“ 7-ქულიანი უპირატესობით ხვდება **ჟოზე მოურინიოს** „რეალზე“. 27-ე ტურის წინ 27-27 გოლი აქვთ გატანილი **ლეო მესისა** და **კრიშტიანო რონალდოს**, თუმცა არგენტინელს შესანიშნავი შანსი აქვს, ისევ დაწინაურდეს - პორტუგალიელი ტრავმირებულია და უახლოეს ორ ტურს დანამდვილებით გამოტოვებს.

დღეს ბარსელონაში მეზობლების, კატალონიელებისა და არაგონელების დაპირისპირების მომსწრენი გავხდებით. ერთი შეხედვით, „კამპ ნოუზე“ „სარაგოსას“ რა შანსი უნდა ჰქონდეს, მაგრამ, არ დაგვავიწყდეს, რომ წინა ტურში არაგონელებმა ბასკებთან იყოჩაღეს, **ხავიერ აგირე** კი სულაც ტურის მწვრთნელად აღიარეს. მადრიდში ეიმედებათ, რომ მექსიკელის გუნდი კვანტს გამოსდებს საჩემპიონოდ დაქოქილ „ბარსელონას“.

„ბარსელონას“ ლაზარეთში... თავად მთავარი მწვრთნელია, **პეპ გვარდიოლამ** გუნდი არ მიატოვა „მესტალიაზე“ თამაშის წინ, რითაც ძალიან გაიუარესა წელის ტკივილი. ახლა ის უფრო ხშირად კლინიკაშია, ვიდრე სახლში. გუნდს **ტიტო ვილანოვა** ამზადებს და, დიდი შანსია, სათადარიგოთა სკამზეც ის ვიხილოთ „სარაგოსასთან“. პეპი პეპად, ალბათ, მაინც გასწირავს საკუთარ ჯანმრთელობას და „კამპ ნოუზე“ მისვლას მოინდომებს, მაგრამ, მთავარი სიახლე გუნდში ის არის, **ვიქტორ ვალდესი** დაბრუნდა - მეკარემ გუშინ ივარჯიშა სრული დატვირთვით. ვალდესი 2 კვირით დააკლდა გუნდს მუხლის ტკივილის გამო, პარასკევს კი ექიმებმა მას სრულად დატვირთვის უფლება მისცეს, ყველა პრობლემა უკან დარჩა - ვალდესი დაიბრუნებს თავის კუთვნილ ადგილს ძელებს შორის, თუმცა არ მის შემცვლელ **ხოსე პინტოზე** ეთქმით აუგი „ბარსელონას“ გულშემატკივრებს. ივარჯიშა გუნდის კაპიტანმა **კარლეს პუიოლმაც**, მაგრამ მისი თამაშის საკითხი ჯერაც ღიაა.

სხვათა შორის, თუკი პეპი გამოტოვებს თამაშს, ეს არ იქნება პირველი შემთხვევა „ბარსელონას“ ისტორიაში, როცა მწვრთნელი ვერ ესწრება შეხვედრას. მისმა წინამორბედებმა, **ფრენკ რაიკაარდმა** და **იოჰან კრუიფმაც** გამოტოვეს „ბარსას“ მატჩები. 1991 წლის თებერვალში კრუიფს გულმა შეუტია, რის გამოც მას ოპერაცია დასჭირდა და 10 დღე საავადმყოფოში გაატარა. 2005 წლის დეკემბერში კი რაიკაარდმა პნევმონიის გამო გააცდინა მატჩი.

ხვალ მდევარი „რეალი“ „რასინგს“ ეწვევა და თუ ისევე ითამაშა, როგორც „მალაგასთან“, კანტაბრიელებს შანსი არ ექნებათ. საქმეც იმაშია, რომ თანამედროვე ესპანურში ახალი სიტყვა მკვიდრდება, „კრისტიანოდეპენდენსია“. ესპანელები პორტუგალიელს კრისტიანოს უძახიან, ეს სიტყვა კი ნიშნავს კრიშტიანოზე დამოკიდებულებას. საფეხბურთო წრეებში უკვე შეთანხმდნენ, რომ ჟოზე მოურინიოს გუნდი ძირითადად რონალდოს თამაშზეა დამოკიდებული. ის კიდევ არ იქნება.

დღეს „ვისენტე კალდერონზე“ ძალიან საინტერესო თამაში გველის, „ატლეტიკო“ მე-4 ადგილზე მყოფ „ვილიარეალს“ მასპინძლობს. ბოლო დროს, „ვილიარეალი“ ისე კარგად ვეღარ თამაშობს, მაგრამ „ატლეტიკო“ კიდევ უარეს ფორმაშია. არადა, ორივე გუნდს ძალიან კარგი ფეხბურთის შემოთავაზება შეუძლია გულშემატკივრისთვის.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 26 | 23 | 2 | 1 | 77-13 | 71 |
| 2. რეალი | 26 | 20 | 4 | 2 | 62-19 | 64 |
| 3. ვალენსია | 26 | 15 | 6 | 5 | 40-27 | 51 |
| 4. ვილიარეალი | 26 | 15 | 5 | 6 | 45-26 | 50 |
| 5. ესპანიოლი | 26 | 13 | 1 | 12 | 35:38 | 40 |
| 6. ბილბაო | 26 | 12 | 2 | 12 | 40-38 | 38 |
| 7. სევილია | 26 | 11 | 5 | 10 | 41-40 | 38 |
| 8. ატლეტიკო | 26 | 10 | 5 | 11 | 36-34 | 35 |
| 9. სოსიედადი | 26 | 11 | 2 | 13 | 37-42 | 35 |
| 10. მალიორკა | 26 | 10 | 4 | 12 | 27-35 | 34 |
| 11. ხეტაფე | 26 | 9 | 6 | 11 | 36-39 | 33 |
| 12. რასინგი | 26 | 7 | 9 | 10 | 24-36 | 30 |
| 13. ლევანტე | 26 | 8 | 4 | 14 | 27-38 | 28 |
| 14. დეპორტივო | 26 | 6 | 10 | 10 | 21-35 | 28 |
| 15. სარაგოსა | 26 | 6 | 9 | 11 | 24-38 | 27 |
| 16. ოსასუნა | 26 | 6 | 8 | 12 | 26-32 | 26 |
| 17. ერკულესი | 26 | 7 | 5 | 14 | 24-39 | 26 |
| 18. სპორტინგი | 26 | 5 | 10 | 11 | 23-34 | 25 |
| 19. მალაგა | 26 | 6 | 5 | 15 | 34-58 | 23 |
| 20. ალმერია | 26 | 4 | 10 | 12 | 26-44 | 22 |

**ბომბარდირები:** 27 - ლეო მესი (ბარსელონა), კრიშტიანო რონალდო (რეალი); 17 - დავიდ ვილია (ბარსელონა); 15 - ფერნანდო ლორენტე (ბილბაო); 13 - პედრო როდრიგესი (ბარსელონა), ჯუზეპე როსი (ვილიარეალი); 11 - ნილმარი (ვილიარეალი); 10 - ფელიპე კაისედო (ლევანტე), ლუიშ ფაბიანო (სევილია), ალვარო ნეგრედო (სევილია), დავიდ ტრეზეგე (ერკულესი).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ტყვიის სროლა. ევროპის ჩემპიონატი

# ფანჩულიძის სიურპრიზი იტალიაში

EUROPEAN CHAMPIONSHIP 10м BRESCIA 2011

იტალიურ ბრეშიაში პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში მიმდინარე ტყვიის მსროლელთა ევროპის ჩემპიონატზე გუშინ ახალგაზრდა გოგოებმა იასპარეზეს და სასიამოვნოდ გაგვაოცა ქუთაისელმა **ნინო ფანჩულიძემ** – შესარჩევი ტურნირი მეხუთე შედეგით დაასრულა, ფინალში კი ოდნავ გააუარესა მაჩვენებელი და მეექვსეზე დარჩა. თუმცა მთავარი ეს არაა, საყურადღებო და აღსანიშნავია მის მიერ საკვალიფიკაციოში დაგროვებული ქულები – 377! ასეთ შედეგს ბევრი ქალთა შორისაც კი ვერ აღწევს, არათუ ახალგაზრდებში. აქამდე ფანჩულიძის პირადი რეკორდი 374 ქულა იყო, რაც შარშან მიუნხენის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში აჩვენა, ახლა კი საგრძნობლად გააუმჯობესა. გადაჭარბებულ ოპტიმიზმში რომ არ ჩამოგვერთვას, ახლავე განვმარტავთ - 377 ქულა ნამდვილად არაა ის შედეგი, პირად პირველობაში მედლებზე ვიოცნებოთ (მაშინ ძალიან უნდა გაგვიმართლოს), მაგრამ თუ ახალგაზრდა ჩუბინი ამ შედეგს სტაბილურად შეინარჩუნებს, ნაკრებში მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ **ნინო სალუქვაძის** გარდა, კიდევ ერთი დასაყრდენი მსროლელი გვეყოლება, რომელიც სალუქვაძის მონაგარს იმდენად შეახვავრიელებს, ჩვენებს გუნდურ ჩათვლაში ნებისმიერი რანგის პირველობაზე ექნებათ მედლის მოპოვების შანსი. გუნდურ ტურნირებში წინა ფორმაციის ნაკრებსაც ჰქონდა წარმატებები – ევროპის ვიცე-ჩემპიონიც კი გახდა, მაგრამ მეორე-მესამე ნომრები ხშირად ვერ აჩვენებდნენ ასეთ მაღალ შედეგებს, როგორიც ახლა ფანჩულიძემ გააკეთა ანუ სალუქვაძეს სათანადოდ ვერ უბამდნენ მხარს (შეგახსენებთ – გუნდურში სამივე მსროლელის შედეგი იკრიბება და ადგილები ისე ნაწილდება, აქ ცალკე შეჯიბრება არ ტარდება). ქუთაისელი მსროლელის შემატებით იმაზე ძლიერი ნაკრები თუ არა, იმ დონისა მაინც გვეყოლება, იმათ კი, როგორც გითხარით, გარკვეული წარმატებები მოიპოვეს. თანაც, ფანჩულიძე ჯერ კიდევ მოზარდია და პერსპექტივაში შედეგების გაუმჯობესებაც შეიძლება. ყველაფერს თავი დავანებოთ და დღეს ქალთა გუნდი საერთოდ დაშლილია, ფანჩულიძის ფაქტორი კი მისი აღდგენის წინაპირობაა. აქვე გეტყვით, რომ მიუნხენური მიღწევის შემდეგ განვლილ ერთწლიან მონაკვეთში ახალგაზრდა ქუთაისელმა ჩუბინმა 374 ქულა ვერ გაიმეორა, მაგრამ 370-იან მიჯნაზე კი დამკვიდრდა ანუ მეტ-ნაკლებად მაინც სტაბილურად ისვრის, რაც მისასალმებელი ფაქტია.

...დავუბრუნდეთ ისევ ბრეშიას და ევროპის ჩემპიონატს, რომელიც მხოლოდ პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში იმართება, გოგოების ტურნირში კი ჩვენი ნაკრები სრული შემადგენლობით გამოვიდა – ფანჩულიძის გარდა, გუშინ **ანა გაგილაძემ** და **თეონა იაშვილმაც** ისროლეს, თუმცა ფინალში ვერ მოხვდნენ. შესარჩევში გაგილაძემ 362 ქულა დააგროვა და 39-ზე გავიდა, იაშვილი კი 352 ქულით ბოლო, 51-ე ადგილზე დარჩა. აქ ყურადღებას გაგილაძეზე შევაჩერებთ – მან ამჯერად ვერ იყოჩაღა, მაგრამ წლეულს მიუნხენის საერთაშორისო შეჯიბრებაში 370 ქულა მიითვალა. ნაკრების სამომავლო სტაბილურობისა და მისი ახალგაზრდული ასაკის გათვალისწინებით, ესეც საყურადღებო შედეგია.

შესარჩევი ეტაპი ფანჩულიძემ არცთუ კარგად დაიწყო – პირველ სერიაში 92 ქულა გააკეთა. სამაგიეროდ, მეორეში არა უშავდა – 96 დააგროვა. სამწუხაროდ, ამის შემდეგ ისევ გააუარესა მაჩვენებელი – 93, მაგრამ ბოლო სერიაში კვლავ მოახერხა მობილიზება და 96 გაარტყა. ჯამში 377 დაუგროვდა, რაც მეხუთე შედეგი აღმოჩნდა. ჩვენებური 1 ქულით ჩამორჩა მის წინ მდგომ პოლონელ **კაროლინა ბასზენს**, მოწინავე სამეულთან სხვაობა კი უფრო საგრძნობი იყო. საკვალიფიკაციო ეტაპი პოლონელმა **იოანა ტომალამ** 382 ქულით მოიგო, მომდევნო ადგილებს კი 381-381-ით უნგრელი **ადრიენ ნემესი** და ესპანელი **კრისტინა მუნოზი** იყოფდნენ. ამათგან დამატებითი მაჩვენებლებით მეორე პოზიციაზე უნგრელი დამკვიდრდა.

ფინალურმა სერიამ მოწინავე სამეულში მხოლოდ ერთი ცვლილება შეიტანა – მუნოზმა ნემესს გაუცვალა ადგილი და ვერცხლს თვითონ დაეუფლა. მას ეს მედალი ძალზე მცირე, სულ რაღაც 0,4-იანმა უპირატესობამ მოუტანა - მისი შედეგი 95,8 იყო, უნგრელისა – 95,4. ჯამში ესპანელმა 476,8 დააგროვა, უნგრელმა – 476,4. ტომალა ფინალშიც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა და ჩემპიონობაში ვერავინ შეეცილა – წინასწარ შედეგს 97.0 დაამატა და 479,0-ით მოიპოვა ოქროს მედალი. პოლონელმა ბასზენმა აქაც აჯობა ჩვენებურს – 96,3 გააკეთა და ჯამში 474,3 დაუგროვდა, ფანჩულიძემ კი თავდაპირველ მონაგარს 95,9 დაუმატა და 472,9 მოაგროვა. რომ არა ჩეხი **მარკეტა კრიკორკოვას** ჩინებული გამოსვლა ფინალში, ფანჩულიძე მეხუთე ადგილს შეინარჩუნებდა, მაგრამ ჩეხმა დასკვნით ნაწილში მართლაც რომ ჩინებული შედეგი აჩვენა – 100,4, რითაც 475,4 დაუგროვდა და ფინალურ ოქტეტში დამატებითი სროლების ხარჯზე შესულმა საბოლოოდ მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა.

ჩვენს ახალგაზრდულ ნაკრებს გუნდურ ჩათვლაში 1091 ქულა დაუგროვდა და მე-13 ადგილზე გავიდა. აქ პოლონელებმა გაიმარჯვეს 1126 ქულით, ვერცხლი ბულგარელებმა ირგუნეს 1114-ით, ბრინჯაო კი 1113-ქულიან ხორვატებს ერგოთ.

ახლა ჩემპიონატში უფროსებიც ჩაებმებიან. დღეს ვაჟთა შეჯიბრებაა, სადაც **ლევან ქადაგიძე** ისვრის, თუმცა ჩვენი მთავარი იმედები ხვალინდელ დღეს უკავშირდება, როცა ცეცხლის ხაზზე ნინო სალუქვაძე დადგება. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ეს შეჯიბრება ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადის ლიცენზიებს არ იძლევა, მაგრამ კბილი არც ევროპულ მედალს გაესინჯება.

**ირაკლი თავაძე**

წყალბურთი



ალექსანდრე კოტრამშვილის ფოტო

# რევანში ოლიმპიკში

„ოლიმპიკის" აუზში გუშინ დაიწყო სახელოვანი ქართველი წყალბურთელის, მელბურნის ოლიმპიური თამაშებისა და ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორის **ნოდარ გვახარიას** თასის პირველი გათამაშება, რომელშიც 1995-1996 წლებში დაბადებულ წყალბურთელთა 4 გუნდი მონაწილეობს. საასპარეზოდ უნდა გვწვეოდა ეგვიპტის ნაკრებიც, მაგრამ იქაური პოლიტიკური ამბების შემდეგ, თბილისში ჩამოსასვლელად ვიღას ცხელა. ამიტომ ტურნირში მე-4 გუნდად საქართველოს მეორე ნაკრები ჩაება. გუშინ იგი ბელარუსებს დაუპირისპირდა. ჩვენმა ბიჭებმა (**ლაშა კოჩიაშვილი, ვახტანგ კუცია, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი (1), სანდრო თოთლაძე, ერეკლე წამალაშვილი (1), ნიკა ქრისტესიაშვილი (1), იოანე ჩანტლაძე (1), გურამ გელაძე, საბა ჯმუხაძე (1), თორნიკე შენგელია (2), ჯიმი ბროძელი (2), ლევან მოსაშვილი, ირაკლი რაზმაძე**) ჯეროვანი წინააღმდეგობა გაუწიეს სტუმრებს, მეორე პერიოდში დაწინაურდნენ კიდეც, მაგრამ პაექრობის დამთავრებამდე 21 წამით ადრე გადამწყვეტი გოლი გაუშვეს და საბოლოოდ 9:10 (2:2, 2:3, 2:2, 3:3) დამარცხდნენ. სამაგიეროდ, გვასახელა პირველმა ნაკრებმა (**ცოტნე ინწკირველი, ზურაბ ჩიკვაიძე (2), დავით რევია, რევაზ იმნაიშვილი (1), გიორგი გაბადაძე (1), ხვიჩა ჯახაია, გიორგი ზაქარეიშვილი, ლუკა კახეთელიძე (1), ალექსანდრე ყაზახიშვილი (6), გიორგი ჩომახაშვილი, დავით კაკულია (6), მამუკა თუხარელი,** მწვრთნელები - **იოვან პოპოვიჩი. ირაკლი ბაქრაძე**). შარშან ლვოვის საერთაშორისო ტურნირზე უკრაინელებმა ქართველ თანატოლებს 17:3 სძლიეს. გუშინ მასპინძლები რევანშის წყურვილით გავიდნენ საბრძოლველად. იოვან პოპოვიჩის შეგირდებმა პირველი წუთებიდანვე [illegible] კომპონენტში [illegible] თანამემამულე - **გიორგი მახარაძის** დამოძღვრილი უკრაინელები. სტუმრებმა მხოლოდ 21-ე წუთზე გაიტანეს პირველი საპასუხო გოლი, ანუ მაშინ, როცა საკუთარ კარში უკვე 15 ბურთი ჰქონდათ მიღებული - ეტყობა, აუზიდან მთლად მშრალი ამოსვლა ეუხერხულათ. საბოლოოდ საქართველოს ნაკრებმა 18:2 გაიმარჯვა და შარშანდელი მარცხისთვის დამაჯერებელი რევანში აიღო. ცხადია, მატჩის პერიპეტიების აღწერას აზრი არა აქვს, უბრალოდ, გვინდა გამოვყოთ დავით კაკულიას და ალექსანდრე ყაზახაშვილის ეფექტური და ეფექტიანი თამაში - მათ უკრაინელთა კარში 6-6 ბურთი გაიტანეს. ასევე გამოირჩეოდნენ ზურაბ ჩიკვაიძე და ანდრია ბითაძე და, საერთოდ, მთელმა გუნდმა სპეციალისტებიცა და გულშემატკივრებიც მოხიბლა.

მატჩის შემდეგ შთაბეჭდილებების გაზიარება უკრაინელთა ქართველ მწვრთნელ გიორგი მახარაძეს ვთხოვე: *„საქართველოში დავიბადე-გავიზარდე და წყალბურთის თამაშიც აქ ვისწავლე. ჩვენი ქვეყნის ნაკრების წევრიც ვიყავი. 2004 წლიდან ოდესაში ვცხოვრობ, უკრაინის სხვადასხვა ასაკის ახალგაზრდა წყალბურთელებს ვწვრთნი, რამდენიმე დღის წინათ პოლონეთის ტურნირზე მეორე ადგილი დავიკავეთ, სწორედ ამ ასაკში, ამიტომ თბილისში უფრო სათადარიგო შემადგენლობა ჩამოვიყვანეთ. ამდენად, დღევანდელი მარცხი არ გასაკვირებია. ჩვენთან თამაშით საქართველოს ნაკრების სიძლიერის განსაზღვრა გამიჭირდება. თუმცა შარშანდელთან შედარებით ბიჭები ბევრად უკეთ რომ გამოიყურებიან, აშკარაა. პირველი, ვინც უბის წიგნაკში ჩავინიშნე, ანდრია ბითაძეა. იგი 1997 წელსაა დაბადებული და მასთან ერთი წლის შემდეგ ევროპის პირველობაზე მოგვიწევს შეხვედრა. უკვე ზრდასრული წყალბურთელის თვისებებს ავლენს. საქართველოს ნაკრებს ვულოცავ გამარჯვებას და წარმატებას ვუსურვებ".*

დღეს საქართველოს პირველი ნაკრები ბელარუსებს დაუპირისპირდება, მეორე ნაკრები კი უკრაინას შეხვდება.

**ვაჟა დანელია**

ქადრაკი

# გვირგვინისთვის ბრძოლის შანსი კვარცხლბეკს მიღმა რჩება

ერთი ტურიც და დოჰაში მოჭადრაკე ქალთა ფიდეს გრანპრის ბოლო ეტაპის გათამაშებაც დამთავრდება. გუშინდელი ორთაბრძოლების შემდეგ საუკეთესო სამეული გამოიკვეთა. სამწუხაროდ, კვარცხლბეკს ქართველები ვერ შესწვდებიან. **ნანა ძაგნიძემ** თეთრი ფიგურებით ტურნირის გამოკვეთილ აუტსაიდერთან ყატარელ **ჟუ ჩენთანაც** წააგო და 5 ქულით **მაია ჩიბურდანიძესთან** ერთად მეხუთე-მეექვსე ადგილებს იყოფს.

ჯერჯერობით პირველ ადგილზე რჩება სომეხი **ელინა დანიელიანი,** რომელიც გუშინ ორგზის ევროპის ჩემპიონ **პია კრამლინგს** (შვედეთი) დანებდა. მეორე-მესამე ადგილებს ინდოელი **ჰამფი კონერუ** და ფრანგი **მარი სებაგი** ინაწილებენ. ინდოელმა სომეხი **ლილით მკრტიჩიანი** დაჯაბნა, **სებაგი** კი თეთრებით ჩიბურდანიძეს დაუზავდა. ასევე ყაიმზე შეთანხმდნენ **ანტოანეტა სტეფანოვა** (ბულგარეთი)-**ბათჰუიაგ მონგონთუული** (მონგოლეთი), ხოლო **სიუ იუჰუამ** (ჩინეთი) შავებით **მარტა ფიეროს** (ეკვადორი) სძლია.

ბოლო ტურის წინ ასეთი მდგომარეობაა: დანიელიანი-7,5, კონერუ, სებაგი-7-7, კრამლინგი-5,5, ჩიბურდანიძე, ძაგნიძე-5-5, ფიერო, მონგონთუული, იუჰუა, მკრტიჩიანი-4-4, სტეფანოვა, ჟუ ჩენი-3,5-3,5 ქულა.

მე-11 ტურში ითამაშებენ: ჩიბურდანიძე-ძაგნიძე, მონგონთუული-სებაგი, დანიელიანი-სტეფანოვა, იუჰუა-კრამლინგი, მკრტიჩიანი-ფიერო, ჟუ ჩენი-კონერუ.

წლეულს მსოფლიოს ჩემპიონობისთვის ჩინელ **ჰოუ იფანს** თუ ვინ დაუპირისპირდება, ეს ბოლო ტურის შედეგებზეა დამოკიდებული. კონერუ სუფთად პირველ ადგილზე თუ გავა, მაშინ სამი ტურნირის ჯამში 413,33 ქულით მთავარ გრანპრისთან ერთად ტიტულისთვის პაექრობის უფლებასაც მოიპოვებს, პირველ-მეორე ადგილებს თუ გაიყოფს, მთავარი გრანპრი იფანს (410 ქულა) დარჩება, თავად (398,33) კი გვირგვინისთვის იბრძოლებს, დანარჩენ შემთხვევაში ეს პატივი ძაგნიძეს (390 ქულა) ერგება.

**ვაჟა დანელია**

# ტაიმაუტი ფინიშზე

მეშხედის (ირანი) მოჭადრაკეთა საერთაშორისო ფესტივალზე 11 ტური უნდა გათამაშდეს. გუშინ მე-9 ტურში საქართველოს 8 წარგზავნილიდან ხუთმა საკმაოდ გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა. **დავით ბენიძე** აზერბაიჯანელ **გადირ ჰუსეინოვს** დაუზავდა და 7 ქულით მეწინავეთა შორისაა (ლიდერებს ნახევარი ქულით ჩამორჩება). ამდენივე ქულა მოაგროვეს ეროვნული ნაკრების წევრებმა - **მერაბ გაგუნაშვილმა** და **მიხეილ მჭედლიშვილმა,** რომლებმაც, შესაბამისად, ირანელები - **აჰმადინია** და **იდანი** დაამარცხეს. **შოთა აზალაძემ** უკრაინელ **ალექსანდრ მოისეენკოსთან** გაიყო ქულა. **ივერი ჭილაძემ** ხორვატ დიდოსტატ **გორან დიზდარს** სძლია. ირანული ტურნირის შარშანდელმა გამარჯვებულმა **კონსტანტინე შანავამ** მასპინძელ **დარინისთან** წააგო, **ბაჩანა მორჩიაშვილმა** და **დავით მაღალაშვილმა** კი **სერგეი ვოლკოვსა** (რუსეთი) და **ელშან მორადიაბადის** (ირანი) მიულოცეს გამარჯვება. პირველ სამ დაფაზე ორთაბრძოლები ასე დამთავრდა: **სერგეი ტივიაკოვი** (ჰოლანდია)-**რუსტამ კასიმჟანოვი** (უზბეკეთი) 0,5:0,5, **ევგენი გლეიზეროვი** (რუსეთი)-**ეჰსან ჩაემი** (ირანი) 1:0, **ალექსეი ფიოდოროვი** (ბელარუსი)-**ნიჯათ მამედოვი** (აზერბაიჯანი) 0:1.

ტურნირის მონაწილეები დღეს დაისვენებენ, ხვალ კი მე-10 ტურის პარტიები გაიმართება. ინტერესს იწვევს შემდეგი შეხვედრები: მამედოვი (7,5)-ტივიაკოვი (7,5), გლეიზეროვი (7,5)-ბენიძე (7), კასიმჟანოვი (7)-სებენიკი (7), ულიბინი (7)-მჭედლიშვილი (7), დარინი (7)-გაგუნაშვილი (7), ჰუსეინოვი (7)-შარბაფი (7), ჩაემი (6,5)-აზალაძე (6,5), ჭილაძე (6,5)-მორადიაბადი (6,5).

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

# ქვაცაბაია აბრამოვიჩს შეუწყვილდა

ლიონის საერთაშორისო ტურნირი (საფრანგეთი, 10 ათასი დოლარი) **სოფიო ქვაცაბაიას** (413) თანამემამულეებისთვის კი გამოდგა უიღბლო, მაგრამ თავად 22 წლის ჩოგბურთელს კარიერაში მე-5 ტიტულის მოპოვების შანსი აქვს. წყვილთა ბადეში სოფიო ხორვატ **მარია აბრამოვიჩთან** (627) ერთად პირველ ნომრად არის განთესილი. ეს დუეტი პირველი წრისგან თავისუფალი იყო. მეოთხედფინალში მათ ბელგიელ **ბოევსა** და ფრანგ **გამბეის** მოუგეს - 6:3, 6:3, ნახევარფინალში კი გერმანელი **გრაიდეკი** და ბულგარელი **შინიკოვა** დაამარცხეს - 6:3, 6:2. ქვაცაბაია და აბრამოვიჩი ფინალში ქართული წყვილის (**თათია მიქაძე** და **სოფიო შაფათავა**) გამომგდებ ჩეხებს (**მარტინა ბობეჩკა, პეტრა კრეიშოვა**) ხვდებიან.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

FM 107,9

ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის" (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ" დონ ედოსთან ერთად.

გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სანიკიძე იტალიის ოლ სტარში ჩატენის

13 მარტს იტალიის „ოლ სტარი“ გაიმართება, რომლის მონაწილეები გულშემატკივრებმა შეარჩიეს. მიმდინარე სეზონში ტრავმების გამო **ვიქტორ სანიკიძესა** და **მანუჩარ მარკოიშვილს** არაერთი მატჩი გაუცდათ და ამიტომ ისინი 24-კაციან რჩეულთა სიაში ვერ მოხვდნენ. თუმცა ვიქტორს არანაკლებ საპატიო მისიით მოუწევს „ოლ სტარზე“ გამოცხადება: იგი ჩატენვების კონკურსში მიიღებს მონაწილეობას.

ამ შეჯიბრებაში მისი კონკურენტები იქნებიან **ჯეიმს უაითი** (სისარი), **ერლ როულანდი** (კრემონა) და **ჯეფ ვიჯიანო** (ბიელა). იტალიურ გამოცემა „ტუტობასკეტში“ ჩატენვების კონკურსისადმი მიძღვნილ სტატიას ასეთი სათაური აქვს: „სამი უაითის წინააღმდეგ“.

როგორც ჩანს, იტალიელებს ფავორიტად ჯეიმს უაითი მიაჩნიათ. მას ამერიკაში სამჯერ მოუგია ჩატენვების კონკურსი - 2001, 2006 და 2010 წელს. ზოგიერთის აზრით, უაითს არათუ იტალიის, NBA-ს ჩატენვების კონკურსშიც შეუძლია წარმატებით გამოსვლა.

*„ვიჯიანო ძალიან მოქნილია და თამაშებისას არაერთ ეფექტურ ილეთს ასრულებს.*

*როულანდი გამოცდილი კალათბურთელია და ტიტულების კოლექციის გამრავალფეროვნებას ეცდება.*

*სანიკიძეს გრძელი ხელები აქვს და მისგან საინტერესო გამოსვლაა მოსალოდნელი,“ - ვკითხულობთ „ტუტობასკეტში“.*

ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ ვიქტორ სანიკიძესაც აქვს ჩატენვების კონკურსში არათუ მონაწილეობის, არამედ გამარჯვების გამოცდილება. მან 2008 წელს ქართულ ოლ სტარში იყოჩაღა, ხოლო ერთი წლის შემდეგ ესტონეთში მოიგო ანალოგიური შეჯიბრება.

დაველოდოთ 13 მარტს...

**ვაჟა სიმონიშვილი**

● №16 ტოპ-16-ში

# შერმადინის ნახტომი

ხუთშაბათს ევროლიგაზე გამოსვლა დასრულა სლოვენიის „ოლიმპიამ“ მასთან ერთად ევროტურნირებს დაემშვიდობა საქართველოს ნაკრების ორი კალათბურთელი - **გიორგი შერმადინი** და **ვლადიმერ ბოისა.**

დღეს გთავაზობთ მთავარ ევროპულ საკლუბო შეჯიბრებაში გიორგის თამაშის შეჯამებას. ამ საქმეში საუკეთესო „მაშველი“ სტატისტიკაა, რომლის სრულყოფილად ხილვის საშუალება ამავე გვერდზე გაქვთ. თუმცა, ციფრებს რამდენიმე სიტყვასაც შევაშველებთ.

მართალია, ევროლიგის უმთავრესი მატჩები ახლა იწყება (პლეი ოფები), მაგრამ როგორც უნდა დასრულდეს ეს ტურნირი, ჩვენთვის მთავარ თამაშად „ოლიმპია“-„ბარსელონა“ დარჩება. ამ შეხვედრას დიდი დატვირთვა ჰქონდა: სწორედ ევროლიგის 2010 წლის ჩემპიონ „ბარსელონასთან“ უნდა გამოჩენილიყო გიორგი შერმადინის რეალური ძალა. კატალონიელთა რიგებში თამაშობენ ესპანეთის ნაკრების მეფარე **ფრან ვასკესი** და NBA-მოვლილი ცენტრი **ბონიფაც ნდონგი...**

...23 წუთში 14 ქულა, 6 მოხსნა - და კიდევ არაერთი სასარგებლო ციფრი დაფიქსირდა „ბარსასთან“ მატჩის ოქმში შერმადინის გასწვრივ (იხილეთ ცხრილი), მაგრამ მთავარი არა სტატისტიკა, არამედ მისი სარგებლიანობა იყო: მაშინ, როცა გიორგი მოედანზე გახლდათ, ესპანელებს შეტევისას ფარქვეშ არაფერი გამოსდიოდათ (ვერც ნდონგი და ვერც ფრანი 216 სმ სიმაღლის ქართველს ვერ გაურბოდნენ), ხოლო კატალონიელებს დაცვაში რომ უჭირდათ, ამას შერმადინის 14 ქულაც მოწმობს და მის წინააღმდეგ თამაშისას მიღებული 6 ჯარიმაც.

მატჩის შემდეგ მივიღეთ ერთმნიშვნელოვანი პასუხი: გიორგი ევროლიგის დონის ცენტრია.

აქამდე მან დიდი გზა გაიარა და, რაც მთავარია, ნაბიჯ-ნაბიჯ უმატებდა: 2008-09 წლების სეზონში ევროლიგაზე „პანათინაიკოსის“ მაისურით ერთი მატჩი ჩაატარა და ბერძნებთან ერთად ევროლიგის მოგებით გაიხარა. 2009-10 სეზონში გიორგიმ ევროსარბიელზე თამამად შეაბიჯა: მწვრთნელი **ჟელკო ობრადოვიჩი** ცოტას ათამაშებდა და უმთავრესად დაცვაში კარგ მოქმედებას სთხოვდა. შეტევაში ახალგაზრდა ქართველი პასებსაც იშვიათად იღებდა და საშუალოდ 4.5 ქულას აგროვებდა.

შერმადინისადმი მწვრთნელის მიდგომა არც მიმდინარე სეზონის დასაწყისში, ევროლიგის პირველ ჯგუფურ ეტაპზე შეცვლილა: „პანათინაიკოსიდან“ განათხოვრების წესით „ოლიმპიაში“ გადავიდა და მწვრთნელი, **იურე ზდოვეჩი** მას საშუალოდ 12.1 წუთს ათამაშებდა. რეგულარულ ეტაპზე გიორგის მონაგარი 5.9 ქულასა და 2.4 მოხსნას შეადგენდა. არადა, იყო მატჩები, როცა ქართველის მოედანზე შესვლის შემდეგ „ოლიმპიას“ თამაში უმჯობესდებოდა, მაგრამ მწვრთნელი მას მოედანზე დიდი ხნით მაინც არ ტოვებდა.

ძნელი სათქმელია, „ოლიმპიას“ თავკაცი ევროლიგის ტოპ-16-ს რა აზრებით შეხვდა, მაგრამ ფაქტია - შერმადინის სათამაშო დრო თითქმის გაორმაგდა, იგივე დაემართა მის მონაგარსაც: 21.2 წუთი, 10 ქულა, 5.2 მოხსნა...

ტოპ-16-ში, დაფარებებში გიორგი **რაშო ნესტეროვიჩთან** ერთად საუკეთესოა - 2.2.

და რაც მთავარია - შერმადინი ტოპ-16-ში ყველაზე სარგებლიან კალათბურთელთა შორის მეათე ადგილზეა. მისი მქკ 15.7-ს შეადგენს. ამ მაჩვენებლით საუკეთესოა „კახა ლაბორალელი“ **ფერნანდო სან ემეტერიო** - 23.4.

თუ სეზონის დასაწყისში ქართველი ცენტრის მთავარი ამოცანა თანაგუნდელთათვის სივრცეების გამოთავისუფლება იყო, ბოლო მატჩებში მწვრთნელმა არაერთხელ უთხრა ოლიმპიელებს - ბურთი შერმადინს ჩაუგდეთო...

სასიხარულოა, რომ ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ევროლიგას დაუბრუნდა ვლადიმერ ბოისა. მასზე მომდევნო კვირაში მოგითხრობთ და სტატისტიკასაც შემოგთავაზებთ.

**ვაჟა სიმონიშვილი**



**გიორგი შერმადინი**

**რეკორდები**

| | | | |
|---|---|---|---|
| მქკ | 22 | მაქაბი-ოლიმპია | 2/3/2011 |
| ქულა | 15 | მაქაბი-ოლიმპია | 2/3/2011 |
| შეტევითი მოხსნა | 4 | პროკომი-პანათინაიკოსი | 11/11/2009 |
| დაცვითი მოხსნა | 5 | პილსენი-ოლიმპია | 11/25/2010 |
| მოხსნა | 7 | ოლიმპია-მაქაბი | 2/17/2011 |
| პასი | 2 | მაქაბი-ოლიმპია | 2/3/2011 |
| ჩაჭრა | 2 | რომა-ოლიმპია | 1/20/2011 |
| დაფარება | 3 | ოლიმპია-რომა | 2/23/2011 |
| წუთი | 24 | მაქაბი-ოლიმპია | 2/3/2011 |

**2010-11**

| | თ | სას. | წთ | ქ | 2ქ | 3ქ | 1ქ | მ/შეტ. | მ/დაც | მ | პ | ჩ | შ | დაფ | დაუ | ფ | ფ/მეტ. | მქკ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჯამი | 16 | 2 | 249:22 | 119 | 40/56 | 0/4 | 39/46 | 25 | 30 | 55 | 8 | 5 | 22 | 17 | 6 | 40 | 52 | 161 |
| საშუალოდ | 16 | 2 | 15:35 | 7.4 | 71.4% | 0% | 84.8% | 1.6 | 1.9 | 3.4 | 0.5 | 0.3 | 1.4 | 1.1 | 0.4 | 2.5 | 3.3 | 10.1 |

**შენიშვნა:** თ - თამაში, სას. - სასტარტოში, წთ - წუთი, ქ - ქულა, 2ქ - ორქულიანი, 3ქ - სამქულიანი, 1ქ - საჯარიმო, მ/შეტ - მოხსნა-შეტევაში, მ/დაც - მოხსნა დაცვაში, მ - მოხსნა, პ - პასი, ჩ - ჩაჭრა, შ - შეცდომა, დაფ - დაფარება, დაუ - დაუფარეს, ფ - ფოლი, ფ/მეტ - ფოლი მეტოქეს, მქკ - სარგებლიანობის კოეფიციენტი.

**ტოპ-16**

| მეტოქე | წთ | ქ | 2ქ | 3ქ | 1ქ | მ/შეტ. | მ/დაც | მ | პ | ჩ | შ | დაფ | დაუ | ფ | ფ/მეტ. | მქკ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| რომა | 20:45 | 2 | 0/1 | 0/1 | 2/2 | 0 | 4 | 4 | 0 | 2 | 1 | 3 | 0 | 4 | 3 | 7 |
| ბარსელონა | 23:21 | 14 | 4/5 | 0/1 | 6/9 | 2 | 4 | 6 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 3 | 6 | 21 |
| მაქაბი | 24:31 | 15 | 4/7 | 0 | 7/8 | 2 | 3 | 5 | 2 | 0 | 1 | 2 | 2 | 3 | 8 | 22 |
| მაქაბი | 22:43 | 13 | 6/7 | 0/1 | 1/1 | 3 | 4 | 7 | 0 | 0 | 4 | 3 | 0 | 1 | 5 | 21 |
| რომა | 20:22 | 10 | 4/4 | 0 | 2/2 | 2 | 3 | 5 | 0 | 0 | 3 | 3 | 0 | 4 | 3 | 14 |
| ბარსელონა | 15:58 | 6 | 3/4 | 0 | 0 | 3 | 1 | 4 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 2 | 2 | 9 |
| ჯამი | 127:40 | 60 | 21/28 | 0/3 | 18/22 | 12 | 19 | 31 | 3 | 3 | 10 | 13 | 2 | 17 | 27 | 94 |
| საშუალოდ | 21:16 | 10 | 75% | 0% | 81.8% | 2 | 3.2 | 5.2 | 0.5 | 0.5 | 1.7 | 2.2 | 0.3 | 2.8 | 4.5 | 15.7 |

**რეგულარული ეტაპი**

| მეტოქე | წთ | ქ | 2ქ | 3ქ | 1ქ | მ/შეტ. | მ/დაც | მ | პ | ჩ | შ | დაფ | დაუ | ფ | ფ/მეტ. | მქკ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეფესი | 15:49 | 11 | 5/6 | 0 | 1/2 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 2 | 1 | 0 | 4 | 5 | 10 |
| მილანი | 14:40 | 2 | 1/1 | 0 | 0/2 | 3 | 1 | 4 | 2 | 0 | 0 | 1 | 0 | 2 | 4 | 9 |
| პანათინაიკოსი | 07:17 | 4 | 1/2 | 0/1 | 2/2 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | | 3 | 1 | 1 |
| ცსკა | 05:16 | 2 | 1/2 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | | |
| ვალენსია | 12:08 | 8 | 2/3 | 0 | 4/4 | 2 | 2 | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 3 | 12 |
| ეფესი | 16:59 | 10 | 2/4 | 0 | 6/6 | 0 | 5 | 5 | 0 | 1 | 2 | 1 | 2 | 5 | 3 | 9 |
| მილანი | 10:18 | 7 | 2/3 | 0 | 3/3 | 2 | 0 | 2 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 1 | 2 | 7 |
| პანათინაიკოსი | 18:02 | 6 | 2/2 | 0 | 2/2 | 1 | 3 | 4 | 1 | 0 | 5 | 0 | | 4 | 2 | 4 |
| ცსკა | 10:39 | 5 | 2/4 | 0 | 1/1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1 | 1 | 4 |
| ვალენსია | 10:34 | 4 | 1/1 | 0 | 2/2 | 1 | 0 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 0 | | 4 | 11 |
| ჯამი | 121:42 | 59 | 19/28 | 0/1 | 21/24 | 13 | 11 | 24 | 5 | 2 | 12 | 4 | 4 | 23 | 25 | 67 |
| საშუალოდ | 12:10 | 5.9 | 67.8% | 0% | 87.5% | 1.3 | 1.1 | 2.4 | 0.5 | 0.2 | 1.2 | 0.4 | 0.4 | 2.3 | 2.5 | 6.7 |

**ევროლიგა**

| სეზონი | გუნდი | თ | ქ | ქ/საშ | 2ქ | % | 3ქ | % | 1ქ | % | მ | ჩ | პ | დ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2008-09 | პანათინაიკოსი | 1 | 1 | 1 | 0 / 3 | 0 | 0 / 1 | 0 | 1 / 2 | 50 | 1 | 1 | 0 | 1 |
| 2009-10 | პანათინაიკოსი | 12 | 54 | 4.5 | 18 / 26 | 69.2 | 0 / 1 | 0 | 18 / 24 | 75 | 26 | 6 | 0 | 4 |
| ჯამი | | 13 | 55 | 4.2 | 18 / 29 | 62.1 | 0 / 2 | 0 | 19 / 26 | 73.1 | 27 | 7 | 0 | 5 |
| საშუალოდ | | 13 | 55 | 4.2 | 18 / 29 | 62.1 | 0 / 2 | 0 | 19 / 26 | 73.1 | 2.1 | 0.5 | 0 | 0.4 |

● სუპერლიგა. XVI ტური

4 მარტი, ქუთაისი

| | |
|---|---|
| ქუთაისი | 81 |
| შსს | 68 |

28:18, 21:21, 17:18, 15:11

**ქუთაისი:** დიდია (22ქ), კვიმსაძე (16ქ, 15მ), ბოლქვაძე (13ქ), გ. ბარბაქაძე (13ქ); ცეკვავა (3ქ), ბაბუნაშვილი (11ქ), ლომინაშვილი (2ქ), კოლუაშვილი (1ქ)

**შსს:** ლეჟავა (18ქ), კოტონი (2ქ), ტუჯანი (9ქ), დ. ბარბაქაძე (15ქ), ნივნივაძე (12ქ), ლაფანაშვილი (1ქ), ნიკოლაძე, ბერიშვილი, მარკოიშვილი (5ქ), შერმადინი (6ქ)

**მსაჯები:** ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი

# კარგის და ცუდის

ქუთაისის საკალათბურთო გუნდი გულშემატკივართა დასწრების მხრივ უკვე თანაქალაქელ „ტორპედოსაც“ ეჯიბრება. შსს-სთან მატჩში სპორტის სასახლე ბოლომდე გადაჭედილი იყო. „ქუთაისის“ ქომაგებთან ერთად, დარბაზში მრავლად იყვნენ სტუმარი გუნდის გულშემეტკივრებიც, რომლებიც ძირითადად ძალოვან სტრუქტურებს წარმოადგენდნენ. შეხვედრამ გულშემატკივართა იმედები გაამართლა. დრამატული, დაძაბული და სანახაობრივი მატჩი გამოდგა, მაგრამ თამაშის ბოლოს მომხდარმა არასასიამოვნო ინციდენტმა გაორებული ემოციები დაგვიტოვა... ინციდენტის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ, ახლა კი მატჩის მიმდინარეობას მივყვეთ.

მასპინძლებს თავიდანვე წაუვიდათ თამაში. ისინი ფარქვეშაც კარგად მოქმედებდნენ და მეტოქეს სამქულიანების სროლებშიც სჯობდნენ, თანაც, დაცვაშიც მტკიცედ იდგნენ. ამ პერიოდში განსაკუთრებით **ბუბა კვიმსაძისა** და **რევაზ დიდიას** თამაშია გამოსარჩევი. კვიმსაძემ საერთოდ, 16 ქულითა და 15 მოხსნით მატჩის ერთადერთი „დაბლდაბლი“ შეასრულა, დიდიამ კი ორივე გუნდიდან ყველაზე მეტი - 22 ქულა დააგროვა. სწორედ მისი შედეგიანი სამქულიანით დასრულდა პირველი პერიოდი, რომელიც ქუთათურებმა 10 ქულის სხვაობით მოიგეს (28:18).

მეორე ათწუთეულში თამაში ქულაქულაში მიმდინარეობდა. შემდეგ კი უპირატესობა კვლავ მასპინძლების მხარეს გადავიდა და **გიგი ბარბაქაძემ** ულამაზესი ჩატენვით ანგარიში 42:29 გახადა. მოგვიანებით მანვე სამქულიანი ზუსტად ისროლა და ქუთათურები 16 ქულით გაიჭრნენ წინ - 47:31. ამის შემდეგ სტუმრებიც მოეგნენ გონს. **ბესიკ ლეჟავას გიორგი მარკოიშვილმა** და **ჟულივეტ ტუჯანმაც** აუბეს მხარი და თბილისელებმა სხვაობა კვლავ 10 ქულამდე დაიყვანეს. დიდი შესვენების შემდეგ კი, 10-ქულიანი სხვაობაც გააბათილეს და ცოტა ხნით წინაც გავიდნენ. ამ პერიოდში განსაკუთრებით შსს-ს წევრი **დავით ბარბაქაძე** გამოირჩა, რომელმაც მისი ძმის გუნდი რამდენჯერმე სამქულიანებით დაამწუხრა. სასარგებლოდ ირჯებოდნენ ლეჟავა და **ბექა ნივნივაძე**. ეს უკანასკნელი ზუსტ პასებს არიგებდა და თავადაც შედეგიანად ისროდა. ანგარიში 50-51 იყო, როცა დაბნეული ქუთათურები კვიმსაძის დროულმა სამქულიანმა გამოაფხიზლა. ამის შემდეგ მასპინძლებს მეორე სუნთქვა გაეხსნათ და უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვიათ. ბარბაქაძეს, დიდიას, კვიმსაძესა და **ბოლქვაძესთან** ერთად კარგად ათამაშდა **თემურ ბაბუნაშვილიც**. მათი ნაყოფიერი გარჯის შედეგად მასპინძლები ბოლო მეოთხედის წინ 9 ქულით დაწინაურდნენ (66:57).

მეოთხე პერიოდის პირველი ორი წუთი ისე მიილია, რომ ვერც ერთმა გუნდმა მოახერხა ჩაგდება. შემდეგ ისევ დიდიამ ივაჟკაცა, ზუსტ სამქულიანს საჯარიმო ტყორცნაც მიაყოლა და სხვაობა 12 ქულამდე გაზარდა. ამან **მალხაზ კოხრეიძის** შეგირდებზე ფსიქოლოგიურადაც კარგად იმოქმედა და უკვე შესამჩნევი გახდა, რომ შსს „ქუთაისს“ ველარ შეაკავებდა. შემდეგ ძმებმა ბარბაქაძეებმა გაცვალეს სამქულიანები.

მატჩის ბოლოს კი არასასიამოვნო ინციდენტი მოხდა. ქუთათურებმა ნივნივაძეს ფარქვეშ უხეშად დაუფარეს, ბექამ, რომელიც ამ მატჩში თავისი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო, ემოციები ვერ მოთოკა, რამაც გულშემატკივრების გალიზიანება გამოიწვია. ქომაგებსა და ნივნივაძეს შორის სიტყვიერი შელაპარაკება მოხდა. ერთ-ერთი გულშემატკივარი მოედანზეც გაიჭრა, რომელსაც 20-მდე პოლიციელი მივარდა და სულ ცემა-ტყეპით დაატოვებინეს დარბაზი. ამ სამარცხვინო ინციდენტმა დაახლოებით 6-7 წუთი წაიღო. შემდეგ ემოციებიც დაცხრა და თამაშიც განახლდა. „ქუთაისმა“ მატჩი მშვიდად მიიყვანა გამარჯვებამდე და ქომაგები ძალიან გაახარა.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

# ახალი რეკორდი ილიასგან

რუსთავში სამი პერიოდის განმავლობაში „ენერჯი“ ღირსეულ წინააღმდეგობას უწევდა თსუ-ს, მაგრამ ბოლო რაუნდში ძალა აღარ ეყო.

სტუდენტთა შორის საუკეთესო იყო **ილია ლონდარიძე**, რომელმაც სეზონის რეკორდი დაამყარა - 40 ქულა ჩააგდო. მან **ბექა ჩიკვილაძის** მაჩვენებელი (37 ქულა) გააუმჯობესა. შეგახსენებთ, რომ მოხსნების რეკორდიც ლონდარიძის ანგარიშზეა - 20.

**ვაჟა სიმონიშვილი**

4 მარტი, რუსთავი

| | |
|---|---|
| ენერჯი | 91 |
| თსუ | 101 |

21:28, 24:25, 23:24, 23:32

**ენერჯი:** მაჭავარიანი (10ქ, 6პ, 2დ), გ. ბერუაშვილი (2ქ), მებურიშვილი (3ქ), აბაიშვილი (21ქ, 5მ, 6პ, 4ჩ), გუგავა (10ქ, 9მ, 2დ), ხმელიძე (30ქ), ლამუ (9ქ, 8მ, 3დ), თვარაძე (4ქ), არაბული, აბულაძე (2ქ).

**თსუ:** ხიზანიშვილი (2ქ), ფანჩულიძე (21ქ, 3პ, 3ჩ), გაფრინდაშვილი (8ქ, 8მ, 5პ), კოხრეიძე (3ქ, 5პ, 3ჩ), ლონდარიძე (40ქ, 10მ), კორკოტაძე, ჩიტაშვილი (9ქ), დეკანოიძე, მ. ბერიშვილი (24ქ, 17მ, 6ჩ, 3პ), მაისურაძე, ჩქარეული (2ქ).

# ტაიმ-აუტი ლეღლოსთან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მსოფლიოს რეგიონალური სპორტული ასპარეზობები

# პანამერიკული თამაშები

კომპლექსური შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობენ ამერიკის კონტინენტის ქვეყნების სპორტსმენები. ასპარეზობის ორგანიზების იდეა გაჩნდა მას შემდეგ, რაც XX საუკუნის 20-იან წლებში ცენტრალური ამერიკის თამაშები გაიმართა. პირველი განცხადება ახალი ასპარეზობის თაობაზე 1932 წელს გაკეთდა. მაშინვე დაფუძნდა პანამერიკული სპორტული ორგანიზაცია (organizacion deportiva panamericana-ODEPA). 1940 წელს გამართულ პანამერიკულ სპორტულ კონგრესზე გადაწყდა, რომ პირველი თამაშები გაიმართებოდა ბუენოს-აირესში 1942 წელს, მაგრამ ამ განზრახვას II მსოფლიო ომმა შეუშალა ხელი. პირველი თამაშების ჩატარება შესაძლებელი გახდა ამ ქალაქში 1951 წელს. მას შემდეგ ასპარეზობა იმართება ოთხ წელიწადში ერთხელ, ოლიმპიადებზე ერთი წლით ადრე. პანამერიკული თამაშები ოლიმპიადის კონტინენტური ვერსიაა, თუმცა მის პროგრამაში არაოლიმპიური სახეობებიც შედის. პირველ თამაშებში მონაწილეობდა 21 ქვეყნის 2 513 სპორტსმენი, პროგრამაში იყო 18 სახეობა. ასპარეზობის ორგანიზებაზე ზრუნავს პანამერიკული სპორტული ორგანიზაცია.

**პანამერიკულ თამაშებს მასპინძლობდნენ:** 1951-ბუენოს აირესი (არგენტინა), 1955-მეხიკო (მექსიკა), 1959-ჩიკაგო (აშშ), 1963-სან-პაულუ (ბრაზილია), 1967-ვინიპეგი (კანადა), 1971-კალი (კოლუმბია), 1975-მეხიკო, 1979-სან-ხუანი (პუერტო-რიკო), 1983-კარაკასი (ვენესუელა), 1987-ინდიანაპოლიკასი (ვენესუელა), 1991-ჰავანა (კუბა), 1995-მარ-დელ-პლატა (არგენტინა), 1999-ვინიპეგი (კანადა), 2003-სანტო-დომინგო (დომინიკელთა რესპუბლიკა), 2007 წელს თამაშებს რიო დე ჟანეირომ უმასპინძლა

## ვინ რა თქვა

ძალიან ცოტამ თუ იცის მარადონაზე იმდენი, რამდენიც დოქტორმა დარიო **რუბენ ოლივამ,** რომელიც ფეხბურთელის ფიზიკურ კონდიციებზე ზრუნავდა. ერთხელ მისმა კოლეგამ, „ნაპოლის" ფიზმომზადების მწვრთნელმა **ერნანდო სნიორინიმ** იკითხა, როგორ ვაიძულო დიეგო უბურთოდ იმუშაოსო, რაზეც ოლივასგან ასეთი ორიგინალური პასუხი მიიღო: „გინახავთ ოდესმე ფიზკულტურით დაკავებული კატა? მარადონა სწორედ კატაა. იმისათვის, რომ სასურველ ფორმაში იყოს, მისთვის საკმარისია კარგი კვება და დასვენება".

კი, ცოტა გადაჭარბებული დასკვნაა, მაგრამ გარკვეულ სურათს მაინც ქმნის დიეგოს ფენომენზე.

## ყველაზე, ყველაზე...

**ფეხბურთის** ისტორიაში ყველაზე სწრაფი ჰეთ-თრიკი შესრულდა 1973 წელს. არგენტინული „ინდეპენდიენტეს" ფორვარდმა **მალიონიმ** „ჰიმნარია ესგრიმას" 3 გოლი 50 წამში გაუტანა.

**1999 წელს** სლოვენიის ზამთრის კურორტ პლანიცაში, გერმანელმა თხილამურებით ტრამპლინიდან მხტომელმა **მარტინ შმიდტმა,** სპორტის ამ სახეობის ისტორიაში ყველაზე შორი ნახტომი განახორციელა (214,6 მეტრი).

## იყო ასეთი შემთხვევა

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 528 წელს ოლიმპიაში გამართულ ცხენოსნურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად გამოაცხადეს ფაშატი აურა, რომელიც პირველი მივიდა ფინიშთან, თუმცა... უმხედროდ. გამარჯვებულ ცხენს ბრინჯაოს ძეგლიც დაუდგეს.

## პირველი, პირველმა, პირველად

**პირველი** მსაჯი, რომელმაც ფეხბურთში ვიდეოჩანაწერის შემოღებას დაუჭირა მხარი, იყო გერმანელი არბიტრი **მარკუს მერკი.**

**პირველმა** თანამედროვე მარათონული გარბენი მოიგო ბერძენმა **ხარილაოს ვასილიაკოსმა.**

**პირველად** შოტლანდიის ნაკრების შემადგენლობაში შავკანიანმა ფეხბურთელმა იასპარეზა 1881 წელს. ეს იყო **ენდრიუ უოტსონი.**




**1992 წელი. ბარსელონა (ესპანეთი). XXV ოლიმპიური თამაშების აფიშა და მედალი**

## საინტერესო ამბები

**ჩვენს** წელთაღრიცხვამდე 2205 წელს ჩინეთში ხანთა დინასტიის ეპოქაში გავრცელებული იყო ცეკვა, ჭიდაობა და ნადირობა. აგრეთვე ბურთის თამაში, როგორც ჩოგნებით, ისე ხელით.

■ ■ ■

**შორეულ** წარსულში სამხრეთ ინგლისში, სტოუნჰენჯის სამლოცველო კომპლექსის მახლობლად აგებული იყო იპოდრომი.

■ ■ ■

**ძველი** წელთაღრიცხვის დაახლოებით 1100 წლით თარიღდება რამსეს IV-ის სამარხში ნაპოვნი მოჭიდავეთა გამოსახულებები, იმდროინდელ თიხის ნატეხზეც ჭიდაობის ეპიზოდებია ასახული, მედინეტ ჰაბუს ტაძარზე კი მოხატულია ჭიდაობისა და ჯოხებით ფარიკაობის სცენები.

■ ■ ■

**არაბები** დაახლოებით 642 წელს (ძვ. წ.) ეზიარენ ჭადრაკს და ეს თამაში დაპყრობილ ტერიტორიებზეც გაავრცელეს.

## თარიღი. 6-12 მარტი

**06.1954 წ.** დაიბადა **ჰარალდ შუმახერი** - ფეხბურთი (გერმანია)

**08.1948 წ.** დაიბადა **თეოფილო კუბილასი** - ფეხბურთი (პერუ)

**09.1908 წ.** შეიქმნა საფეხბურთო კლუბი „ინტერნაციონალე" - (მილანი, იტალია).

**09.1943 წ.** დაიბადა **ბობი ფიშერი** - ჭადრაკი (აშშ). გარდაიცვალა 2008 წელს.

**10.1036 წ.** დაიბადა **იოზეფ ბლატერი** - ფიფას პრეზიდენტი.

**10.1982 წ.** შედგა **ჟაირზინიოს** გამოსათხოვარი მატჩი - ფეხბურთი - (ბრაზილია).

**10.1981 წ.** დაიბადა **სამუელ ეტოო** - ფეხბურთი (კამერუნი).

**11.1945 წ.** დაიბადა **სანჩეს პირი** - ფეხბურთი (ესპანეთი).

**12.1957 წ.** დაიბადა **პატრიკ ბატისტონი** - ფეხბურთი (საფრანგეთი).

**12.1985 წ.** ნბა-ში **ლარბერდმა** ერთი მოთამაშის შედეგიანობის რეკორდი დაამყარა-60 ქ.



## ვიქტორინა. თქვენთვის, ერუდიტებო

**1. ვინ იყო ყველაზე დიდხანს (33 წელიწადი) ფიფას პრეზიდენტი?**

ა - სტენლი როუზი
ბ - ჟოაო ავილანჟი
გ - ჟიულ რიმე

**2. კრივში ახალი წესების შემოღების შემდეგ 1892 წელს ერთ-ერთი ბრძოლა უჩვეულოდ დიდხანს გაგრძელდა. რამდენი რაუნდი იბრძოლეს მოკრივეებმა შარპიმ და კროსბიმ?**

ა - 49 რაუნდი
ბ - 77 რაუნდი
გ - 81 რაუნდი

**3. რომელ წელს დაამყარა კუბელმა მძლეოსანმა სიმაღლეზე ხტომაში მსოფლიოს რეკორდი (2.43 მ)?**

ა - 1984 წელს
ბ - 1991 წელს
გ - 1992 წელს

**4. რომელ წელს დაარსდა იტალიის საფეხბურთო ფედერაცია?**

ა - 1876 წელს
ბ - 1880 წელს
გ - 1898 წელს

**5. რომელ წელს მოიპარეს ინგლისში „ნიკეს" თასი, რომელიც რამდენიმე დღეში ძაღლმა პიკლზმა შემთხვევით იპოვა?**

ა - 1962 წელს
ბ - 1966 წელს
გ - 1978 წელს

პასუხები: 1-გ, 2-ბ, 3-ა, 4-გ, 5-ბ

## ღვთისავარ ანთაძის კუთხე

### ფეხბურთი ახლო ხედით

# დროის დამატება

მთავარი მსაჯი დამატებით დროს დანიშნავს მატჩისთვის განკუთვნილი დროის ნაწილის დაკარგვის შემთხვევაში. ამის შესახებ მთავარი მსაჯი აცნობებს დელეგირებულ (დანიშნულ) გვერდით მსაჯს. დამატებითი დროის სიზუსტე მთავარმა არბიტრმა აუცილებლად სწორად უნდა დაიცვას. მატჩისთვის განკუთვნილ დროში შედის თამაშის ყველა ჩვეულებრივი შეწყვეტა, სულ ერთია, წუთით იქნება ეს თუ წამით.

დროის დამატების ფეხბურთელებიდან გამომდინარე მიზეზი შეიძლება იყოს:

**ა)** მოედანზე დაშავებული ფეხბურთელებისათვის დახმარების გასაწევად ან დაშავებული ფეხბურთელის მოედნიდან გაყვანის დრო;

**ბ)** მეკარის შემცვლელი მოთამაშის სპორტული ფორმის გამოსაცვლელად დაკარგული დრო;

**გ)** წინასწარი განზრახვით სათამაშო მინდვრის ფარგლებს გარეთ გადაგდებული ბურთის შემოტანისათვის დაკარგული დრო;

**დ)** საჯარიმო დარტყმის დროს თამაშის განზრახ გაჭიანურება;

**ე)** ყველა სხვა საშუალება, რომელთა მიზანია დროის განზრახ გაჭიანურება;

მოთამაშეებისაგან არგამომდინარე მიზეზი შეიძლება იყოს:

**ა)** მოედანზე შემოსული მაყურებლების გაყვანისათვის დაკარგული დრო;

**ბ)** კარის აღდგენითი სამუშაოებისათვის ან კუთხურის ალმების გამოცვლისათვის დაკარგული დრო;

**გ)** უამინდობით გამოწვეული დაკარგული დრო;

**დ)** ბურთის გამოცვლისათვის დაკარგული დრო;

**ე)** ყველა სხვა მიზეზი, რომელიც მატჩთან არ არის დაკავშირებული.

არბიტრს მატჩზე დროის დამატება შეუძლია როგორც პირველ, ასევე მეორე ტაიმში.

# კროსვორდი



თარაზულად: 1. ბეისბოლის მსგავსი თამაში ფინეთში; 5. სპორტში დახელოვნებული; 9. წარსულში ცნობილი ქართველი სამბისტი, ნოდარ...; 11. ინგლისის ეროვნული საფეხბურთო ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი; 12. ნავი, რომლითაც აკადემიურ ნიჩბოსნობაში ეჯიბრებიან ერთმანეთს; 15. თბილისის „დინამოს" სტადიონის არქიტექტორი; 16. არგენტინის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი მცველი; 17. შვედეთის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი; 18. იტალიის საფეხბურთო კლუბი; 22. კალათბურთის საერთაშორისო ასოციაცია; 24. ცნობილი ბოსნიელი ფეხბურთელი, ნახევარმცველი; 25. ამერიკელი პროფესიონალი მძიმეწონოსანი მოკრივე ... ჰოლიფილდი; 27. თბილისის "დინამოს" ყოფილი ჩეხი მწვრთნელი; 28. ესპანეთის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი მეკარე; 29. ავტომობილისტთა საერთაშორისო ფედერაცია.

შვეულად: 1. კვარცხლბეკი, ანუ; 2. ჩოგბურთის მაგვარი სპორტის ეგზოტიკური სახეობა; 3. "ბარსელონას" კაპიტანი; 4. პორტუგალიელი ფეხბურთელი ... ფიგუ; 6. წარსულში ცნობილი ნორვეგიელი ფეხბურთელი; 7. ლისაბონის "სპორტინგის" რუსი ნახევარმცველი; 8. ფალავან ქორიძის სახელი; 10. XVIII ს-ის ფრანგი მოჭადრაკე; 13. ინგლისის საფეხბურთო კლუბი; 14. თურქეთის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი მეკარე; 19. წარსულში ცნობილი თბილისელი ჩოგბურთელი მამაკაცი; 20. ალპინისტთა გადასვლა მარშრუტით, რომელიც რამდენიმე მწვერვალს მოიცავს; 21. გამორჩენილი შვეიცარიელი ჩოგბურთელი ქალი; 22. თბილისის "დინამოს" საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტი; 23. ჰოკეიში: საჯარიმო შაიბა, რომელსაც ცენტრიდან მიაცურებენ მოწინააღმდეგის კარში შესაგდებად; 26. "მანჩესტერ იუნაიტედის" პორტუგალიელი ნახევარმცველი.

პასუხები მომდევნო ნომერში

შეადგინა ლალი ჭიჭინაძემ

## თავსატეხი „ანთა"

„ანთა" ინტელექტუალურ-გასართობი თავსატეხია საფეხბურთო ცხრილის შესახებ, თუმცა მის ამოსახსნელად სპორტის ამ სახეობის განსაკუთრებული ცოდნა საჭირო არ არის. თავსატეხის არსი კი შემდგომში მდგომარეობს: ჩვენ შემოგთავაზებთ პირობით ქვეჯგუფს ოთხი გუნდის შემადგენლობით, თუმცა, ყველა გრაფა, გარდა ბურთების ბალანსის, ქულისა და დაკავებული ადგილისა, იქნება ცარიელი. თქვენ უნდა დააკვირდეთ თითოეულ მონაცემს და ლოგიკურად შეავსოთ ცარიელი ისე, რომ არ დაირღვეს არსებული მონაცემები. დაადგინეთ ურთიერთშეხვედრების ანგარიშები და ასევე ის, რამდენი მოგება, ფრე და წაგება აქვთ პირობითად A, B, C და D გუნდებს.

***შენიშვნა:** თ-თამაში; მ-მოგება, ფ-ფრე; წ-წაგება; ბ-ბურთების ბალანსი; ქ-ქულა; ა-ადგილი.*

| ანთა | | | | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| A | ■ | | | | | | | | 12-1 | 6 | I |
| B | | ■ | | | | | | | 1-1 | 4 | II |
| C | | | ■ | | | | | | 2-5 | 4 | III |
| D | | | | ■ | | | | | 1-9 | 2 | IV |

**წინა ამოცანის პასუხი**

| ანთა | | | | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| A | ■ | 0:0 | 1:0 | 4:0 | 3 | 2 | 1 | 0 | 5-0 | 7 | I |
| B | 0:0 | ■ | 0:0 | 5:2 | 3 | 1 | 2 | 0 | 5-2 | 5 | II |
| C | 0:1 | 0:0 | ■ | 3:0 | 3 | 1 | 1 | 1 | 3-1 | 4 | III |
| D | 0:4 | 2:5 | 0:3 | ■ | 3 | 0 | 0 | 3 | 2-12 | 0 | IV |

გვერდი მომზადებულია თენგიზ თომაშვილის პროექტით

ინტერვიუ ლევან მგელაძესთან

# ძველი გუნდის მიზნები

**საქართველოში 52 წლის წინ პირველი სარაგბო გუნდი თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შეიქმნა. მოგვიანებით, ეს უმაღლესი სასწავლებელი საქართველოს მოწინავე გუნდებს „ლოკომოტივსა" და „დინამოს" უხვად ამარაგებდა შესანიშნავი მორაგბეებით. ჩვენი ქვეყნის ყველაზე ძველმა კლუბმა, მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, სახელი შეიცვალა. თბილისის „ყოჩები" ყოველთვის გამორჩეული, განსაკუთრებულად ბრძოლისუნარიანი გუნდი იყო. 1997 წელს „ყოჩებმა" დუბლი გაახერხეს, მომდევნო წელს კი ჩემპიონობა მეორედ იზეიმეს.**

**თითქმის ათწლიანი პაუზის შემდეგ, 2007 წელს „ყოჩებმა" დუბლი კიდევ ერთხელ შეასრულეს. მერე კლუბს საკმაოდ სერიოზული პატრონი, კომპანია „ვისოლი" გამოუჩნდა. თუმცა ბოლო წლებში საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლას ვერაფრით ახერხებს. „ყოჩების" მზადებისა და მომავლის გეგმების შესახებ გუნდის მწვრთნელს ლევან მგელაძეს ვესაუბრეთ:**

- გუნდმა ახალი სეზონისთვის მზადება უწინდელთან შედარებით გვიან, ნოემბრის ბოლოს დაიწყო. მორაგბეებს საერთო ფიზიკურ მომზადებაში ვავარჯიშებდით. ახლა ეს ეტაპი დასრულებულია და მოედანზე შევალთ. ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე საწვრთნელ მატჩსაც გავმართავთ.

**- ახალი სეზონის წინ „ყოჩებში" რა ცვლილებებია?**

- გუნდი რამდენიმე მორაგბემ დატოვა, თემურ სოხაძე და ომარ ბალაშვილი პირველი ლიგის გუნდ „ბათუმი XV"-ში გადავიდნენ, ირაკლი დგებუაძემ ქუთაისის „აიას" მიაშურა, ჯაბა ბრეგვაძე და გიორგი კალმახელიძე კი მომავალ სეზონში „არმიის" ღირსებას დაიცავენ.

სამაგიეროდ, ჩვენი კლუბის ჭაბუკთა A ლიგიდან დავიმატეთ რამდენიმე ძალიან კარგი, იმედის მომცემი მოთამაშე. შეგახსენებთ, რომ ამ ლიგაში „ყოჩები" შარშან პირველ ადგილზე გავიდნენ. დავიმატეთ ასევე ჯემალ ვასაძე, რომელიც აქამდე მოსკოვის „სპარტაკში" თამაშობდა.

**- „ყოჩები" საქართველოს შარშანდელ ჩემპიონატში ლამის ერთადერთი გუნდი იყო, რომელსაც სერიოზული, სტაბილური სპონსორი ჰყავდა...**

- „ვისოლი" ახლაც ჩვენი სპონსორია. პარალელურად მიმდინარეობს მოლაპარაკება რამდენიმე კომპანიასთან და ვნახოთ, რა გამოვა.

**- კლუბის ინფრასტრუქტურა რა მდგომარეობაშია, სად ვარჯიშობს გუნდი?**

- კვირაში რამდენიმე დღეს დიდ დიღომში „ვისოლის" სარაგბო ბაზაზე ვვარჯიშობთ, სხვა დღეებში კი ავჭალის სარაგბო სტადიონზე ხელოვნურსაფარიან მოედანს ვქირაობთ. ასე რომ, ეს პრობლემა მეტ-ნაკლებად მოგვარებულია.

**- „ყოჩები" მუდამ მაღალი მიზნებისთვის იბრძოდა. წლეულს, როგორც უკვე თქვით, გუნდი რამდენიმე წამყვანმა მოთამაშემ დატოვა. შესაძლებელი იქნება ტრადიციის გაგრძელება?**

- „ყოჩებიდან" ის მოთამაშეები წავიდნენ, რომლებიც ეროვნული ნაკრების წევრობის კანდიდატები არიან. ამიტომ, ცხადია, ჩემპიონობისთვის ბრძოლა ძალიან გაგვიჭირდება. ჩვენი მიზანია, საპლეიოფო ოთხეულში მოვხვდეთ, მერე კი ვნახოთ. იქ ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

**- ვინ მიგაჩნიათ ძირითად კონკურენტებად?**

- რასაც ვუყურებ, ჩანს, რომ ყველა გუნდი გაძლიერდა. სათამაშო დონე გათანაბრდა. რაც შეეხება კონკრეტულად გუნდებს, „ლელომ" მოთამაშეთა ძირითადი ბირთვი შეინარჩუნა და სტაბილურად ითამაშებს. „ლოკომოტივმა" ორი გუნდი „ივერია" და შევარდენი" შეიერთა. საკმაოდ ბევრი ახალგაზრდა, კარგი მორაგბე დაიმატა. ამასთან ბავშვთა გუნდების დეფიციტიც შეავსო და ეს პრობლემა აღარ აქვს.

ქუთაისის „აიამ" რამდენიმე პერსპექტიული მოთამაშე დაიმატა დასავლეთ საქართველოს გუნდებიდან. თანაც თვითონაც დალვინდა, გაიზარდა, გამოცდილება მიიღო და, ვფიქრობ, მომავალ სეზონში ფავორიტი იქნება.

საგრძნობლად გაძლიერდა რუსთავის „ხარები". პალიკო ჯიმშელაძე და კახაბერ უჩავა საკმაოდ სერიოზული ძალაა. კარგი, ახალგაზრდული გუნდი იქნება „აკადემია". სერიოზული ამბიცია ექნება „არმიას", რომელმაც თითქმის ყველა გუნდიდან გადაიბირა კარგი მორაგბეები. რამდენადაც ვიცი, ცოტა მეტი პრობლემები აქვს „არმაზს".

ერთი სიტყვით, წინ სერიოზული ბრძოლები გველის. არადა, რადგან პარალელურად საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელი ვარ, ძირითადად მათ საწვრთნელ შეკრებებზე მიწევს მუშაობა. „ყოჩების" მზადების პროცესს კი ირაკლი გიორხელიძე ხელმძღვანელობს.

**- რადგან 18-წლამდელები ახსენეთ, მათზეც გვითხარით. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ახლახან ეს გუნდი საწვრთნელ შეკრებზე იმყოფებოდა საფრანგეთში...**

- დიახ, ალბისთან ახლოს, პატარა ქალაქ ლე გარეკში ვიყავით და სამი საკონტროლო შეხვედრა გავმართეთ. „ალბის" 21-წლამდელთა გუნდთან ფრეს დავჯერდით, კარმოს რეგიონის 20-წლამდელთა ნაკრებს კი 50:0 მოვუგეთ, „ალბის", „ოშისა" და „ტარბის" 19-წლამდელთა ნაკრები 29:0 დავამარცხეთ.

სასარგებლო თამაშები იყო. ბევრი ხარვეზი დავინახეთ. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ანგარიშით დავამარცხეთ მეტოქეები, ბევრი რამით მაინც უკმაყოფილო ვარ. არ მომეწონა ჩვენი უკანა ხაზის თამაში, ხელდახელ ბურთაობა ჩვენი რაგბის აქილევსის ქუსლია. მოთამაშეები კლუბებიდან დაბალი ტექნიკური არსენალით მოდიან. პრობლემები გვქონდა დერეფანში თამაშის დროსაც.

კეთილი სიტყვებით მინდა მოვიხსენიო საქართველოს ნაკრების ყოფილი კონსულტანტი ანრი ბრონკანი, რომელიც ამჟამად „ალბის" მთავარი მწვრთნელია. მისგან ყურადღება არ მოგვკლებია და ყველანაირად ცდილობდა დაგვხმარებოდა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ შეკრებზე დავიმატეთ საფრანგეთში მცხოვრები ორი ქართველი მორაგბე, გიორგი სორდია და თამაზ ოლქიაშვილი. მათ თავი კარგად წარმოაჩინეს და მომდევნო შეკრებზეც მოვიწვევთ, რომელსაც საფრანგეთში ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე მოვაწყობთ.

ევროპის ჩემპინატი კი საფრანგეთში, ქალაქ ტარბში გაიმართება და ჩვენი პირველი მეტოქე 16 აპრილს რუსეთის ნაკრები იქნება.



ლევან მგელაძე (მარცხნივ)

ლეგიონერები



ბურთით გიორგი ჟღენტი

# ქართველები განსხვავებული მიზნებისთვის იბრძვიან

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში რეგულარული გათამაშება დასასრულს უახლოვდება. ქართველ მორაგბეთა გუნდები ამ დროისთვის სხვადასხვა მიზნებისთვის იბრძვიან. „მონპელიე", „კლერმონი", „ტულონი" და „კასტრი" პლეი ოფში მოხვედრას ცდილობენ, „აჟენმა" და „ბრივმა" კი ყველაფერი უნდა იღონონ დივიზიონში ადგილის შესანარჩუნებლად.

მე-20 ტურის ცენტრალური შეხვედრა **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონსა" და **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონს" შორის გაიმართება. ტულონელთა თავკაცმა **ფილიპ სენტ-ამდრემ** ამას წინათ განაცხადა, რომ მისი გუნდი პლეი ოფში იმ შემთხვევაში მოხვდება, თუ ხუთ თამაშს მოიგებს. აღსანიშნავია, რომ „ტულონს" შინ ოთახი მატჩი დარჩა გასამართი. ოთხივე რომ მოიგოს კიდეც, ერთი გასვლითი შეხვედრა მაინც მოსაგები აქვს. ეს კი ტულონელთათვის ჰიპერრთული ამოცანაა, რადგან მეტოქეები ასევე პლეი ოფში მოხვედრისთვის მებრძოლი „კლერმონი", „კასტრი" და"მონპელიე" არიან, რომლებსაც წლეულს შინ ჯერ არ წაუგიათ.

„ტულონს" რეგულარული გათამაშების ფინიშის სწორს უმძიმესი ბრძოლის გადატანა მოუწევს სტუმრად „ვულკანებთან". ქუბრიაშვილის გუნდის მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ რამდენიმე ლეგიონერი თავიანთი ქვეყნების ეროვნულ ნაკრებებში არიან გამოძახებულნი. „ტულონის" მულტიმილიონერი მფლობელი **მურად ბურჯელალი** განრისხებული ცოფებს ყრიდა და იმუქრებოდა, მაგათ ყველას უმუშევარს დავტოვებო.

ასე თუ ისე, „ტულონს" კლერმონში ძალან გაუჭირდება, მით უფრო, რომ იქ არასდროს მოუგია. ინგლისელი მგეზავის **ჯონი ვილკინსონის** გარდა ვერ ითამაშებენ, **სებასტიან ბრუნო, გევინ ჰენსონი** და **ხუან მარტინ ფერნანდესლობე.** თუმცა სამაგიეროდ, ტრავმები მოიშუშეს და ჯანმრთელად არიან **ჯო ფან ნიკერკი** და **ფელიპე კონტეპომი.**

ამასობაში კი „კლერმონს" საფრანგეთის ნაკრებში მივლინებული მოთამაშეები, **მორგან პარა, ჟულიენ პიერი, ჟულიენ ბონერი** და **ტომა დომინგო** დაუბრუნდნენ. ტრავმა მოიშუშა ახალზელანდიელმა **სიონე ლაუკიმაც.** ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს საქართველოს ნაკრების შერკინების ბურჯი დავით ზირაქაშვილი.

პირველ წრეში „ტულონმა" შინ 28:26 მოიგო.

**მამუკა გორგოძის, გიორგი ჩხაიძის, გიორგი ჟღენტის, გოდერძი შველიძისა და მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიე", რომელიც ამჟამად სატურნირო ცხრილში მეოთხე ადგილზეა, **ბექა შეყლაშვილის** „აჟენს" უმასპინძლებს. მონპელიელები წლეულს **ფაბიენ გალტიემ** ახლებურად აათამაშა, რაც სეზონის მოულოდნელობად დიდი ხანია შერაცხეს. ჩვენებურთა გუნდს კარგი შანსი აქვს პლეი ოფში გააღწიოს და მინიმუმ „ჰაინეკენის თასზე" ასპარეზობის უფლება მოიპოვოს.

„მონპელიეს"აჟენთან" მატჩში ვერ დაეხმარება საფრანგეთის ნაკრების მგეზავი **ფრანსუა ტრინ-დუკი,** რომელსაც მიკროტრავმა აწუხებს. საეჭვოა ასევე საქართველოს ნაკრების მესამეხაზელის **მამუკა გორგოძის** თამაშიც, რომელსაც პორტუგალიაში ნატკენი ფეხი გაუმიზეზდა.

„აჟენმა", რომელიც დივიზიონში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის, წინა ტურში სენსაციურად დაამარცხა „ტულონი" და სატურნირო მდგომარეობა ოდნავ გაიუმჯობესა. ამდენად აჟენელები ყოველგვარი ფსიქოლოგიური ტვირთის გარეშე, თავისუფლად ითამაშებენ. შეყლაშვილი ძირითად შემადგენლობაში იქნება.

პირველ წრეში „მონპელიემ" სტუმრად 35:6 მოიგო.

დივიზიონში დარჩენისთვის მებრძოლი კიდევ ერთი „ქართული გუნდი", **დავით ხინჩაგიშვილისა** და **ვასილ კაკოვინის** „ბრივი" შინ ეთამაშება **აქვსენტი გიორგაძისა** და **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრს".

ბრიველებმა მე-19 ტურში შინ დაამარცხეს პარიზული „სტად ფრანსე", რასაც სატურნიროსთან ერთად დიდი ფსიქოლოგიური მნიშვნელობაც ჰქონდა. „ბრივს" კარგი შანსი აქვს „კასტრის" დამარცხებით „ჭაობს" თავი დააღწიოს, მით უფრო, რომ უშუალო კონკურენტები „აჟენი" და „ლა როშელი" სტუმრად ლიდერებს ეთამაშებიან.

„კასტრმა" ასევე უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა წინა ტურში შინ „მონპელიესთან". თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ეს გუნდი წლეულს სტუმრად ცუდად თამაშობს. მეტიც, კასტრელებს ბრივში 1993 წლის შემდეგ აღარ მოუგიათ.

ხინჩაგიშვილი ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს, კაკოვინი სათადარიგოთა შორისაა, ფეიქრიშვილი ტრავმირებულია, გიორგაძე განაცხადში არ არის.

პირველ წრეში, „კასტრმა" შინ 28:6 მოიგო.

**XX ტური**

კლერმონი-ტულონი, ბურგუენი-მეტრო რასინგი, ბიარიც-ლა როშელი, ბრივი-კასტრი, სტად ფრანსე-პერპინიანი, ბაიონი-ტულუზი, მონპელიე-აჟენი.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ტულუზი - 64 ქულა, 2. მეტრო რასინგი - 57, 3. კლერმონი - 53, 4. მონპელიე - 52, 5. კასტრი - 51, 6. ტულონი - 49, 7. ბაიონი - 49, 8. ბიარიცი - 49, 9. პერპინიანი -45, 10. სტად ფრანსე - 44, 11. აჟენი - 32, 12. ბრივი - 31, 13. ლა როშელი - 28, 14. ბურგუენი - 5.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროლიგა. TOP 16. V ტური



ვალენსია ტრიუმფს ზეიმობს

# სუპერწყვილს ვნახავთ

ევროლიგაზე დასრულდა მეორე ჯგუფური ეტაპი და მეოთხედფინალური წყვილები გაირკვა. ბოლო ტურში სამი მეოთხედფინალისტის ვინაობა იყო გამოსავლენი. H ჯგუფში თავი ისახელა „ვალენსიამ“, რომელიც არსებობის ისტორიაში პირველად ითამაშებს ევროლიგის პლეი ოფში.

ესპანელებს აუცილებლად გამარჯვება ესაჭიროებოდათ შინ „ფენერბაჰჩესთან“ და საბოლოოდ მიაღწიეს მიზანს. მატჩის ბედი განსაზღვრა მასპინძლების „მაღლების“ - **იავტოკასის, ოგუსტინის, სავანოვიჩისა** და **ლიშჩუკის** კარგმა თამაშმა. გადამწყვეტი კი აღმოჩნდა თანაბარი ანგარიშის დროს **რაფა მარტინესის** ორი ზუსტი სამქულიანი, რის შემდეგაც თურქებს დრო აღარ დარჩათ სიტუაციის გამოსასწორებლად.

დანარჩენი ორი საგზური E ჯგუფში გათამაშდა. ერთი პროგნოზისამებრ „პანათინაიკოსს“ ერგო - ბერძნები უპრობლემოდ გაუსწორდნენ „უნიკახას“. გაცილებით მნიშვნელოვანი იყო მატჩი ლიტვის დედაქალაქში, სადაც „ლეტუვოს რიტასი“ „კახა ლაბორალს“ მასპინძლობდა. ორივე გუნდს მარტივი ამოცანა ჰქონდა გადასაწყვეტი. მარტივი იმ მხრივ, რომ მხოლოდ გამარჯვება ესაჭიროებოდათ შემდეგ ეტაპზე გასასვლელად. ვილნიუსელებმა თავიდანვე წინ გაუშვეს მეტოქე, შემდეგ დაეწივნენ, მაგრამ დარჩენილ დროში ბასკების მინი-სპურტებს რთულად პასუხობდნენ. ყველაფერი მაშინ გაირკვა, როცა ესპანელებმა ტრავმა მიაყენეს „ლეტუვოს რიტასის“ ლიდერ **ჰალიდ ელ-ამინს**. „კახა ლაბორალმა“ გაიმარჯვა და თან ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა.

მაშ ასე, მეოთხედფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ:

**ოლიმპიაკოსი-მონტეპასკი**
**რეალი-ვალენსია**
**ბარსელონა-პანათინაიკოსი**
**კახა ლაბორალი-მაქაბი**

„ოთხთა ფინალში“ გასასვლელად სამი მოგება იქნება საჭირო. პირველი მატჩები 22 მარტს წყვილებში პირველად მითითებული გუნდების მოედანზე გაიმართება. საკუთარი მოედნის უპირატესობა ექნებათ იმ გუნდებს, რომლებმაც ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს. განსაკუთრებულ ინტერესს „ბარსელონასა“ და „პანათინაიკოსის“ დაპირისპირება იწვევს.

**E ჯგუფი**

**უნიკახა-პანათინაიკოსი 61:77**

18:23, 15:15, 8:15, 20:24

**უ:** სინანოვიჩი (12+8 მოხსნა), ფიტჩი (12), ფრილენდი (12).

**პ:** ნიკოლასი (18), დიამანტიდისი (15+8 მოხსნა), ბატისტი (10).

**ლ.რიტასი-კ.ლაბორალი 68:77**

16:27, 23:13, 16:18, 13:19

**ლ-რ:** ბაირამოვიჩი (14+5 მოხსნა), ბიელიცა (11+6 მოხსნა), ვალანჩიუნასი (9+11 მოხსნა).

**კ-ლ:** სან ემეტერიო (19+11 მოხსნა), ლოგანი (15), ბარაცი (13+6 მოხსნა), ტელეტოვიჩი (11), უერტასი (10).

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. კ. ლაბორალი | 6 | 4 | 2 | 468-437 | 8 |
| 2. პანათინაიკოსი | 6 | 4 | 2 | 452-395 | 8 |
| 3. ლ. რიტასი | 6 | 3 | 3 | 445-473 | 6 |
| 4. უნიკახა | 6 | 1 | 5 | 414-474 | 2 |

**F ჯგუფი**

**ბარსელონა-ოლიმპია 76:58**

21:19, 14:12, 16:13, 25:14

**ბ:** ლაკოვიჩი (12), ვასკესი (10), ინგლსი (10).

**ო:** გრეგორი (13+7 მოხსნა), იაგოდნიკი (13).

**რომა-მაკაბი 82:69**

21:17, 21:25, 18:6, 22:21

**რ:** ვაშინგტონი (16), დატომე (14+10 მოხსნა), გორდიჩი (14+5 პასი), ტრაორე (13+5 მოხსნა), დაშიჩი (12+7 მოხსნა+4 ჩაჭრა).

**მ:** პერკინსი (14+6 მოხსნა+5 პასი), ელიაჰუ (14+8 მოხსნა).

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 6 | 6 | 0 | 471-402 | 12 |
| 2. მაკაბი | 6 | 3 | 3 | 511-442 | 6 |
| 3. რომა | 6 | 2 | 4 | 411-462 | 4 |
| 4. ოლიმპია | 6 | 1 | 5 | 394-481 | 2 |

**G ჯგუფი**

**რეალი-მონტეპასკი 77:95**

19:26, 13:29, 19:23, 26:17

**რ:** მიროტიჩი (13), ბეგიჩი (12), რეიესი (10+6 მოხსნა).

**მ:** ჰეირსტონი (17), არადორი (16), ლავრინოვიჩი (15), რაკვიჩი (14+5 მოხსნა), აკინდელე (10).

**ეფესი-პარტიზანი 65:67**

12:24, 22:13, 13:12, 18:18

**ე:** რაკოჩევიჩი (19), რობერტსი (9+7 მოხსნა), გინოლუმი (8+8 მოხსნა).

**პ:** ვესელი (23+6 მოხსნა), ჯერელსი (8+7 პასი+7 მოხსნა), კეჩმანი (8+5 მოხსნა+5 პასი), კატიჩი (8+8 მოხსნა).

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 6 | 5 | 1 | 460-423 | 10 |
| 2. მონტეპასკი | 6 | 4 | 2 | 452-423 | 8 |
| 3. ეფესი | 6 | 2 | 4 | 426-455 | 4 |
| 4. პარტიზანი | 6 | 1 | 5 | 389-426 | 2 |

**H ჯგუფი**

**ოლიმპიაკოსი-ჟალგირისი 78:64**

19:20, 22:14, 17:15, 20:15

**ო:** ნესტეროვიჩი (20), ჰალპერინი (12+5 მოხსნა+5 პასი), ლუკასი (12+6 მოხსნა), სპანულისი (10).

**ჟ:** კალნიეტისი (16), პლეისტედი (11+10 მოხსნა), მარიანოვიჩი (8+8 მოხსნა).

**ვალენსია-ფენერბაჰჩე 82:68**

15:15, 24:17, 20:20, 23:16

**ვ:** დე კოლო (15), იავტოკასი (15+5 მოხსნა), სავანოვიჩი (14).

**ფ:** პრელჯიჩი (20), უკიჩი (13+4 პასი), ლავრინოვიჩი (11+6 მოხსნა), სავაში (11).

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპიაკოსი | 6 | 5 | 1 | 461-418 | 10 |
| 2. ვალენსია | 6 | 3 | 3 | 449-438 | 6 |
| 3. ფენერბაჰჩე | 6 | 3 | 3 | 456-462 | 6 |
| 4. ჟალგირისი | 6 | 1 | 5 | 418-466 | 2 |

## ტურის მოთამაშე

ევროლიგამ მეორე ჯგუფური ეტაპის მეექვსე ტურის საუკეთესო მოთამაშედ ესპანეთის „კახა ლაბორალის“ ფორვარდი **ფერნანდო სან ემეტერიო** დაასახელა.

„ლეტუვოს რიტასთან“ მატჩში (77:68) ესპანელმა 35 წუთში ორმაგი დუბლი შეასრულა - 19 ქულა და 12 მოხსნა (კარიერის რეკორდი). ამას დაემატა 3 შედეგიანი პასი, რამაც სარგებლიანობის რეიტინგში 37 ქულა შეადგინა.

ტურის MVP-ის ტიტულისთვის ბრძოლაში სან ემეტერიომ დაამარცხა **დიმიტრის დიამანტიდისი** („პანათინაიკოსი“), **იან ვესელი** („პარტიზანი“), **ჯამონტ გორდონი** („ოლიმპიაკოსი“) და **ემირ პრელჯიჩი** („ფენერბაჰჩე“).

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ჰიტი ჯადოქრებმა დაბრიყვეს

გუშინ რეგულარულ ჩემპიონატში მხოლოდ ორი მატჩი გაიმართა და რა თქმა უნდა, განსაკუთრებულ ინტერესს „მაიამისა“ და „ორლანდოს“ დაპირისპირება იწვევდა. „ჰიტის“ ვარსკვლავური შემადგენლობის შესახებ ყველამ იცის, ახლა კი ამ გუნდმა ცნობილი გამთამაშებელი **მაიკ ბიბი** დაიმატა, რაც სერიოზული შევსებაა. ყოფილი ატლანტელის დებიუტი სწორედ ამ მატჩში იგეგმებოდა.

საკუთარი კედლები თავიდან მარტო **დუეინ უეიდს** დაეხმარა - სასტარტო ოთხი წუთის განმავლობაში „ჰიტის“ შემადგენლობაში მხოლოდ ის აგდებდა ბურთს, „ორლანდოში“ კი თამაში **ჯამირ ნელსონს** მიჰყავდა, რომლის სროლებსა და პასებს „მაიამიმ“ ვერაფერი მოუხერხა.

პირველი მეოთხედის დასრულებამდე 4 წუთითა და 20 წამით ადრე „ორლანდო“ 17:14-ს იგებდა. ამის შემდეგ მასპინძლებმა ფანტასტიკური გაქცევა მოაწყვეს - 14:2. ამ წუთებში ბრწყინვალედ ითამაშა **ლებრონ ჯეიმსმა**. გარდა იმისა, რომ მან 13 ქულა დააგროვა, მოხსნასაც ასწრებდა, პასებსაც, ჩაჭრასაც და დაფარებასაც. სწორედ ამ დროს გავიდა მოედანზე ბიბი და კიდევ უფრო გააძლიერა მასპინძლების თამაში. მეორე მეოთხედის დასრულებამდე 24 წამით ადრე „მაიამის“ გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა - 63:45 გახდა ანგარიში უეიდის ზუსტი ტყორცნის შემდეგ.

მესამე მეოთხედი 3 წუთის დაწყებული იყო, როცა სხვაობა 24 ქულამდე გაიზარდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ არა ტიტულის ორი პრეტენდენტი, არამედ ფავორიტი და აუტსაიდერი ხვდებოდნენ ერთმანეთს. **სტენ ვან განდიმ** მწუხარე სახით მოითხოვა ტაიმ-აუტი.

და სწორედ აქედან დაიწყო სასწაული. შემდეგი შვიდი წუთი სტუმრებმა 17:4 მოიგეს. „ჯადოქრებმა“ თავიანთი საყვარელი იარაღით - სამქულიანებით დაიწყეს სიტუაციის გამოსწორება. ნელსონმა ერთი ჩააგდო, **ჯეისონ რიჩარდსონმა** - სამი. თუმცა **დუაიტ ჰოვარდმა** ოთხი პერსონალური მიიღო და მატჩის ბოლოსთვის საკუთარი გუნდის პერსპექტივები ბუნდოვანი გახადა. არადა, სხვაობა 9 ქულამდე შემცირდა და მართლაც მოსალოდნელი იყო ნერვიული ფინალი.

საფინალო სირენამდე 9 წუთით ადრე მატჩის გმირმა რიჩარდსონმა ზედიზედ მეორე სამქულიანი ჩააგდო და „ჰიტის“ მწვრთნელი **ერიკ სპოელსტრა** სერიოზულად ანერვიულდა - 82:79. მას ტაიმ-აუტმა ვერ უშველა: პაუზის შემდეგ **არენასმა** ჩააგდო კიდევ ერთი სამქულიანი. ანგარიში გათანაბრდა. მალე **რაიან ანდერსონმა** მოუტანა ლიდერობა სტუმრებს, არენასმა კი კიდევ ერთი სამქულიანი დაუმატა. 24-ქულიანი ჩამორჩენა 7-ქულიან უპირატესობად გადაიქცა. ფავორიტის თამაში საბოლოოდ მოიშალა, „ორლანდომ“ კი ფანტასტიკური სროლების გარდა შესანიშნავი დაცვა აჩვენა.

მაქსიმუმი, რაც „ჰიტმა“ მოახერხა, საფინალო სირენამდე 44 წამით ადრე სხვაობის ორი ქულით შემცირება იყო. ამას მოჰყვა „ორლანდოს“ ხანგრძლივი შეტევა, რომლის დროსაც სტუმრებმა მეტოქის ფარზე ორჯერ მოხსნეს ბურთი და ბოლოს ნელსონზე ჯარიმა მოიპოვეს. ჯამირმა მხოლოდ ერთი ტყორცნა ჩააგდო და მეტოქეს გადარჩენის შანსი დაუტოვა. თავიდან ბედი ლებრონმა სცადა, მაგრამ ააცილა, შემდეგ დაცვაში ითამაშა კარგად და უეიდს მიაწოდა ბურთი, რომელზეც დაჯარიმდნენ. „ფლეშმა“ ორივე საჯარიმო ჩააგდო - სათამაშო რჩებოდა ცხრა წამი. ვან განდიმ ტაიმ-აუტის შემდეგ **ჯეი ჯეი რედიკი** შეუშვა მოედანზე. სწორედ მასზე დაჯარიმდნენ მაიამელები და რედიკმა ორივე საჯარიმო უნაკლოდ შეასრულა. ბოლო რვა წამში **კრის ბოშმა** და ლებრონ ჯეიმსმა მოასწრეს სამქულიანების შესრულება. ორივემ ააცილა და „მაიამიმ“ ერთ-ერთი ყველაზე დასანანი მარცხი იწვნია მიმდინარე სეზონში.

■ ■ ■

სოლტ-ლეიკ-სიტიში ერთმანეთს ხვდებოდნენ გუნდები, რომლებმაც ამ სატრანსფერო ბაზარზე ლიდერები დაკარგეს - „იუტამ“ **დერონ უილიამსი, „დენვერმა“ - კარმელო ენტონი.** მაგრამ „ნაგეტსს“ ეს დანაკლისი არ დასტყობია და გუნდი უკეთ ათამაშდა (ბოლო ხუთ მატჩში ოთხი მოგება), „იუტას“ კი დერონთან ერთად უჭირდა და ახლა, მით უმეტეს.

„ჯაზმენთა“ პრობლემები თავიდანვე გამოჩნდა. 0:7 - ასეთი იყო შეხვედრის დებიუტი. სტუმრებისთვის მთავარი პრობლემა გახდა „დენვერის“ უკანა ხაზის (**ლოუსონი-აფლალო**) შეჩერება. ამ დუეტმა ვერ მიიღო სათანადო წინააღმდეგობა „ჯაზის“ მცველებისგან.

მასპინძლები დიდი ხანი ელოდნენ შანსს და მხოლოდ დიდი შესვენების შემდეგ მოახერხეს კონტრდარტყმა. „იუტა“ **მაილზის, ჰარისისა** და **ჯეფერსონის** დახმარებით ბოლო შესვენებაზე მინიმალური უპირატესობით გავიდა. წინ საინტერესო ბოლო მეოთხედი იყო.

საფინალო სირენამდე წუთნახევრით ადრე სი ჯეი მაილზმა საჯარიმოს ხაზიდან ანგარიში 98:99 გახადა. ერთადერთი, რაც „ჯაზმენებს“ სჭირდებოდათ, უბრალოდ, კარგად უნდა დაეცვათ თავი მეტოქის ბოლო სრულფასოვანი შეტევის დროს. მაგრამ მასპინძლების უკანა ხაზს ისევ გაეპარა აფლალო, რომელმაც პერიმეტრიდან ფანტასტიკური ტყორცნა მოათავსა კალათში და ამით მატჩის ბედი გადაწყვიტა.

**მაიამი-ორლანდო 96:99**

30:22, 33:23, 17:26, 16:28

**მ:** ჯეიმსი (29+6 მოხსნა), უეიდი (28+5 პასი), ბოში (13+5 მოხსნა).

**ო:** რიჩარდსონი (24), ნელსონი (16+7 პასი), ანდერსონი (15+5 მოხსნა), ჰოვარდი (14+18 მოხსნა+5 პასი+5 დაფარება), არენასი (11).

**იუტა-დენვერი 101:103**

23:30, 28:28, 25:16, 25:29

**ი:** მაილზი (22+6 მოხსნა), ჰარისი (21+9 პასი), ჯეფერსონი (19+10 მოხსნა+6 დაფარება), კირილენკო (12+5 პასი), მილსეპი (10+8 მოხსნა).

**დ:** ლოუსონი (23+6 მოხსნა+5 პასი), აფლალო (19), ნენე (13+8 მოხსნა), ანდერსენი (13), მარტინი (11+8 მოხსნა).




მაიამი-ორლანდო

ამბები

## სტერნი ევროპას ემხრობა

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კომისარმა **დევიდ სტერნმა** განაცხადა, რომ ლიგა გააგრძელებს სეზონების სასტარტო მატჩების ევროპაში გამართვის პრაქტიკას. მისი სიტყვებით, „ბებერ კონტინენტზე“ ასეთი თამაშები ლიგის განვითარებას უწყობს ხელს.

*„ჩვენ მიგვაჩნია, რომ ევროპაში NBA-ის მატჩები შესანიშნავი იდეაა, - ამბობს შტერნი. - ეს ლიგას ახალ ფანებს სძენს. ევროპაში წინასასეზონო მატჩები ძალიან წარმატებულია ჩვენი გუნდებისთვის, ამიტომაც ვაპირებთ ამ პრაქტიკის გაგრძელებას. უკვე გვყავს ორი გუნდი, რომლებმაც გამოთქვეს ზაფხულში ევროპაში გამგზავრების სურვილი“.*

## პავლოვიჩი ბოსტონში, თორნტონი მეომრებში

„ბოსტონ სელტიქსმა“ კონტრაქტი გააფორმა სერბ მცველ **საშა პავლოვიჩთან** - იტყობინება კლუბის ოფიციალური ვებგვერდი.

პავლოვიჩმა აქამდე „იუტას“, „კლივლენდის“, „მინესოტას“, „ნიუ ორლეანისა“ და „დალასის“ შემადგენლობაში 5.4 ქულა და 1.8 მოხსნა მიითვალა.

კიდევ ერთმა თავისუფალმა აგენტმა - **ელ თორნტონმაც** იპოვა ახალი გუნდი - ის „გოლდენ სტეიტში“ გააგრძელებს კარიერას.

27 წლის კალათბურთელი ამ კვირას გაუშვეს „ვაშინგტონის“ შემადგენლობიდან, რომლის რიგებშიც წელს 8 ქულასა და 3.2 მოხსნას აგროვებდა.

## 70 მილიონი კევინ ლავს

„მინესოტას ტიმბერვულვზის“ ხელმძღვანელობა ფორვარდ **კევინ ლავს** ახალ კონტრაქტს სთავაზობს. თუ ლიგის საუკეთესო მომხსნელი „მგლების“ წინადადებას მიიღებს, მომავალი ხუთი წლის განმავლობაში 70 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს.

ახალი ხელშეკრულება ამა წლის ზაფხულში გაფორმდება, თუმცა ამას შეიძლება ხელი შეუშალოს მოსალოდნელმა გაფიცვამ. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ლიგის ხელმძღვანელობა და პროფკავშირი ვერ შეძლებენ ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებაზე მოლაპარაკებას.

## გასოლი ბარსაში დაბრუნდება

ლიგაში მოსალოდნელ გაფიცვაზე ფიქრობს „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ერთ-ერთი ლიდერი **პაუ გასოლი**. ესპანელი კალათბურთელი ამბობს, რომ თუ ლიგაში ლოკაუტი გამოცხადდა, სამშობლოში დაბრუნდება და „ბარსელონაში“ ჩაატარებს მომავალ სეზონს. ეს ის კლუბია, საიდანაც პაუ 2001 წელს NBA-ში გადავიდა.

*„რა თქმა უნდა, ლოკაუტის საფრთხე არსებობს, თუმცა არავინ იცის, ის რამდენ ხანს გაგრძელდება. თუ ეს მაინც მოხდა, ჩემი პრიორიტეტი - „ბარსელონაში“ დაბრუნება იქნება“,* - განაცხადა გასოლმა.

პაუმ აღნიშნა, რომ ძალიან უნდა **რიკი რუბიოს** მხარდამხარ ერთ გუნდში თამაში. შეგახსენებთ, რომ უფროს გასოლს „მემფისში“ გამგზავრებამდე „ბარსელონას“ შემადგენლობაში ჩემპიონატი და ესპანეთის თასი აქვს მოგებული.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კრივი

# აქაც ყინული დაიძრა




ფლოიდ მეივეზერი

გუშინდელ ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ თითქმის გადაწყვეტილია სუპერმძიმე წონაში ყველაზე სასურველი ბრძოლის გამართვა - **ვლადიმერ კლიჩკო დევიდ ჰეის** წინააღმდეგ. მეორე დღეს კი კრივის მოყვარულებმა კიდევ ერთი სასიამოვნო ამბავი შეიტყვეს - თუ ამერიკულ პრესას დავუჯერებთ, პროფესიულ რინგზე დაუმარცხებელმა **ფლოიდ მეივეზერმა** ფილიპინელ **მენი პაკიაოსთან** ჩხუბის სურვილი გამოთქვა.

როგორც ირკვევა, მეივეზერი და პაკიაო მოლაპარაკებების საწყის სტადიაში იმყოფებიან. რაც ყველაზე მთავარია, ამჯერად ბრძოლის ორგანიზების ინიციატივა ამერიკელის მხრიდან მოდის, რაც ადრე არასოდეს მომხდარა.

*„ფლოიდი შეხვდა ნელსონ მანდელას ქალიშვილს და მას მამის 93-ე დაბადების დღისთვის დიდ საჩუქარზე ჩამოუგდო სიტყვა. ამ შეხვედრაზე განიხილავდნენ ისინი პაკიაოსთან ბრძოლის შესაძლებლობას. ამ მომენტისთვის ერთად ადგენენ წერილს ფილიპინელის მისამართით, რომ იქნებ მოხერხდეს ამ ბრძოლის ორგანიზება, რომელსაც მთელი საკრივო სამყარო მოუთმენლად ელოდება“*, - ამბობს მეივეზერის გუნდის წარმომადგენელი.

მისი თქმით, ბევრი რამ სწორედ იმ წერილზე იქნება დამოკიდებული.

## ჩოგბურთი

# გონსალესი როლან გაროსზე დაბრუნდება

დიდი ხანია არაფერი გვსმენია ცნობილი ჩილელი ჩოგბურთელის **ფერნანდო გონსალესის** შესახებ. მსოფლიოს ყოფილი მეხუთე ჩოგანი აგრძელებს ბარძაყზე გადატანილი ოპერაციის შემდეგ აღდგენით კურსს. სავარაუდოდ, 30 წლის ჩოგბურთელი როლან გაროსისთვის დაუბრუნდება კორტს.

შეგახსენებთ, რომ გონსალესმა გასული წლის ბოლოს მიიღო ტრავმირებული ფეხის მკურნალობის გადაწყვეტილება და მას შემდეგ მონაწილეობა არ მიუღია ოფიციალურ მატჩებში. დღეისთვის ფერნანდო 196-ე ადგილს იკავებს მსოფლიოს რეიტინგში.

## კალათბურთი

# მესინა რეალიდან მიდის

ესპანური პრესის ინფორმაციით, მადრიდის „რეალის“ მთავარი მწვრთნელი **ეტორე მესინა** პოსტის დატოვებას აპირებს. ამის შესახებ იტალიელმა სპეციალისტმა „სამეფო კლუბის“ ხელმძღვანელობას ევროლიგის მეორე ჯგუფური ტურნირის ბოლო ტურში ნაგების („მონტეპასკისთან“, 77:95) შემდეგ განუცხადა.

შეგახსენებთ, რომ „რეალი“ ამჟამად მეორე ადგილზეა ესპანეთის ჩემპიონატში, აგრეთვე ითამაშებს ევროლიგის მეოთხედფინალურ ეტაპზე. მესინამ მადრიდული კლუბი 2009 წელს ჩაიბარა, მაგრამ ჯერ „რეალთან“ ერთად ტიტული არ მოუგია.

## ტრამპლინიდან ხტომა

# ლეგენდა სპორტიდან მიდის

სახელგანთქმულმა პოლონელმა მხტომელმა **ადამ მალიშმა** ამ სეზონის შემდეგ კარიერის დასრულება გადაწყვიტა.

თავისი მდიდარი კარიერის განმავლობაში მალიშს ოლიმპიადაზე სამი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი აქვს მოპოვებული. ასევე მის აქტივშია მსოფლიოს ჩემპიონატის ოქრო, პირველი ადგილი „ოთხი ტრამპლინის ტურნეში“ და ოთხი გამარჯვება მსოფლიო თასის საერთო ჩათვლაში.

მალიშის სიტყვებით, მას ყოველთვის უნდოდა სპორტიდან კარიერის ზენიტში წასვლა. 34 წლის პოლონელის გარდა, ამ სეზონის შემდეგ დიდ სპორტს ტოვებენ სხვა სახელგანთქმული ვეტერანები - **მიხაელ ურმანი და ანდრეას კუტელი.**

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ატლანტა-ოტავა 1:3**

0:1, 0:0, 1:2

**გოლები:** 0:1 გრინიგი-1 (ლი-2, ფილიპსი-5), 0:2 ბატლერი-6 (ე. კარლსონი-25, შენონი-11), 1:2 ბიფულინი-19 (ენსტრიომი-39, ლედი-24), 1:3 ფოლინო-11 (დ. სმიტი-1, გონჩარი-17).

**ბოსტონი-ტამპა ბეი 2:1**

0:0, 1:1, 1:0

**გოლები:** 0:1 ბრიუერი-9 (ჯონსი-2, დაუნი-20), 1:1 კამპფერი-5 (კ. კელი-13, პევერლი-21), 2:1 ლუჩიჩი-28 (კრეისი-39, ჰორტონი-24).

**კაროლინა-ბაფალო 3:2 (ო)**

0:0, 2:2, 0:0, 1:0

**გოლები:** 0:1 მონტადორი-5 (ენისი-23, სეკერა-15), 1:1 ტლუსტი-6 (მაკბეინი-20, ბ. სატერი-12), 1:2 ბოიესი-14 (მონტადორი-15, სეკერა-16), 2:2 ლაროუზი-12 (სკინერი-26), 3:2 მაკბეინი-5 (პიტკანენი-27, ე. სტაალი-33).

**რეინჯერსი-მინესოტა 1:3**

1:0, 0:2, 0:1

**გოლები:** 1:0 შ. ეივერი-3 (კრისტენსენი-11, პროსპალი-5), 1:1 ბროძიაკი-14 (სპარჯონი-6, ბუშარი-19), 1:2 უელმანი-1 (ბერნსი-24, ბრუნეტი-21), 1:3 ბუშარი-8 (ჰავლატი-36, ბროძიაკი-17).

**ფილადელფია-ტორონტო 2:3**

1:1, 1:1, 0:1

**გოლები:** 1:0 ვერსტეეგი-16 (მ. რიჩარდსი-34, პრონგერი-21), 1:1 კულემინი-24 (მაკარტური-31), 2:1 ვერსტეეგი-17 (მ. რიჩარდსი-35, მ. კარლი-27), 2:2 ფანოფი-4 (კულემინი-23, გრაბოვსკი-24), 2:3 ბოისი-4 (კ. არმსტრონგი-14, ფანოფი-16).

**ვაშინგტონი-სტ. ლუისი 3:2**

0:1, 2:1, 1:0

**გოლები:** 0:1 სტინი-18 (კ. სტიუარტი-19, ჯეკმენი-13), 1:1 ჰანენი-1 (ოვეჩკინი-41, ჰენდრიქსი-13), 1:2 კრომბინი-6, 2:2 ბექსტრიომი-16 (ნუბლი-11, ოვეჩკინი-42) 3:2 არნოტი-14 (სიომინი-20, ლეიჩი-22).

**ფლორიდა-მონრეალი 0:4**

0:2, 0:1, 0:1

**გოლები:** 0:1 გილი-1 (ა. კოსტიცინი-20, ვიშნიევსკი-34), 0:2 ა. კოსტიცინი-16 (მოენი-7, ელერი-8), 0:3 დეშარნე-7 (პუიო-13), 0:4 ელერი-5 (მოენი-8, ვიშნიევსკი-35).

**ედმონტონი-კოლამბუსი 4:2**

2:0, 1:1, 1:1

**გოლები:** 1:0 სემ განიე-14 (პააიარვი-15, გილბერტი-17), 2:0 ჰოლი-22 (ჰორკოფი-17, სტრადვიკი-2), 3:0 ებერლე-15 (ჰორკოფი-18, ჰოლი-20), 3:1 კალვერტი-11 (პალსონი-10, დორსეტი-8), 3:2 აპშოლი-18 (უმბერგერი-28, რასელი-14), 4:2 კოლიანო-10.

**ვანკუვერი-ნეშვილი 0:3**

0:0, 0:0, 0:3

**გოლები:** 0:1 ჯოფრიონი-2 (ტუტუ-7, კლეინი-11), 0:2 ჰორნკვისტი-18, 0:3 ლეგვანდი-11 (ერატი-24, ჯ. უორდი-15).

**ლოს ანჯელესი-ფინიქსი 1:0**

0:0, 0:0, 1:0

**გოლი:** 1:0 სტოლი-18 (კოპიტარი-43, რ. სმიტი-20).

**სან ხოსე-დეტროიტი 3:1**

1:1, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ჰიტლი-21 (ი. უაიტი-16, მარლო-24), 1:1 ჰოლმსტრიომი-14 (მოდანო-8, ლიდსტრიომი-39), 2:1 ჰიტლი-22 (პაველსკი-32, ჯ. ტორნტონი-38), 3:1 მარლო-25.

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ოდ გრენლანდი-ფრედრიკსტადი | 1:5 |
| ტრომსიო-ტომი | 1:2 |
| რუსენბორგი-სტაბეკი | 5:3 |
| სანდნესი-ბრინი | 2:1 |
| ვოლერენგა-ლილესტრიომი | 0:0 |
| **იტალია** | |
| ლეჩე-რომა | 1:2 |
| **გერმანია** | |
| დორტმუნდი-კიოლნი | 1:0 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ჰერტა-ფრანქფურტი | 3:1 |
| მიუნხენი-ობერჰაუზენი | 1:1 |
| ოსნაბრიუკი-ფიურტი | 0:2 |
| **III ბუნდესლიგა** | |
| ოფენბახი-ერფურტი | 2:1 |
| შტუტგარტი A-ზანდჰაუზენი | 0:1 |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| პლაუენი-კილი A | 2:0 |
| ობერნოილანდი-ვილჰელმშავენი | 1:2 |
| **რეგიონალლიგა (დას)** | |
| გლადბახი A-ლევერკუზენი A | 0:0 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| აიაჩო-ლავალი | 1:1 |
| შატორუ-ტრუა | 1:0 |
| კლერმონი-ისტრი | 2:0 |
| გრენობლი-ნანტი | 2:0 |
| რეიმსი-მეცი | 2:2 |
| სედანი-ნიმი | 1:0 |
| ტური-ვანი | 2:0 |
| **ჰოლანდია** | |
| გრააფსხაპი-ვილემი | 2:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ვოლენდამი-ჰელმონდი | 0:1 |
| აპელდოორნი-მაასტრიხტი | 2:0 |
| ომნივორლდი-ცვოლე | 0:3 |
| იგლზი-ეინდჰოვენი | 2:1 |
| როსენდაალი-ემენი | 1:3 |
| ვეენდამი-ფორტუნა | 4:1 |
| **ბელგია** | |
| ანდერლეხტი-გენკი | 1:1 |
| **პორტუგალია** | |
| აკადემიკა-ლეირია | 0:0 |
| **ფინეთი** | |
| **ლიგის თასი** | |
| მიუპა-ტურკუ | 1:2 |
| ინტერი-ჰიკ | 1:1 |

| ავსტრია | |
|---|---|
| **II დივიზიონი** | |
| აუსტრია (ლ)-გრატკორნი | 2:1 |
| ადმირა-ჰარტბერგი | 3:1 |
| ვენა-სტ. პოლტენი | 2:0 |
| სტ. ანდრე-ლუშტენაუ | 1:2 |
| გრიოდიგი-ალტახი | 0:1 |
| **თურქეთი** | |
| ქაისერი-მანისა | 1:2 |
| **ირლანდია** | |
| შემროკი-დანდალკი | 3:1 |
| ბრეი-ბოჰემიანსი | 1:3 |
| დერი-სლიგო | 0:1 |
| დროგედა-უნივერსიტი | 0:1 |
| გალვეი-სტ. პატსი | 0:3 |
| **II დივიზიონი** | |
| კორკი-უექსფორდი | 1:0 |
| უოტერფორდი-ეთლონი | 0:0 |
| ფინ ჰარპსი-ლიმერიკი | 2:2 |
| **უელსი** | |
| ეირბასი-ებერისტვიტი | 5:3 |
| ბალა-ნიუთაუნი | 0:2 |
| ჰევერფორდვესტი-კარმარტენი | 2:1 |
| **ჩეხეთი** | |
| ბოჰემიანსი-იაბლონეცი | 0:1 |
| **სლოვაკეთი** | |
| ნიტრა-შენიცა | 0:5 |
| **უკრაინა** | |
| მეტალურგი (ზ)-ილიჩივეცი | 0:4 |
| **პოლონეთი** | |
| შლიონსკი-კრაკოვია | 0:0 |
| ვისლა-რუხი | 3:1 |
| **II დივიზიონი** | |
| პოგონი-ლკს ლოძი | 1:1 |
| **ხორვატია** | |
| დრაგოვოლიაცი-ვარტექსი | 3:2 |
| ინტერი-ზაგრები | 0:2 |
| **უნგრეთი** | |
| კეჩმეკეტი-დებრეცენი | 3:0 |
| უიპეშტი-შიოფოკი | 1:1 |
| **რუმინეთი** | |
| უნირეა-ტარგუ | 0:1 |
| დინამო-პანდური | 2:2 |
| **პარაგვაი** | |
| ლიბერტადი-რუბიო ნუ | 4:1 |
| **კალათბურთი** | |
| **გერმანია** | |
| მიტელდოიჩე-ოლდენბურგი | 74:80 |
| **საფრანგეთი** | |
| ორლეანი-ვილერბანი | 76:59 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| იუგრა-მეტალურგი (მ) | 1:4 |
| ნეფტეხიმიკი-ავანგარდი | 2:3 |
| **ბელარუსი** | |
| მეტალურგი-მეტალურგსი | 4:2 |
| ნემანი-სოკოლი | 4:2 |
| შახტარი-გომელი | 4:1 |
| იუნოსტი-ბრესტი | 4:3 (ო) |
| **გერმანია** | |
| ვოლფსბურგი-დიუსელდორფი | 7:1 |
| ჰამბურგი-კრეფელდი | 2:1 |
| ინგოლშტადტი-კიოლნი | 3:4 (ო) |
| ნიურნბერგი-იზერლონი | 2:4 |
| შტრაუბინგი-ჰანოვერი | 2:4 |
| აუგსბურგი-მიუნხენი | 3:4 |
| **ნორვეგია** | |
| ლილეჰამერი-სტრჰამარი | 2:1 (ო) |
| რუსენბორგი-სპარტა | 3:5 |
| ლორენსკოგი-ვოლერენგა | 3:1 |
| ფრისკ ასკერი-სტავანგერი | 6:2 |
| **სლოვაკეთი** | |
| კოშიცე-ნიტრა | 5:0 |
| პოპრადი-სკალიცა | 6:3 |
| **ჩეხეთი** | |
| კლადნო-ბრნო | 3:2 |
| სპარტა-ბოლესლავი | 2:0 |
| **ჩეხეთი** | |
| ჟლინი-პარდუბიცე | 2:4 |
| ბუდეიოვიცე-ვიტკოვიცე | 5:0 |
| **ჩოგბურთი** | |
| **WTA. კუალა ლუმპური** | |
| **დოკიჩი**-იოვანოვსკი | 7:6, 6:2 |
| **კრაიჩეკი**-კრემერი | 6:2, 6:3 |
| მორიტა-**გროტი** | 5:7, 6:3, 5:7 |
| **საფაროვა**-ბარტოლი | 6:1, 6:4 |
| **დევისის თასი** | |
| **ჩილიჩი**-ფ. მაიერი | 4:6, 6:0, 4:6, 6:3, 6:1 |
| **ტროიცკი**-ბოპანა | 6:3, 6:3, 5:7, 3:6, 6:3 |
| მელცერი-**შარდი** | 5:7, 4:6, 5:7 |
| **ვერდასკო**-მალისე | 6:4, 6:3, 6:1 |
| **კოლშრაიბერი**-დოდიგი | 6:4, 3:6, 4:6, 7:6, 6:4 |
| **როდიკი**-მასუ | 6:2, 4:6, 6:3, 6:4 |
| **გოლუბევი**-ჰაიეკი | 7:6, 6:7, 1:6, 7:6, 6:3 |
| **ნალბანდიანი**-უნგური | 6:3, 6:2, 5:7, 6:4 |
| **სიოდერლინგი**-ანდრეევი | 6:3, 6:3, 6:1 |
| **სიმონი**-კუბეკი | 6:0, 6:2, 6:3 |
| ტიპსარევიჩი-**დევარმანი** | 5:7, 5:7, 6:7 |
| **ნადალი**-ბემელმანსი | 6:2, 6:4, 6:2 |
| **ბერდიხი**-კუკუშკინი | 7:6, 6:2, 6:3 |
| ისნერი-**კაპდევილე** | 7:6, 7:6, 6:7, 6:7, 4:6 |
| **იოჰანსონი**-გაბაშვილი | 6:3, 7:6, 6:4 |
| **მონაკო**-ჰანესკუ | 7:6, 1:6, 6:1, 6:1 |

## TV პროგრამა

### 5 მარტი. შაბათი

**GMG-ფეხბურთი**

18:30 გერმანიის ჩემპიონატი. ჰანოვერი-ბაიერნი (LIVE).
21:30 გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-ვოლფსბურგი(LIVE).
23:45 იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-მილანი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

18:25 გერმანიის ჩემპიონატი. ჰანოვერი-ბაიერნი (LIVE).
20:55 ესპანეთის ჩემპიონატი. მალიორკა-ვალენსია (LIVE).
22:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-სარაგოსა (LIVE).
00:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ვილიარეალი (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

12:25 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. გიგანტური სლალომი. I ცდა. კრანსკა გორა. სლოვენია (LIVE).
13:40 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სწრაფდაშვება. ტარვიზიო. იტალია (LIVE).
15:25 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. გიგანტური სლალომი. II ცდა. კრანსკა გორა. სლოვენია (LIVE).
18:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-შალკე (LIVE).
20:25 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. კროაცია-უნივერსიტეტი (LIVE).
01:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ლოს ანჯელესი-ვანკუვერი (LIVE).
06:00 პროფესიული კრივი. სატიტულო ბრძოლა. ზ. ჯუდაკ. მაბუზა. აშშ (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

16:55 ციგურებით სირბილი. მსოფლიოს თასი. ფინალი. ჰოლანდია (LIVE).
21:55 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. მონპელიე-რენი (LIVE).
23:55 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ოსერი-პსჟ (LIVE).

**НТВ-პლუსი (კლასიკა)**

21:40 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ტვენტე-ბრედა (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

17:15 ჩოგბურთი. დევისის თასი. 1/8 ფინალი. შვედეთი-რუსეთი (LIVE).
01:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. მონტერეი. მექსიკა (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

18:55 რუსეთის ჩემპიონატი. სპარტაკი-უნიქსი (LIVE).
00:00 NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ ჯერსი-ტორონტო (LIVE).
07:00 NBA. რეგულარული ჩემპიონატი. პორტლენდი-შარლოტი (LIVE).

**SPORT+**

14:45 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. დინამო-ლავრიკი (LIVE).
17:50 ჩოგბურთი. დევისის თასი. 1/8 ფინალი. შვედეთი-რუსეთი (LIVE).
21:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-ვოლფსბურგი (LIVE).
23:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-მილანი (LIVE).

**EUROSPORT**

12:45 ბიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი. სპრინტი. კაცები. ხანტი-მანსიისკი. რუსეთი (LIVE).
14:45 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს ჩემპიონატი. მასსტარტი 30 კმ. ქალები. ოსლო. ნორვეგია (LIVE).
16:45 ბიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი. სპრინტი. ქალები. ხანტი-მანსიისკი. რუსეთი (LIVE).
18:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. გუნდური. HS134. ოსლო. ნორვეგია (LIVE).
20:15 მძლეოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი (დარბაზში). II დღე. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).

**EUROSPORT-2**

12:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. გიგანტური სლალომი. I ცდა. კრანსკა გორა. სლოვენია (LIVE).
13:45 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სწრაფდაშვება. ტარვიზიო. იტალია (LIVE).
19:30 სნოუბორდი. მსოფლიოს თასი. პარალელური სლალომი. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).
23:30 ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ქალები. XIV ტური. ნოვარა-პავია (LIVE).

### 6 მარტი. კვირა

**GMG-ფეხბურთი**

15:30 იტალიის ჩემპიონატი. სამპდორია-ჩეზენა (LIVE).
17:30 ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-მანჩესტერ იუნ (LIVE).
20:30 გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-მაინცი (LIVE).
23:45 იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-პალერმო (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

15:25 იტალიის ჩემპიონატი. სამპდორია-ჩეზენა (LIVE).
17:55 იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-ჯენოა (LIVE).
19:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-არლი (LIVE).
21:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-სევილია (LIVE).
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. რასინგი-რეალი (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

12:25 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სლალომი. I ცდა. კრანსკა გორა. სლოვენია (LIVE).
13:55 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სუპერგიგანტი. ტარვიზიო. იტალია (LIVE).
15:25 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სლალომი. II ცდა. კრანსკა გორა. სლოვენია (LIVE).
18:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ფრაიბურგი-ვერდერი (LIVE).
18:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-მაინცი (LIVE).
23:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-პალერმო (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

16:55 ციგურებით სირბილი. მსოფლიოს თასი. ფინალი. ჰოლანდია (LIVE).
21:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. რეინჯერსი-ფილადელფია (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)**

13:30 რუსეთის სუპერთასი. ზენიტი-ცსკა (LIVE).
16:45 რუსეთის თასი. 1/8 ფინალი. ამკარი-კრასნოდარი (LIVE).
19:25 ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ალკმაარი (LIVE).

**НТВ-პლუსი (კლასიკა)**

17:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-ბრეშა (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

15:30 ჩოგბურთი. დევისის თასი. 1/8 ფინალი. შვედეთი-რუსეთი (LIVE).
02:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. მონტერეი. მექსიკა (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

04:00 NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ოკლაჰომა-ფინიქსი (LIVE).

**SPORT+**

16:00 ჩოგბურთი. დევისის თასი. 1/8 ფინალი. შვედეთი-რუსეთი (LIVE).
21:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-სევილია (LIVE).
23:55 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ლილი (LIVE).

**EUROSPORT**

12:45 ბიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი. რბოლა გამოდევნებით. კაცები. ხანტი-მანსიისკი. რუსეთი (LIVE).
13:45 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სუპერგიგანტი. ტარვიზიო. იტალია (LIVE).
15:15 ბიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი. რბოლა გამოდევნებით. ქალები. ხანტი-მანსიისკი. რუსეთი (LIVE).
16:15 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს ჩემპიონატი. მასსტარტი 50 კმ. კაცები. ოსლო. ნორვეგია (LIVE).
18:30 მძლეოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი (დარბაზში). III დღე. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).

**EUROSPORT-2**

12:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სლალომი. I ცდა. კრანსკა გორა. სლოვენია (LIVE).
16:30 ფრისტაილი. მსოფლიოს თასი. სკი-კროსი. მაირინგენი. შვეიცარია (LIVE).
18:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. II ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ლაიპციგი (გერმანია)-დიორი (უნგრეთი) (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა


ქვირის ბოლოს



ფეხბურთი კომერციაა

ალექსანდრე ტოგონიძის კოლაჟი

ფორმულა 1

# მერსედესი აუტსაიდერი იქნება?

ფორმულა 1-ის ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ „მერსედეს გრან-პრი“ ახალი სეზონის წინ ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნდა: ცხადია, რომ სეზონის დაწყებამდე გერმანული საჯინიბოს ინჟინრებსა და კონსტრუქტორებს გაორმაგებული დატვირთვით მოუწევთ რთული ამოცანის გადაჭრა, რადგან ბოლო ტესტებზე „მერსედესი“ წრეზე თითქმის ორ წამს აგებდა კონკურენტებთან.




მერსედესის ახალი ბოლიდი

გუნდს იმედი აქვს, რომ ტექნიკურ განახლებათა კომპლექსი, რომლის გამოცდას გუნდი ბარსელონას ტესტებზე აპირებს, შესამჩნევად აამაღლებს მანქანის სიჩქარეს. მაგრამ ბრიტანული „ავტოსპორტის“ ინფორმაციით, ამით პრობლემა არ ამოწურება: MGP W02-ის იმ ვერსიამ, რომელიც ავსტრალიის ტრასაზე უნდა გამოჩნდეს, ვერ გაიარა ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის აუცილებელი კრაშ-ტესტი.

ნებისმიერ შემთხვევაში შასიმ უნდა გაიაროს კრაშ-ტესტი ავსტრალიის გრან-პრიმდე. შესაძლოა, „მერსედესი“ იმიტომაც ცდილობდა ბარსელონას ტესტების გადატანას, რომ გარკვეული დრო მოეგო პირველადი პრობლემების მოსაგვარებლად, მათ შორის ახალი ელემენტების დასამზადებლად, რომელიც, სავარაუდოდ, მხოლოდ პირველი რბოლისთვის იქნება მზად.

„მერსედეს მოტოსპორტის“ შეფი **ნორბერტ ჰაუგი** ვერ ადასტურებს გუნდის მიერ ფედერაციის ყველა კრაშ-ტესტის გავლას, თუმცა იქვე ამატებს, რომ ეს პრობლემა არ არის. *„არანაირ კომენტარს არ გავაკეთებ,* - ამბობს ჰაუგი „ავტოსპორტთან“ ინტერვიუში. - *მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ეს არ უნდა იყოს ჩვენთვის წინაღობა“.*

თუ „მერსედესის“ ახალი ბოლიდის სიჩქარე არ გაიზრდება, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სეზონის დასაწყისში ამ გუნდის პილოტები კვალიფიკაციაში პირველ ათეულში მოხვედრაზე პრეტენზიას ვერ განაცხადებენ. არ არის გამორიცხული, კვალიფიკაციის მეორე სესიაში გადასვლის პრობლემაც კი შეიქმნას, რადგან მანქანას ცუდად უჭირავს ტრასა: მას სტაბილურობა არ ჰყოფნის მოსახვევიდან გამოსვლისას, რაც არასაკმარისი მოჭიდების ძალით არის გამოწვეული. გარდა ამისა, ტესტებზე შესამჩნევი იყო საბურავის ცვეთის მაღალი ტემპი: „მერსედესზე“ „პირელის“ საბურავები უფრო სწრაფად გამოდიოდა წყობიდან, ვიდრე სხვა მანქანებზე. სავარაუდოდ, აეროდინამიკის მხრივაც ყველაფერი წესრიგში არ არის.

„მერსედეს გრან-პრის“ შეფმა **როს ბრაუნმა** პირადად აღიარა, რომ გუნდს მანქანის გახურების პრობლემასთან მოუწია ბრძოლამ და ეს ხარვეზი ბარსელონაში დასკვნითი სატესტო სესიის დროს უნდა გამოსწორდეს.

ბრაუნი ირწმუნება, რომ გუნდი თავიდანვე გეგმავდა პირველ ტესტებზე ახალი მანქანის მხოლოდ საბაზო ვერსიის წარმოდგენას: *„ჩვენთვის კარგად არის ცნობილი მანქანის მიმდინარე ვერსიის სისწრაფე, ვიცით, რომ ჩამოვრჩებით ლიდერებს და ამის მიზეზებიც გარკვეული გვაქვს“.*

ნორბერტ ჰაუგს მიაჩნია, რომ ბარსელონაში გუნდი უფრო მაღალ შედეგებს გვანახებს: *„ახლა სერიოზული პროცესები მიმდინარეობს, რამდენიმე სასტენდო გამოცდა ჩავატარეთ. იმედია, ბარსელონაში მოდერნიზებული ბოლიდი უფრო სწრაფად ირბოლებს და ამ ტესტების შედეგად საერთო სურათი უფრო გასაგები იქნება. ჩვენ გვაქვს არაერთი კარგი იდეა, მაგრამ ჯერ კიდევ შესამოწმებელია მათი ეფექტურობა ტრასაზე“.*

ამასწინ, როს ბრაუნმა და სხვა აქციონერებმა კონცერნ „დაიმლერსა“ და ფონდ Aabar Investment-ს მიჰყიდეს გუნდის აქციათა დარჩენილი 25 პროცენტი. დაისვა კითხვა: რამდენ ხანს აპირებს ბრაუნი გუნდის ხელმძღვანელად დარჩენას? თუმცა თავად ის და ნორბერტ ჰაუგი ირწმუნებიან, რომ „მერსედეს გრან-პრის“ მენეჯმენტის სტრუქტურაში არანაირი ცვლილებები არ იგეგმება.

ასევე არ არის გამორიცხული, ისევ დაიწყოს ლაპარაკი 42 წლის **მიხაელ შუმახერის** მოტივაციის შესახებ. ვეტერანმა, შესაძლოა, გული აიცრუოს ახალ მანქანაზე და სამუდამოდ გამოემშვიდობოს ჩემპიონის ტიტულის კიდევ ერთხელ მოგების იმედს.

ბრიტანელი ექსპერტების აზრით, თუ „მერსედეს გრან-პრი“ მოახერხებს წრეზე წამნახევრის გაბათილებას, ლიდერები მაინც ძალიან წინ იქნებიან, შესაბამისად, როს ბრაუნის გუნდი ვერ შეძლებს გამარჯვებაზე პრეტენზიის გამოცხადებას.

„ავტოსპორტის“ ტექნიკურ კონსულტანტს **გარი ანდერსონს** არ სჯერა, რომ ტესტების შედეგები შეესაბამება გუნდის მოლოდინს. *„ბარსელონას ტესტების დროს „მერსედესი“ ძალიან ცუდად გამოიყურებოდა,* - ამბობს ანდერსონი. - *მას ტრასასთან მოჭიდება აკლდა, მესამე გრძელ მოსახვევში შესვლისას პილოტებს დიდი ძალისხმევა სჭირდებოდათ ტრაექტორიის შესანარჩუნებლად.*

*შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საკვალიფიკაციო რბოლებში მიხაელ შუმახერსა და ნიკო როსბერგს პრობლემები ექნებათ მეორე სესიაში მოხვედრის მხრივ, ათეულში შესვლა კი უბრალოდ უნდა დაივიწყონ. მოკლედ, მანქანა სასწრაფო მოდერნიზაციას მოითხოვს.*

*თუ მართლაც არსებობს პრობლემები, მათ მოსაგვარებლად ძალიან ცოტა დრო არის დარჩენილი. პირადად მე ვისურვებდი სეზონის პირდაპირ კარგი მანქანით დაწყებას, ვიდრე მის მოკლე დროში მოდერნიზაციას“.*

# ჟაკის ფავორიტი ფერნანდოა

ამ უიქ ენდზე პარიზის „სტად დე ფრანსზე“ გაიმართება Andros Trophee-ის თასის დასკვნითი ეტაპი. მისმა ერთ-ერთმა მონაწილემ, ფორმულა 1-ის 1997 წლის ჩემპიონმა **ჟაკ ვილნევმა** ინტერვიუ მისცა ფრანგულ გაზეთ „ეკიპს“, სადაც „დიდ ცირკში“ დღევანდელი მდგომარეობა შეაფასა.

ჟაკ ვილნევი: *„მიყვარს რბოლები და მათ ევოლუციაზე დაკვირვება. ფორმულა 1-ის 2010 წლის რეგლამენტი თითქმის იდეალური იყო - სლიკები, მინიმალური ელექტროობა, საბურავების ერთი მომწოდებელი და საწვავის ჩამატების აკრძალვა. შესაბამისად, ფანტასტიკური სეზონის მოწმენი გავხდით, რომელშიც ფინალურ ეტაპამდე გრძელდებოდა ბრძოლა.*

*მომავალი სეზონის სიახლეები ჯერ კარგად ვერ ალვიქვი - KERS-ის სისტემა და უკანა ანტიფრთის ელემენტის ხელით მართვა... ვნახოთ, როგორ იმუშავებს ეს ორი სიახლე. სულაც არ მენატრება ფორმულა 1-ის ატმოსფერო, მაგრამ ბრძოლის შეგრძნების მიმართ მაქვს ნოსტალგია. მინდა ვთქვა, რომ კმაყოფილი ვარ ფორმულა 1-ში გატარებული წლებით - ეს პოზიტიური მოგონებებია.*

*გასულ წელს ყურადღებით ვაკვირდებოდი მიხაელ შუმახერის დაბრუნებას. მოლოდინი ძალიან დიდი იყო. მთელი ავტოსპორტის სამყარო ფიქრობდა, რომ ის თავის მეწყვილეს ნიკო როსბერგს ყოველ წრეზე მინიმუმ ნახევარ წამს მოუგებდა. არადა, მიხაელი „ფერარიში“ ასპარეზობისას ბარიკელოს მხოლოდ მეათედ წამს უგებდა, მაგრამ დრო გავიდა და გულშემატკივრების გონებაში ეს ციფრი ნახევარ წამამდე გაიზარდა. საბოლოოდ ვერავინ მიხვდა, რაში მდგომარეობდა მიხაელის მოტივაცია - ის ცუდი შედეგების შემდეგაც იღიმებოდა.*

*ფეტელი? ის ძალიან სწრაფია, მაგრამ უცნაური ხასიათი აქვს. თუ სერიოზულ შეცდომას დაუშვებს, იტყვის, რომ ამაში დამნაშავე არ არის და თავად სჯერა საკუთარი ნათქვამის. ასე პროგრესის მიღწევა რთული იქნება. მან უკვე დაამტკიცა თავისი მაღალი სიჩქარე, მაგრამ ჯერ ვერ დაგვარწმუნა იმაში, რომ შეიძლება დიადი ჩემპიონი გახდეს.*

*ჩემი ფავორიტი - ფერნანდო ალონსოა. „ესპანელი ხარი“, რომელსაც ვერაფერი შეაჩერებს. მას შეუძლია მიიღოს უპირატესობა ყველაზე წამგებიან სიტუაციაშიც კი და მოიგოს რბოლა საშუალო დონის მანქანით. მან ეს უკვე დაამტკიცა.*

*რატომ არ არიან ფორმულა 1-ში ფრანგი პილოტები? საქმე ბიუჯეტშია და არა ნიჭიერი პილოტების დეფიციტში. ჩემპიონატის ინვესტორებს არ აინტერესებთ ფრანგული ბაზარი და შესაბამისად, ვერ ვხედავთ ფრანგ პილოტებს. საფრანგეთში ფულს დებენ ფეხბურთში, ფორმულა 1 კი შესანიშნავად არსებობს ამ ქვეყნის გარეშეც“.*

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

# ალონსო: 20 წელი ფორმულაში




ძველი და ახალი ალონსოც

ათი წლის წინ, 2011 წლის 4 მარტს **ფერნანდო ალონსომ** ფორმულა 1-ში პირველი რბოლა ჩაატარა. ესპანელს „მინარდის“ მანქანით დებიუტი ჰქონდა ავსტრალიის გრან-პრიზე. მან მე-19 პოზიციიდან აიღო სტარტი და რბოლა მე-12 ადგილზე დაასრულა.

მას შემდეგ ნანდომ 159 გრან-პრი ჩაატარა, 20-ჯერ აიღო სტარტი პოულიდან, 63-ჯერ ავიდა პოდიუმზე, მოიგო 26 რბოლა და მოიპოვა ჩემპიონის ორი ტიტული. ესპანურ „მარკასთვის“ მიცემულ ინტერვიუში ფერნანდომ თავისი კარიერის ზოგიერთი ეტაპი გაიხსენა...

ფერნანდო ალონსო: *„რბოლები მიყვარს და წასვლაზე ჯერ არ ვფიქრობ. სიამოვნებას ყოველთვის ვიღებ - როცა მეორეზე, მერვეზე ან 23-ე ადგილზე გავდივარ. ფორმულა 1 - მრავალწახნაგოვანი ბიზნესია და არა სპორტი პირდაპირი გაგებით. მრბოლელები სხვადასხვა ძალისა და სისწრაფის მანქანებით გამოდიან, წესებიც ყველასთვის ერთნაირი არ არის, მაგრამ მე ამას გაგებით ვხვდები, რადგან მსგავსი დეტალები განსაკუთრებულ ხიბლს ჰმატებს ჩვენს ჩემპიონატს.*

*ყველაზე უარესი მანქანა? 2009 წლის „რენო“, თუმცა მაშინ მაინც ავედი სინგაპურში პოდიუმზე, თანაც ჩემი საუკეთესო ბოლიდები სწორედ ამ გუნდის მიერ იქნა აგებული. მაშინ საბურავების მწარმოებელი კომპანიების - „მიშლენისა“ და „ბრიჯსტოუნის“ მეტოქეობამ წარმატების მიღწევის საშუალება მოგვცა. ნაკლებად ეფექტური აეროდინამიკის მიუხედავად, ვალენსიაში წრეს წუთსა და 8 წამში გავდიოდით, ახლა ეს დრო წუთსა და 14 წამს უდრის - ექვსწამიანი სხვაობა ძალიან შესამჩნევია, იმ მანქანებთან თანამედროვე ბოლიდების შედარება შეუძლებელია.*

*დებიუტი „მინარდის“ საჭესთან მქონდა, თუმცა იყო წინადადება „პროსტისგან“ „ფერარის“ ტესტ-პილოტად გადასვლის პერსპექტივით. ოღონდ ისინი არაფრის გარანტიას არ იძლეოდნენ, „რენოში კი საუკეთესო ვარიანტი შემომთავაზეს - წელი ამ გუნდის ტესტ-პილოტის რანგში ჩავატარე, შემდეგ ძირითადი ბოლიდის საჭეს მივუჯექი.*

*„ფერარისთან“ კონტრაქტის გაფორმებისას ვიცოდი, რომ ლეგენდარულ გუნდში გადავდიოდი, მაგრამ საბოლოოდ სასიამოვნოდ გაკვირვებული დავრჩი - ყველაფერი გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე მეგონა. „მაკლარენში“ არ ვგრძნობდი თავს გუნდის ნაწილად, „ფერარიში“ კი თავი სახლში მგონია.*

*რბოლებში მეგობრების შესაძენად არ მოვსულვარ, მხოლოდ გამარჯვება მინდა - ასეთია მიზანი და ვნახოთ, საბოლოოდ რა გამომივა. არ ვიცი, კარიერის დასრულების შემდეგ გავიხსენებ გამარჯვებებს თუ უბრალოდ ვისიამოვნებ მიღეული გამოცდილებით. ნებისმიერ შემთხვევაში, ფორმულა 1 ყველაზე პოზიტიურ მოგონებებს დამიტოვებს“.*